

**კულტურათაშორისი კომუნიკაციები**  
**INTERCULTURAL COMMUNICATIONS**  
**МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ**

**INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY**

---

**ISSN 1512-4363**

*საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა*  
*International scientific periodical edition*  
*Международное научно-периодическое издание*

**კულტურათაშორისი კომუნიკაციები**

**INTERCULTURAL COMMUNICATIONS**

**МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ**



**№ 12**

**თბილისი – Tbilisi – Тбилиси**  
**2010**

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

**მთავარი რედაქტორი**  
**Editor-in-chief**  
**Главный редактор**

**ინდირა ძაგანია**  
**Indira Dzagania**  
**Индира Дзагания**

**რედაქტორები**  
ლირა გაბუნია  
ოლღა პეტრიაშვილი  
მარინე ტურავა  
ირინე ჯობავა

**Editors**  
Lira Gabunia  
Olga Petriashvili  
Marina Turava  
Irina Jobava

**Редакторы**  
Ли́ра Габу́ния  
О́льга Пётриа́швили  
Ма́рина Тура́ва  
Ири́на Джоба́ва

**კომპიუტერული  
რედაქტირება**  
რობერტ მესხი

**Computer  
Editing**  
Robert Meskhi

**Компьютерное  
редактирование**  
Роберт Месхи

**პასუხისმგებელი  
მდივანი**  
ლიანა გვასალია

**Executive  
Secretary**  
Liana Gvasalia

**Ответственный  
секретарь**  
Лиана Гвасалия

### **სარედაქციო საბჭო**

ჯონი აფაკიძე (საქართველო), დელვინ ჰარნიში (აშშ), ბილალ დინდარი (თურქეთი), ქემალ აბდულა (აზერბაიჯანი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), ღორის ფოგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), პეტრე კონონენკო (უკრაინა), ილონა მანელიდუ (საბერძნეთი), ილიას უსთონიერი (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ახმედოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), დავით გოცი-რიძე (საქართველო), ლეონიდე ჯახაია (საქართველო), მიხეილ ბოგუცკი (პოლონეთი), მარსაბო ჯაბაროვა (ტაჯიკეთი), ვილემ ჰენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოცერე (ლატვია), სვეტლანა ფერხო (ყაზახეთი), ჟანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), ზაირინისო იუსუფი (ტაჯიკეთი), მერი მადარშახი (საფრანგეთი), მარია კონსოლატა პრასკო (იტალია), იორდან ლუცკანოვი (ბულგარეთი), ქემალ მაკილი-ალიევი (აზერბაიჯანი).

### **Editorial Board**

Joni Apakidze (Georgia), Delwyn Harnisch (USA), Billal Dindar (Turkey), Kamal Abdulla (Azerbaijan), Andrew Harris (Great Britain), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Peter Kononenko (Ukraine), Iлона Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Ayten Mustafaeva (Azerbaijan), David Gotsiridze (Georgia), Leonid Jakhiaia (Georgia), Mikhael Bogutski (Poland), Marhabo Jabbarova (Tajikistan), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Svetlana Ferho (Kazakhstan), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Hairiniso Yusufi (Tajikistan), Mehri Madarshahi (France), Maria Consolata Priasco (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Azerbaijan).

### **Редакционный совет**

Джони Апакидзе (Грузия), Делвин Гарнишч (США), Билял Диндар (Турция), Кямал Абдулла (Азербайджан), Эндрю Харрис (Великобритания), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Петр Кононенко (Украина), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), Айтен Мустафаева (Азербайджан), Давид Гоциридзе (Грузия), Леонид Джахия (Грузия), Михаил Богущкий (Польша), Мархабо Джаббарова (Таджикистан), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Светлана Ферхо (Казахстан), Жанна Толысбаева (Казахстан), Хайринисо Юсуфи (Таджикистан), Мери Мадаршахи (Франция), Мария Консолата Приаско (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Кямал Макили-Алиев (Азербайджан).

**EAN 9771512 43 6007**

**ღალი თავადე**

(საქართველო)

**სივრცე და ღიქისი.**

**ლოკალური სემანტიკის მქონე ღიქისიური ერთეულები**

როგორ ავხსნათ, სად მდებარეობს საგანი? როგორ აღვწერთ კერძო საგნების სივრცით ნიშნებს? მათ განზომილებებს სივრცეში და მათ ფორმას? ეს ის საკითხებია, რომელთა განხილვასაც ჩვენ შევეცდებით.

პიროვნების სამყაროში – იმ სამყაროში, რომელსაც ადამიანი აღიქვამს და აღწერს ენის საშუალებით – ის, პირდაპირი გაგებით, ყველაფრის საზომად შეიძლება ჩაითვალოს. ანთროპოცენტრიზმი მისი ენის სტრუქტურის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს (Козлова, 1997).

თუ ჩვენ გვსურს ავუხსნათ ვინმეს საგნის ადგილმდებარეობა, უნდა დავადგინოთ მიმართულების მაჩვენებელი ისეთი ხერხები, რომლებიც გვიჩვენებენ სივრცეში ერთი ადგილიდან მეორისაკენ მიმართებას. უფრო მეტიც, მოსახერხებელია, თუ აუცილებელი არა, საზომი ერთეულების შემოღება. აქ შეიძლება ორ მნიშვნელოვან საკითხზე გაგამახვილოთ ყურადღება. პირველი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ  $x$  და  $y$ -ის შორის არსებული მანძილი შეიძლება ორნაირად განვსაზღვროთ: 1) იმ დროის საშუალებით, რომელიც  $x$ -დან  $y$ -ისკენ მსვლელობის დროს განსაზღვრული ან დადგენილი სიჩქარიდან გამომდინარეობს; და 2) რაიმე საზომის საშუალებით. პირველი მეთოდის გამოყენებით, შეიძლება ითქვას –  $x$  ერთი საათის მანძილითაა დაშორებული  $y$ -სგან, რომლის კონტექსტიც შეიძლება ფეხით, ცხენით, მანქანით და ა.შ. მგზავრობას გულისხმობდეს, ხოლო მეორე მეთოდის გამოყენებისას კი –  $x$  რამდენიმე იწიით, ფუტით, იარღით თუ მილითაა დაშორებული  $y$ -სგან.

რაც შეეხება მეორე საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ მანძილი –  $x$ -დან  $y$ -მდე შეიძლება ზუსტად არ დაემთხვას  $y$ -დან  $x$ -მდე მანძილს. ეს, ცხადია, ასე იქნება, თუ მანძილი პირველი მეთოდის საშუალებითაა დადგენილი, მაგრამ მეორე მეთოდის გამოყენების შემთხვევაშიც შეიძლება იგივე მოხდეს; მუდამ გვექნება საქმე ვარაუდთან. ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი გზა  $x$ -დან  $y$ -მდე შეიძლება უფრო მოკლე ან გრძელი დარჩეს, ვიდრე იგივე გზა  $y$ -დან  $x$ -მდე. ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომ უკეთესია შემდეგი კითხვა დავსვათ „How far is it from  $x$  to  $y$ ?“, ვიდრე „what is the distance between  $x$  and  $y$ ?“ (Levinson, 1996).

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი არ არის საგანი და მათ შორის განსხვავებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. რადგანაც ადგილი არ არის საგანი, რაიმე მთლიანობა, ე. ი. არც საგანი მიიჩნევა ადგილად. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ისინი ადგილს იკავებენ, ხელს გვიწყობენ იმ ადგილის დადგენაში, რომელიც უკავიათ. მაგალითად:

I'll meet you at the car.

„the car“ ადგილის არაპირდაპირ მსაზღვრელად შეიძლება მივიჩნიოთ, ე. ი. ის ადგილი, სივრცე, რომელსაც მანქანა იკავებს. მაშასადამე, მივიღვართ დასკვნამდე,

რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითი შემდეგს გულისხმობს: „მე შეგხვდები იქ, სადაც მანქანაა გაჩერებული“. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ მაგალითზეც: *John is with Peter* – ე. ი. ჯონი არის იქ, სადაც პიტერი იმყოფება (*ibid.* 1996).

ამ ანალიზით შორს ვერ წავაღო. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ეს წინადადებები სემანტიკურად შესაბამისი იქნებოდა ისეთ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, როგორებიცაა – *where will you meet me?* და *where is John?* ის, რაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, არის მათი ადგილებთან დაკავშირების ფაქტი.

ისეთი ტერმინების, როგორებიცაა *north, south, east* და *west* გამოყენება წარმოადგენს საგანთა ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრის ერთ-ერთ მეთოდს. ასევე შესაძლებელია საგანთა განლაგება მოვახდინოთ მზის ამოსვლისა და ჩასვლის მიხედვით, ვარსკვლავების, წელიწადის რომელიმე დროს ქარის სიმძლავრის ან ხმელეთის ცნობილი ორიენტირის მიხედვით (ზღვა, მდინარე, მთის ზღვარი და ა.შ.). საინტერესო იქნებოდა აღგვენიშნა, რომ ძველ ირლანდიურში სიტყვები – *front, back, right, left* გამოიყენება შემდეგი სიტყვების – *east, west, south* და *north*-ის თარგმნისას (*Thurneyson, 1946:305*).

ბევრ ენაში ასეთი სახის ორიენტაციული სხვაობები არა მარტო ლექსიკალიზებული, არამედ გრამატიკალიზებულია, მაგრამ აქ ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ საგანთა ადგილმდებარეობის ან მათი მოძრაობის მიმართულების დადგენის უფრო ჩვეულებრივ გზაზე საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების საშუალებით: *up/down, front/back, right/left*. ინგლისურისა და სხვა ენებისათვის ასეთი სახის განმასხვავებელი ნიშნები, დიქსურ ნიშნებთან *here/there* ერთად, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის სხვაობები, რომლებიც მიუთითებენ ხმელეთის კონკრეტულ ორიენტირს ან რაიმე ბუნებრივ ფენომენს (*Lyons, 1995*).

მაგალითად, ინგლისურში შეუძლებელია ისეთი წინდებულების მნიშვნელობის დადგენა, როგორებიცაა: *above, below, behind, beside, in front of* და *at the side of* – შემდეგი ოპოზიციის გათვალისწინების გარეშე: *up/down, front/back* (*Bennett, 1975*).

ის პრინციპები, რომლებიც შემდეგი სიტყვების – *top, bottom, front, back* და *side* გამოყენებას განსაზღვრავენ, საკმაოდ რთულია ინგლისურში, მაგალითად:

*There are some nails in the top of the cupboard.*

„*top of the cupboard*“ – სამი შესაძლო ინტერპრეტაცია შეიძლება მოეძებნოს, თუმცა რომელი ინტერპრეტაცია იქნება შესაფერისი, ეს ჩვეულებრივ გაირკვევა იმ წინდებულებიდან გამომდინარე, რომელთანაც ის იქნება გამოყენებული (მაგალითად: *on/in*), ან კიდევ, კონტექსტის დამატებითი ინფორმაციის საშუალებით (*Leech, 1969; Teller, 1969*).

განვიხილოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: როდესაც ორი ადამიანი საუბრობს, ისინი, ჩვეულებრივ, ერთმანეთის პირისპირ დგანან. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც *x*-სა და *y*-ის შორისაა მათი ერთმანეთთან პირისპირ დგომის დროს, ორივე მათგანის წინ იქნება მოთავსებული; მაგრამ ის, რაც *x*-ის მარჯვნივ მდებარეობს, *y*-ის მარცხნივ აღმოჩნდება და რაც *x*-ის უკანაა, *y*-ის წინ იქნება მოთავსებული, მაგალითად:

*The church is behind the town-hall* – ეს წინადადება შესაძლოა შემდეგნაირად აიხსნას: ერთი ინტერპრეტაციით მოსაუბრე ეკლესიას მუნიციპალიტეტის უკანა ნაწილთან ახლომდებარე ადგილზე ათავსებს, ხოლო მეორე ინტერპრეტაციის მიხედვით, ის უგულებელყოფს კანონიკურ ორიენტაციას და მუნიციპალიტეტს ისევე უდგება, როგორცაა ის მიუდგებოდა ხეს ან რაიმე სხვა საგანს, რაც თვით მოსაუბრესა და ეკლესიას შორის მდებარეობს (*Leech, 1969:168*). რა თქმა უნდა, ეს ორი

ინტერპრეტაცია ერთმანეთს დაემთხვევა, თუ მუნიციპალიტეტის რეალური ორიენტაცია, მოსაუბრის გათვალისწინებით, კანონიკურ ორიენტაციას დაემთხვევა.

მეორე საკითხი, რომელზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა ლოკატიური გამოთქმა, რომელიც მოიცავს განზომილებასა და ორიენტულობას, იმპლიციტურად თუ არაპირდაპირად მიმართულების მქონედ აღიქმება, ე. ი. აღიქმება, როგორც დინამიკური და არა სტატიკური. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი – Gwyneth walked through the kitchen.

ბევრი მოსაზრება გამოითქვა ანალოგიურ წინადადებებთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მოხდეს მიმართულების მქონე მსგავსი წინადადების ინტერპრეტაცია, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გამოთქმებს, რომლებიც ბილიკზე (თუ გზაზე) მისათითებლად გამოიყენება (Bennett, 1975:18).

ეს საკითხი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დინამიკური კონსტრუქცია – How far is it from x to y? შეიძლება უფრო მნიშვნელოვნად ჩავთვალოთ, ვიდრე სტატიკური კონსტრუქცია – What is the distance between x and y? დისტანცია ყოველთვის მითითების პუნქტიდან იზომება. თუ ვამბობთ, რომ x სამი მილით არის დაშორებული y-საგან, ვგულისხმობთ, რომ პიროვნებამ სამი მილი უნდა გაიაროს მითითების პუნქტიდან. ამ შემთხვევაში იგულისხმება y-ის ადგილმდებარეობა, იმისათვის, რომ იმ ადგილს მიაღწიოს, სადაც X იმყოფება. თუკი არ მოგვეპოვება მითითების ადგილი, არც ექსპლიციტურად და არც იმპლიციტურად, როგორც ეს შემდეგ გამონათქვამში გვაქვს – The church is three miles away – მაშინ, ჩვეულებრივ, მოსაუბრის ადგილმდებარეობა უნდა ჩაითვალოს რეალური თუ შესაძლებელი მგზავრობის დაწყების წერტილად. ორიენტაციის მქონე ლოკატიური გამოთქმები, up/down, front/back ისეთი გამოთქმის მსგავსია, როგორცაა – three miles away, რადგან მათ შემცველ გამონათქვამებში ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად, მაინც მოიპოვება მითითების პუნქტი (ადგილი).

ინგლისურ ენაში საგნებისა და ადგილების ფორმას, განზომილებასა და ორიენტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთი პოზიციური და რაოდენობრივი ზედსართავი სახელების ანალიზისას, როგორებიცაა: long, short, far, near, high, low, deep, shallow, wide, narrow, thick, thin. პოზიციური ზედსართავები, სემანტიკური თვალსაზრისით მაინც შეიძლება მივიჩნიოთ პრედიკატულ ლოკატიური სტრუქტურებიდან ნაწარმოებ ზედსართავ სახელებად. მაგალითად, a distant building, გულისხმობს იმ შენობას, რომელიც გარკვეულწილად დაშორებულია მითითების წერტილიდან; a long building, მეორე მხრივ, ის შენობაა, რომელიც გარკვეულ სივრცობრივ განზომილებაშია გადაჭიმული და მისი სივრცე შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ თვისებად, რომელიც სივრცეში მის ადგილმდებარეობაზე არაა დამოკიდებული.

ტერმინი „ადგილობრივი გამოთქმა“ (localism) აქ იმ ვარაუდს გამოხატავს, რომ სივრცითი გამოთქმები გრამატიკულად და სემანტიკურად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვადასხვა სახის არასივრცითი გამოთქმები (Anderson, 1979, 1973a).

სივრცით გამოთქმებს დიდი ლინგვისტური მნიშვნელობა აქვთ; ფსიქოლოგებიც ამ აზრს უჭერენ მხარს, რადგან მიაჩნიათ, რომ სივრცით ორგანიზაციას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ცნობიერებასა და აღქმაში (Miller G, 1976).

ადგილობრივი გამოთქმების ძლიერი და სუსტი ვარიანტების გარჩევა შესაძლებელია იმ გრამატიკული კატეგორიებისა და კონსტრუქციების მიხედვით, რომ-

ლებიც ამ სფეროში შედიან. აღნიშნავენ, რომ ბევრ ენაში ხდება ტემპორალური გამოთქმების ლოკატიური გამოთქმიდან წარმოება. მაგალითად, თითქმის ყველა წინდებული თუ ნაწილაკი, რომელიც ლოკატიურია ინგლისურში, აგრეთვე ტემპორალურიც არის (Traugott, 1975). წინდებულები *for*, *since* და *till*, რომლებიც თანამედროვე ინგლისურში უფრო ტემპორალურად ითვლებიან, ვიდრე ლოკატიურად, ისტორიულად ლოკატივებისაგან მომდინარეობენ და იმ წინდებულებმა, რომლებიც გამოიყენებიან, როგორც სივრცითი, ასევე ტემპორალური თვალსაზრისით, მოგვიანებით, ყველა შემთხვევისათვის ტემპორალური მნიშვნელობა გამოამჟღავნეს (Traugott, 1975).

ის, რაც დამახასიათებელია და რაც შეიძლება ითქვას წინდებულებისა და ნაწილაკების შესახებ, ასევე ახასიათებს ძალიან ბევრ ზმნას, ზმნიზედას, ზედსართავსა და კავშირს, არა მხოლოდ ინგლისურში, არამედ სხვა ენებშიც.

რაც შეეხება ადგილობრივ გამოთქმებს, გასათვალისწინებელია დროისა და ასპექტის გრამატიკული კატეგორიები. როგორც ვიცით, დრო დეიქსურ კატეგორიას წარმოადგენს; და აშკარა პარალელიც არსებობს სივრცით და ტემპორალურ დეიქსის შორის. იმდენად, რამდენადაც *here* და *there* შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ – *at this place* და *at that place*, ასევე შესაძლებელია *now* და *then* განისაზღვროს, როგორც *at this time* და *at that time*. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სხვადასხვა ენის დროის სისტემებში უნდა მოხდეს ლოკატიური, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დეიქსური ფორმებისა და გამოთქმების გამოყენება იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან განვასხვაოთ წარსული და არაწარსული. მოგვიანებით ვნახავთ, რომ ის, რაც წარსულ დროდაა მიჩნეული, სულ ცოტა, ზოგიერთ ენაში მაინც განიხილება, როგორც მოძალური სიშორის ცნება.

ასპექტური სხვაობებიც დროსთან და სივრცესთან მიმართებაში, უფრო სივრცით სხვაობებს უკავშირდება. მოვლენა ხდება დროის განსაზღვრულ მომენტში მაშინ, როდესაც მდგომარეობა და პროცესი გრძელდება დროის განსაზღვრული პერიოდის მანძილზე. თუკი რაიმე მომენტი (წერტილი) შეიძლება მოთავსდეს ხაზზე, ასევე მოვლენაც შეიძლება განთავსდეს მდგომარეობის ან პროცესის ხანგრძლივობაში, მაგალითად:

Our first child was born (at a time) when we were very hard up; He was run over (at a time) when he was crossing the road.

ბევრ ენაში პროგრესულობისა და სტატიკურობის ასპექტური ცნებები გამოხატულია ისეთი კონსტრუქციებით, რომლებიც წარმოშობით ლოკატიურია (Anderson, 1973b; Comrie, 1976).

რა თქმა უნდა, პროგრესული დრო ინგლისურ ენაში, დიაქრონულად (ისტორიულად) ლოკატიური კონსტრუქციიდან მომდინარეობს. მაგალითად: *I've been a-courting Mary Jane*, სადაც დიალექტური, ახლა უფრო არქაული ფორმა *a-courting*, შესაძლოა აიხსნას, როგორც შემდეგიდან ნაწარმოები: *at (on, in) courting*.

ზოგიერთი ენათმეცნიერი ტემპორალურ განლაგებას სივრცით განლაგებასთან შედარებით ნაკლებად კონკრეტულად მიიჩნევს, მაგრამ მას სხვადასხვა სახის ეგრეთ წოდებულ აბსტრაქტულ განლაგებაზე წინ აყენებს (Anderson, 1971; Pottier, 1974). მაგალითად, თუ ამ შემთხვევას განვიხილავთ, მაშინ შემდეგი გამონათქვამი – *in despair*, ნაკლებად კონკრეტულად შეიძლება ჩავთვალოთ, ვიდრე გამონათქვამი – *in London*.

მაშასადამე, საკამათოა ის მოსაზრება, რომ არსებობა სხვა არაფერია, თუ არა ადგილმდებარეობის (ლოკაციის) შეზღუდული სახე აბსტრაქტულ, დეიქსურად

ნეიტრალურ სივრცეში (Lyons, 1995), და რომ ის არის დეიქსურად ნეიტრალური სახე ზმნიზედისა *there*, რაც განსაზღვრულ არტიკლში ზედსართავის ფუნქციას იძენს. მიუხედავად იმისა, ამ შეხედულებას მნიშვნელობას მივანიჭებთ თუ არა, ეგ-ზისტენციალური კონსტრუქციების ლოკატიური ფუძე უძრავლეს ენაში ეჭვს არ იწვევს და საკმაოდ ფართოდაცაა აღიარებული.

#### **ლიტერატურა:**

1. Козлова Н.Н. Социальная философия. Москва, 1997.
2. Levinson S C. in preparation Space in Language and Cognition: Explorations in Linguistic Diversity. Cambridge University Press, Cambridge. 1996.
3. Lyons, J. *Linguistic Semantics*. Cambridge: Cambridge University Press. 1995;
4. Miller G, Johnson-Laird P. *Language and Perception*. Cambridge University Press, Cambridge. 1976.

### **Lali Tavadze Space And Deixis. Localisms. Summary**

The article deals with the linguo-cultural problem and the ways to connect it with the time and space deixis. The purpose of the article is to show the means of the proximity and distance, to set the deictic centre that depends on the context of the utterance.

XI century linguistics thoroughly investigates the cases where language is seen as not only the means of communication but as cultural code as well. That is why there is no use of studying culture without linguistics.

The article shows different ways to define local and spatial dimensions with the connection of culture, state deictic centre and its great importance in the communication.

The importance of locational specifications in general can be shown from the fact that there seem to be two basic ways of referring to objects – by describing or naming them on the one hand, and by locating them on the other.

Our observation on deixis made it clear that in «time-space» structural complex time is dominant, that eventually implies temporalization of space .

### **Лали Тавадзе Пространство и Деиксис. Локальные Измерения. Резюме**

Статья касается языково-культурной проблемы и способов соединения ее с деиксисом времени и пространства. Цель статьи состоит в том, чтобы показать средства близости и расстояния, установить дейктический центр, который зависит от контекста произнесения.

Лингвистика XXI столетия полностью исследует случаи, где язык представляет собой не только средство коммуникации, но и культурный код. Именно поэтому нет смысла изучать культуру без лингвистики.



Статья указывает на различные способы определения местных и пространственных измерений в связи с культурой, на дейктический центр и на его большую важность в коммуникации.

Важность локальной спецификации в общем можно показать исходя из факта, что, есть два основных пути отношения к объектам – описание или название их, с одной стороны, и определение их местонахождения, с другой.

Наше наблюдение относительно с деиксисом показало, что структурное сложное время во "времени-пространстве" является доминирующим, которое, в конечном счете, подразумевает темпорализацию пространства.



# ნათია ქათამაძე

(საქართველო)

## პრესუპოზიციის როლი კომუნიკაციაში

პრესუპოზიციის კონსტრუქციული ორგანიზაცია ენაში ძალზე მრავალფეროვანია, თუმცა საკუთრივ ფუნქციიდან გამომდინარე, ერთიანია, რამდენადაც ის მიმართულია მხოლოდ ტექსტის სწორი გაგებისაკენ და იყენებს იმ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც თავიანთ მომხმარებელს ერთი აზრის ნათლად გამოხატვის საშუალებას აძლევს, მეორე მხრივ, ხელს უწყობს მსმენელს, მთლიანი აზრობრივი დატვირთვითა და სიცხადით გაიგოს ტექსტი.

მაგალითად, წინადადების „Martha doesn't regret drinking wine“ პრესუპოზიცია მსმენელს აწვდის ინფორმაციას, რომ Martha drank wine.

უფრო ფართოდაა გავრცელებული პრესუპოზიციები, რომლებიც იმ ტექსტის აზრობრივ ელემენტთა ჯაჭვზეა აგებული, რომლის საფუძველი ჩვენებითი ნაცვალსახელებაა.

პრესუპოზიციის შედარებით რთულ სახეობას ქმნის წინადადებათა ჯაჭვი, სადაც ლოგიკური წყობიდან გამომდინარე, წინა წინადადებების მნიშვნელობა განაპირობებს მომდევნო წინადადების გაგებას (Leech, 1985:89). ამგვარად, პრესუპოზიციურ გამონათქვამთა ჯაჭვი საკმაოდ მკაცრ ერთიანობას ქმნის. მაგალითად, „ციოდა, ჩვენ უნდა გვეჩქარა“. გამონათქვამი „ჩვენ უნდა გვეჩქარა“ მნიშვნელობას იძენს იმ პრესუპოზიციის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ სიტყვა „დავიანება“, შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს. მოცემული პრესუპოზიცია გამორიცხავს ზემოთ მოყვანილი გამონათქვამის სხვაგვარ გაგებას.

ენობრივი კომუნიკაცია, რომელიც კონკრეტულ პირობებში კონკრეტულ პირებს შორის მყარდება, რომლებიც, თავის მხრივ, თანამდებობრივი და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ასევე ქმნის საფუძველს პრესუპოზიციისათვის.

მაგალითად, ენობრივი ფორმა, რომელსაც ხელმძღვანელი თავისი დაქვემდებარებული პირის მიმართ იყენებს, შეიცავს ბრძანების ან მითითების პრესუპოზიციას.

პრესუპოზიციის ყველაზე გავრცელებული ის ტიპია, რომელიც კომუნიკანტთა ცოდნას ანუ ფონურ ცოდნას ემყარება და რომელიც ხელს უწყობს გამონათქვამის სწორ გაგებას (Levinson, 1983:56). ქვემოთ, პრესუპოზიციის საფუძველზე, უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ტექსტის კონტექსტუალური ანალიზის ძირითად გზებს.

პრესუპოზიცია, რომელიც მოცემულია არა წინადადების, არამედ უფრო ფართო კონტექსტში, მეტად საინტერესო მოვლენაა. ამ შემთხვევაში რომელიმე ფრაგმენტის გაგება ხდება სიტყვის ან გრამატიკული ფორმის შინაარსის გაშიფვრით, რომელიც კომუნიკაციური აქტის წინა მონაკვეთშია მოცემული.

აღნიშნული სახის პრესუპოზიცია რეალობაში ძალზე ხშირად გვხვდება, რადგან მასზე იგება ზეპირი თუ წერილობითი სახის ყოველდღიური კომუნიკაცია.

აღნიშნული პრესუპოზიციის სახესხვაობაა ჩვენებით ნაცვალსახელთა გამოყენება, რომელთა მნიშვნელობის გაგებაც ტექსტის წინა ფრაგმენტში სიტყვათა კავშირის შედეგადაა შესაძლებელი. იმავდროულად, აღნიშნული კავშირი მხოლოდ პრესუპოზიციურ ხასიათს ატარებს და არა გრამატიკულს, რამდენადაც სიტყვასა

და მის შემცველ სახელს შორის პირდაპირი კავშირი არ არის. აღნიშნული კავშირი შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ სიტუაციის ცოდნის შემთხვევაში. მაგალითად: შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი სახის კომუნიკაცია შედგება სიტუაციათა მთელი ჯაჭვისაგან, რომელთა სიტყვიერი გამოხატულება კომუნიკაციის მონაწილეებისათვის გასაგები მხოლოდ პრესუპოზიციის საფუძველზე ხდება. პრესუპოზიცია სინამდვილეში ლინგვისტური კომპეტენციის მოდელსა და კომუნიკაციური კომპეტენციის მოდელს შორის შუალედური რგოლია.

პრესუპოზიციის მეორე ტიპი გარკვეულ ცოდნაზეა დამყარებული. აღნიშნულ შემთხვევაში გამონათქვამის მნიშვნელობის გაგება უკვე შეუძლებელია ამ გამონათქვამის წინა ფრაგმენტიდან. ეს შესაძლებელია კომუნიკანტთა შორის დაგროვილი ცოდნის საფუძველზე (Strowson, 1991:78).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონტექსტის ცნების განმარტება სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვაგვარია. ზოგი მას უფრო ვიწრო, ხოლო ზოგი პირიქით, უფრო ფართო ასპექტში განიხილავს. მაგალითად, რ. ლაკოფი თვლის, რომ კონტექსტის ზოგიერთი ასპექტი უნივერსალური ლინგვისტური მნიშვნელობისაა და ყველა ენისთვისაა მისაღები, თუმცა არსებობს კონტექსტუალური პირობებიც, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში მქადავდება (Lakoff, 1970:102). მაგალითის სახით, ის ინგლისური ენის მასალაზე განიხილავს მოსაუბრის მიერ თავაზიანობისა და პატივისცემის გაგებას, კონტექსტუალური გამოხატულების საკითხს. სხვადასხვა პრესუპოზიციის საფუძველზე (ასაკი, თანამდებობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა) შესაძლებელ სიტუაციათა ვარიანტები მან სამ გამონათქვამში განიხილა:

- You must have some of this cake.
- You should have some of this cake.
- You may have some of this cake.

ყველა ზემოთ მოცემულ გამონათქვამს ძალუქს ამა თუ იმ პიროვნებისადმი ამა თუ იმ სიტუაციაში სხვადასხვა ხარისხის თავაზიანობა და პატივისცემა გამოხატოს (Ibid,120). მსგავსი ენობრივი მოვლენა მოცემულია შემდეგ გამონათქვამშიც: Come in, won't you? Please come in. come in. come in, will you?

ავტორმა, ზემოთ მოყვანილი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, უდავოდ სწორად განსაზღვრა კონტექსტის დიდი როლი გამონათქვამის აგების პროცესში. გამონათქვამი სხვადასხვა კომუნიკაციურ მნიშვნელობას შესაბამისი პრესუპოზიციების საფუძველზე იძენს. მოცემული მაგალითებიდან ცხადად ჩანს, რომ კონტექსტი უბრალოდ კი არ ასრულებს თავის ფუნქციას, არამედ იგი ნებისმიერი სამეტყველო აქტის ძირითად ბირთვს წარმოადგენს და მჭიდროდაა დაკავშირებული გამონათქვამის ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობასთან.

მკითხველი ზოგჯერ ვერ აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ფრაზის გაგება, ფაქტობრივად, დამოკიდებულია პრესუპოზიციზე, რომელსაც მკითხველის თეზაურუსი ქმნის.

ლინგვისტურად რთული სტრუქტურა შეიცავს მთელ რიგ დეტალებს, რომელთა უმეტესობასაც მსმენელი კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება არც შეეხოს, თუმცა, ის დეტალები, რომლებსაც ის ეხება, უნდა შეესაბამებოდეს სტრუქტურას, სხვაგვარად მსმენელი ვერ გაიგებს წინადადებას. მაგ.:

„ჯონმა თავისთვის გაიფიქრა: მერი ეს წუთია შევიდა სამზარეულოში“. იმ შემთხვევაში, თუ მსმენელს აინტერესებს, სად იმყოფება მერი, ის იგნორირებას

გაუკეთებს პრესუპოზიციას „შევიდა“, რადგან შესაძლებელია ჯონიც იმყოფებოდეს სამზარეულოში. ამ შემთხვევაში „შევიდას“ უფრო „გადაადგილების“ მნიშვნელობა აქვს.

ხოლო თუ მსმენელი დაინტერესებულია ჯონის ადგილმდებარეობით, მაშინ ის, ბუნებრივია, იგნორირებას ვერ გაუკეთებს აღნიშნულ პრესუპოზიციას. მის წარმოდგენაში, ზმნა „შევიდა“ ასოცირდება „გადაადგილებასთან“ და მას ემატება პრესუპოზიცია.

საგულისხმოა, რომ მსმენელმა როგორც არ უნდა გამოავლინოს ზმნა „შესვლის“ პრესუპოზიცია, ის ყოველთვის მის შეთანხმებას შეძლებს მისივე კონტექსტთან. აკადემიკოს პ. ლიხაჩევის ცნობილი გამოთქმა „აღმოვაჩინეთ ლიტერატურა ლიტერატურაში“ ზუსტად შეესაბამება იმ ნიშნის კონტექსტუალური განმარტების ფართო შესაძლებლობებს, რომელიც აკებულობს ლიტერატურის ფართო პრესუპოზიციაზე. აღნიშნული პრესუპოზიციის საფუძველზე, ლიტერატურათმცოდნეებმა ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების არსი მკითხველისათვის უნდა გახსნან.

აღნიშნული ტიპის კონტექსტს, პირველ რიგში, რეალიათა ცოდნა მიეკუთვნება. პრესუპოზიციის ეს ტიპი საჭიროებს კომუნიკანტთა სათანადო კულტურულ დონეს, განსაკუთრებით იგი დიდ როლს წერილობითი ურთიერთობისას და მთარგმნელობით საქმიანობაში თამაშობს. მაგალითად, წინადადებაში – *The proposed plan is a Metrical Program for Latin America* – ვერც ერთი მკითხველი ვერ ჩაწვდება, ამერიკელი კონგრესმენის მიერ წარმოთქმული სიტყვის აღნიშნული ფრაგმენტის აზრს, თუ აღნიშნული ტექსტის საზღვრებს გარეთ არსებულ ინფორმაციას არ ფლობს. ეს შესაძლებელია მხოლოდ პრესუპოზიციის საშუალებით, ე.ი. აუცილებელია იმის ცოდნა, რომ სიტყვა *metrical* აღნიშნავს აბებს, რომელსაც იღებენ შიმშილობის დიეტის დროს. ეს გაუადვილებს მკითხველს, მოცემული ფრაზის მთავარი აზრის გაგებას, („შიმშილობის“ ამერიკული გეგმა ამერიკისათვის).

ამრიგად, რეალურ კომუნიკაციაში ნებისმიერი ტექსტის გაგება მჭიდროდაა დაკავშირებული პრესუპოზიციის გრძელ ჯაჭვთან, რომლის ერთი რგოლის დარღვევაც, პრაქტიკულად, არღვევს კომუნიკაციის აქტს, რომელშიც აკუმულირებულია მთელი გამოცდილება, ლინგვისტური და ადამიანის ცოდნის ჩათვლით.

### **ლიტერატურა:**

1. Lakoff P. Linguistic and natural logic. – University of Michigan, 1970.
2. Levinson, S.C. *Pragmatics*. Cambridge University Press. 1983.
3. Leech G. *Semantics*-London, 1985.
4. Strawson T. *Intension and Convention in speech acts* – New-York, 1991.

### **Natia Katamadze** *The role of presupposition in communication* **Summary**

The paper deals with the study of semantic and pragmatic peculiarities of the theory presupposition. Nowadays the term presupposition is a problematic category because it seems to lie somewhere between the pragmatics and semantics. In fact, there are two rival theoretical approaches to presupposition - a logical theory which treats presupposition as a relation

between propositions , defined in terms of their truth and falsehood; and a pragmatic theory which treats presupposition as a question of the status of a speech act in relation to the speaker's or hearer's beliefs. Pragmatic theories of presupposition consider two basic concepts in particular: appropriateness and mutual knowledge. An utterance A pragmatically presupposes a proposition B, A is appropriate only if B is mutually known by participants. We conduct a detailed analysis to discover different types of presuppositions. It must be said that it is difficult to think of any language which does not contain the different types of presupposition.

**Натия Катамадзе**  
***Роль прессупозиции в коммуникации***  
**Резюме**

На сегодняшний день категория прессупозиции изучается двумя разными теориями: логической (семантической) теорией, которая изучает предположение по отношению к теореме с точки зрения „правды-неправды», и прагматической теорией, которая объясняет предположение с точки зрения статуса. В частности, она исследует акт речи, который основывается на вере говорящего или слушателя. Существует и иной подход, который рассматривает прессупозицию, как синтез логического и прагматического.

По прагматическим теориям прессупозиции рассматриваются две основные концепции: уместность и взаимное знание. Например: выражение «А» прагматически предполагает выражение «В». «А» является подходящим только в том случае, когда «В» хорошо знакомо для участников коммуникации.

Исходя из вышесказанного, прессупозиция не что иное, как способ семантического анализа текста, который объясняет связь между выражениями и основывается на предполагаемом значении входящих в текст слов, словосочетаний и предложений. Надо отметить, что не существует языков, в которых не встречаются разные типы прессупозиций.



**Сонаханым Садик**

(Азербайджан)

**О НЕКОТОРЫХ СЕМАНТИЧЕСКИХ ОТНОШЕНИЯХ В ХУДОЖЕСТВЕННОМ  
ТЕКСТЕ  
(на материале английского и азербайджанского языков)**

В работе мы будем понимать под текстом, согласно определению И.Р.Гальперина, такую упорядоченную и письменно зафиксированную совокупность языковых знаков, которая вместе с заголовком образует законченное литературно-обработанное речевое произведение (Гальперин, 1981:18). Это определение содержит в сжатом виде все основные характерные особенности текста, а именно: выраженность, структурность и связность.

Текст осуществляется в определенных рамках, для того, чтобы постичь «максимально-эффективную передачу информации» (Абдуллаев, 1984:275) по определенной конкретной теме. Этим обуславливается его цельность. Но чтобы быть цельным, текст должен быть связным. Связность текста в первую очередь осуществляется повторными компонентами разного уровня. Для азербайджанского литературного языка характерны такие виды повтора, как лексический, в художественных стилизованных текстах имеет место также синтаксический повтор. В английском языке связность, в основном, осуществляется через дейктические элементы, которые функционируют вместо разных лексических (полных, неполных) видов повтора.

В рамках текста наблюдаются различные формальные и семантические связи между его компонентами. Следует отметить, что эти связи, которые в лингвистической литературе именуется соответственно как когезия и когерентность, находятся в очень тесных отношениях и могут функционировать совместно (Halliday, 1976:374; Rudolph, 1989:175-180). Наконец, они представляют собой сложную систему семантических отношений между компонентами текста. Семантические отношения и их эксплицитные формальные показатели необходимы с точки зрения пояснения связи между компонентами текста. Многие исследователи в области лингвистики текста (Г.Я.Солганик, М.А. К. Халлидей, Э.Рудольф, К.М.Абдуллаев и др.) рассматривали данную проблематику на материале русского, английского, азербайджанского и других языков (Солганик, 1973:213; Halliday, 1976:374; Абдуллаев, 1984:275). Конечно же, обычно передаваемая в тексте мысль изменяется в соответствии с контекстуально обусловленным смыслом текста и коммуникативными установками автора. В общем смысле семантические отношения в тексте диктуются так называемым presuppositional фондом.

В рассматриваемом материале в качестве важных семантических отношений в тексте чаще всего выделяются причинно-следственные, аддитивные и адверсативные связи. Причиной нашего обращения к данным связям заключается в том, что именно они очень тесно переплетены между компонентами художественного текста и вместе с эксплицитными средствами когезии, а также имплицитными ассоциациями формируют дискурсивное пространство (Enkvist, 1989:369-382). Рассмотрим следующие примеры:

1) Major said Hazan was buried with full military honours in that section of the military cemetery reserved for Air Force officers who had died in the service of the Syrian Arab

Republic. There was a large turnout of dignitaries and senior ranking officers. The cause of death, as announced in the Damascus morning newspapers, was given as heart failure brought on by the ravages of an old war wound, bravely borne. Amongst those who carried the coffin to the deep cut grave was Fawzi. He wore a new uniform for the occasion, and the uniform carried the insignia of a captain, and the brigadier who headed Air Force Intelligence and who was the pallbearer immediately ahead of Fawzi, had told the young man that in the circumstances he was right to have shot the Jew. And no doubt the brave major had been so severely injured in his throat that the Jew's very first assault was fatal (Seymour, 1993:505)

2) Kelly had never been in a jungle. In preparation for this trip, she had scanned books and articles, but the first sight of the rain forest was not what she had expected.

As she followed the four Rangers in the lead, she craned around in wonder. Contrary to old movies, the understory of the Amazon rain forest was hit a clothed mess of clinging vines and overgrows vegetation. Instead it was more like they were marching through a green cathedral. A dense company of woven tree branches arched overhead absorbing most of the sunlight and casting everything in a greenish low. Kelly had read that less than 10 percent of the sun's light pierced through the unbroken green tent to reach the jungle floor. Because of this, the lowest level of the forest, where they walked now, was surprisingly clear of vegetation. Here the jungle was a world of shadow and decomposition, the domains of insects, fungi, and roots. (Rollins, 2007:50-51).

3) Qız-gəlin yığılmışdı anamın başına. Babamın ətli-canlı, döşlərinin hər biri balaca bir qarpız boyda, zarafatlı bacısı qızı Güləndan nə isə məzəli bir əhvalat danışır, anamgil isə gülüşürdü. Onlardan bir az aralı güneydə Səkinə nənə, atam, bir də Eyvaz dayı oturub söhbət edirdilər. Fatma nənəm isə alaçıqın ağzında, təkçə oturub, bir əlində papirosu tüstülənən müştüyü, uzaq üfüqdən dumanlı dağlara baxırdı. Hiss olunurdu ki, arvadın fikri də uzaqlardadır. «Kim bilir...Bəlkə nənəm, Kürdüstan meşələri arasındakı bacı-qardaşlarını, qohum-əqrabalarını xatırlayır». Ürəyimi anlaşılmaz qəm-qüssə bürüdü, nə üçün isə «Yazıq nənə»...deyə düşündüm. Bəlkə də bu, ondan idi ki, Fatma nənəm bu obada qərib görünürdü, hiss edirdim ki, hamı arvada yad kimi baxır, biruzə verməsələrdə mən hiss edirdim. Fatma nənəm də söhbətlərə qarışmağa, adamlarla qaynayıb-qarışmağa can atmırdı (Əfəndiyev, 1987:387).

Не отрицая возможности приема различными компонентами художественного текста дополнительных композиционных и экспрессивно-смысловых нагрузок, тем не менее, полагаем, что смысл всего текста не присутствует лишь на уровне речи, а создается также посредством взаимоотношений между значениями эксплицитных языковых единиц, которые объединены в его составе.

В английских текстах к этим языковым единицам относятся «cause», «and», «contrary», «as», «because of», которые являются носителями причинно-следственных, адверсативных и аддитивных отношений. В азербайджанском тексте мы наблюдаем более насыщенное употребление различных грамматических (частицы «bir də», «isə» и т.д.) и лексических (элемент «ondan») средств для указания на целый набор аддитивных, адверсативных и причинно-следственных отношений.

Таким образом, отправитель выбирает определенные модели и средства языковой системы для выражения соответствующих значений, что отражается в рамках текста. Именно благодаря семантическим отношениям текст формируется не только с помощью

структурной составляющей части, но и различного типа сложной содержательно-смысловой полноты.

Наряду с эксплицитными показателями различного рода семантических связей, существуют также и имплицитные связи которые четко характеризуют смысловые и логические ассоциации в тексте.

Имплицитные связи между компонентами текста требуют более глубокого проникновения в ткань всего дискурса.

1) The aircraft was late.

The aircraft was at the end of its flying life. At very stopover it required comprehensive maintenance testing. The aircraft was elderly because that way the premiums paid to Lloyds of London by Middle East Airlines for comprehensive insurance cover could be kept to a reasonable figure.

The aircraft landed from Paris in the middle of the afternoon. It had come in over the sea, the view of Beirut had been minimal in the heat haze. (Seymour, 1993:398)

2) Dayandım. Uşaqlardan eşitmişəm ki, Mehdi Hüseyn bizim ədəbiyyat fakültəsində yuxarı kursda bir neçə ay dərs deyib. Özü də Mirzə Cəlildən. Düz üç ay onun yaradıcılığından danışib. Son dərsdə tələbələrəndən biri dözməyib:

- Müəllim, - deyib - Cəlil Məmmədquluzadədən nə qədər danışacaqsınız, bəs deyilmi?

В данном отрезке когерентность обеспечивается путем извлечения имплицитных значений с помощью пресуппозиционного фонда участников этих художественных дискурсов.

Таким образом, в рассматриваемом материале связь между компонентами текста художественного дискурса может быть либо эксплицитной, либо имплицитной. Эксплицитная связь в тексте реализуется, как правило, с помощью грамматических и лексических средств, а имплицитная связь присутствует в нем не при помощи отдельных языковых средств, а через ассоциации, возникающие у партнера коммуникации, на основании сообщенного и сообщаемого. Именно такая связь в первую очередь, делает текст художественным дискурсом.

Так выглядит наша попытка описания некоторых семантических отношений в тексте через осмысление, ориентированное в дискурсивную информацию. Материалы английского и азербайджанского языков позволяют эффективное представление рассматриваемых отношений.

### *Литература:*

1. Абдуллаев К.М. Теоретические проблемы синтаксиса азербайджанского языка. Дисс... доктора филологических наук. Баку, 1984.
2. Гальперин И.Т. Текст как объект лингвистического исследования. Москва, Наука, 1981.
3. Солганик Г.Я. Синтаксическая стилистика (сложное синтаксическое целое). Москва, Наука, 1973.
4. Enkvist N.E. From Text to Interpretability: A Contribution to the Discussion of Basic Terms in Text Linguistics//Convexity and Coherence; Reserved in theory/Ed. by W.Heydrich – Berlin – New York, 1989.



5. Halliday M.A.K., Hasa R. Cohesion in English. London, 1976.
6. Rudolph E. The role of conjunction and Particles for Text Convexity. Text and Discourse Connectedness. John Benjamins, 1989.
7. Seymour G. A song in the morning. At close quarters. Homerew. London, Harper, 1993, 768p. Rollins J. Amazonia. New York, Harper, 2007.
8. Əfəndiyev İ. Üç roman. Bakı, Gənclik, 1987.
9. Şıxlı İ. Məni itirməyin. Bakı, Gənclik, 1984.

**სონახანიმ სადიკ**

***ზოგიერთი სემანტიკური ურთიერთობის შესახებ მხატვრულ ტექსტში***

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია მიზეზ-შედეგობრივი, ადეტიური და ადვერსატიური კავშირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექსტის კოგერენტულობას და ამით დისკურსიულ სივრცეს აყალიბებენ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტექსტის კომპონენტებს შორის ექსპლიციტურ და იმპლიციტურ კავშირებს. ფაქტობრივ ენობრივ მასალად გამოყენებულია ინგლისელი, ამერიკელი და აზერბაიჯანელი ავტორების მხატვრული ნაწარმოებები.

**Sonakhanim Sadik**

***On Some Semantic Relations in Artistic Text (based on content in English and Azerbaijani)***

**Summary**

The article considers the role of cause-effect, additive and adversative relations that ensure coherency of text and thus form discursive space. Particular attention is given to explicit and implicit relations between components of text. Artworks of English, American and Azerbaijani are used as factual linguistic content.



## მერი მახარაძე

(საქართველო)

### კვაზიმოდალი Have to-ს ბანვიტარების ახალი ხედი ინგლისურ ენაში

პრემოდალების ანალიზში ყველაზე მნიშვნელოვანი, ლაითფუტის მიხედვით, არის სემანტიკურად ერთი და იგივე, მაგრამ სინტაქსურად სრულმნიშვნელოვანი ზმნების განვითარება. ლაითფუტი ამ ზმნებს „კვაზიმოდალებს“, ანუ ნახევარ-მოდალებს უწოდებს (Lightfoot, 1979:112).

ინგლისურში კვაზიმოდალების განვითარება გრამატიკალიზაციის მიმდინარე პროცესის ნაწილია, რომელშიც სრულმნიშვნელოვანი ზმნების კონსტრუქცია ვერბალურ პერიფრაზად ვითარდება. ენის ნებისმიერ სინქრონულ მდგომარეობაში შესაძლებელია ვერბალური პერიფრაზის პოვნა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. Have to კონსტრუქციის განვითარება ამ პროცესის ნათელი მაგალითია, რადგან თანამედროვე ინგლისურის ადრეულ ეტაპზე თავდაპირველი კონსტრუქცია, როგორც ჩანს, გაიყო ორ ცალკეულ კონსტრუქციად, რომლებიც ვერბალურ პერიფრაზამდე სხვადასხვა გზით მივიდნენ. Have to-ს განვითარების აქ წარმოდგენილი მოსაზრება არის მცდელობა იმისა, რომ დაიძლიოს ტრადიციული შეხედულების ზოგიერთი პრობლემა.

Have-ის კუთვნილების მნიშვნელობის დაკარგვა ტრადიციულად მიიჩნევა როგორც მისი გრამატიკალიზაციის განუყოფელი ნაწილი. როგორც ბაიბი და პაგლიუკა დამაჯერებლად ირწმუნებიან, „ლექსიკური შინაარსის დაცარიელება არის გრამატიკალიზაციის პრერეკვიზიტი, რადგან გრამატიკული ფუნქციები მათში აუცილებლად აბსტრაქტულია“ (Bybee and Pagliuca, 1985:71-74). არსებობს ლექსიკური განვითარების პერიოდი, როგორც ისინი თვლიან, რომელშიც ზმნა გარდაიქმნება „საკმარისად აბსტრაქტულად და განზოგადებულად“ იმისათვის, რომ გრამატიკალიზებისთვის შესაფერისი იყოს (Ibid,1985). ისინი ამ განვითარებას ფიზიკური, კონკრეტული მნიშვნელობის დაკარგვით ხსნიან: „to hold in one's hand“ შეიცვალა შემდეგი მნიშვნელობით „to have physically present“ შემდეგ, როგორც „to have or own (not physically present)“ და ბოლოს „to have abstract possession (e.g. time, idea)“. მნიშვნელობის ასეთი განზოგადება გვხვდება უკვე ძველ ინგლისურში ისეთ კონტექსტში, სადაც have-ს ახლავს ინფინიტივი და ისეთშიც, სადაც მას ახლავს მარტივი არსებითი სახელი.

Have-ის კუთვნილების მნიშვნელობის დაკარგვა ასევე ტრადიციულად მიჩნეულია დესემანტიზაციის მაგალითად, რომელსაც ლეჰმანი „კლებას“ უწოდებს (Lehmann 1985:307-309). მიუხედავად ამისა, უფრო აბსტრაქტული მნიშვნელობის შექმნა გაიკება როგორც მნიშვნელობაში ცვლილება.

განზოგადებული have-ის გამოჩენა ვერბალურ კომპლიმენტთან ერთად ქმნის კუთვნილების სტრუქტურისაგან სრულიად განსხვავებულ სტრუქტურას. ამ სტრუქტურაში ინფინიტივი ფუნქციონირებს როგორც ობიექტური კომპლიმენტი და არა როგორც ადიუნქტი და ის აუცილებელია, რადგან, თუ მას ამოვიღებთ, შეიცვლება კონსტრუქციის მნიშვნელობა. Have და ინფინიტივი არ ირჩევენ ცალკეულ თემა როლებს. არგუმენტული სტრუქტურა განსაზღვრულია ინფინიტივით და არა have-ით. ინფინიტივით გამოხატული მოქმედების მიმართ დამატება ლოიალურია, ხოლო have-ის სუბიექტი თანარეფერენტულია ინფინიტივის სუბიექტთან. ვიზერის ინტუი-

ცია, იმასთან დაკავშირებით, რომ „კონსტრუქციის დანარჩენი წევრი სემანტიკურად უფრო მნიშვნელოვანია“, ვიდრე *have*, როგორც ჩანს, მართლდება. კონსტრუქციის მნიშვნელობა მხოლოდ *have*-ის მნიშვნელობას კი არ ეყრდნობა, როგორც ეს კუთვნილებით კონსტრუქციაშია, არამედ განზოგადებული *have*-ის კომბინაციას ინფინიტური ფორმის მნიშვნელობასთან ერთად: კოპულასა და კუთვნილების მარკერის როლი იმაში მდგომარეობს, რომ ინფინიტური პრედიკაცია მიაკუთვნოს შემსრულებელს (ადრესანტს). ეს კი **მოვალეობის** მნიშვნელობას სძენს მას (Bybee and Pagliuca, 1985:111). მაშინ, როდესაც *have*-ს დამატებული ნამყოს მიმღეობა ქმნის დასრულებული მოქმედების (ე.ი. პერფექტის) მნიშვნელობას, *have*-ს დამატებული ინფინიტივი ქმნის „არადასრულებულ“ მოქმედებას: „პიროვნებას „აქვს“ დაუსრულებელი მოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ეს მოქმედება ჯერ კიდევ შესასრულებელი აქვს ან როგორც აუცილებლობა (შინაგანი წყარო), ან როგორც ვალდებულება (გარეგანი, საზოგადო წყარო)“ (Ibid, 1985:73). აქ ჩვენ ვხედავთ ტრადიციულ წყაროს იმის შესახებ, რომ ეს კონსტრუქციები გამოხატავენ კუთვნილებას (ყველაზე აბსტრაქტულ და კავშირებით მნიშვნელობას) და მოვალეობის ერთობლიობას. ბრინტონს მიაჩნია, რომ მხოლოდ პრედიკატული სტრუქტურა და არა სრულმნიშვნელოვანი ზმნის სტრუქტურა მიდრეკილია გრამატიკალიზაციისადმი და მასში მოვალეობისა და აუცილებლობის მნიშვნელობები დომინირებს (Brinton, 1991).

მიუხედავად იმისა, რომ პრედიკატული სტრუქტურა მთლიანად გრამატიკალიზებული არ არის როგორც ვერბალური პერიფრაზი, ის ადიუნქტისგან განსხვავებით, მზადაა შემდგომი გრამატიკალიზაციისათვის.

ვერბალური პერიფრაზი ვითარდება პრედიკატული სტრუქტურისგან რამდენიმე თანდათანობით ცვლილებების გავლით, რომელიც შუა საუკუნეების ინგლისურის პერიოდში გვხვდება. ამ მოვლენათა თანამიმდევრობის დადგენა რთულია, მაგრამ ის კულმინაციას აღწევს პრედიკატული და პერიფრაზული სტრუქტურების სინტაქსურ და სემანტიკურ დიფერენციაციაში თანამედროვე ინგლისურის ადრეულ ეტაპზე.

შუა საუკუნეების ინგლისურის პერიოდში ჩნდება გარდაუვალი ინფინიტივი. ლეჰმანი (Lehmann, 1985:308-309) ამ ცვლილებას „კონდენსაციას“ უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეცნიერი გარდაუვალ ინფინიტის გვიანი პერიოდით ათარიღებს, მთელი შუა საუკუნეების ინგლისურის პერიოდში არსებობს გარდაუვალი ინფინიტის მაგალითები, თუმცა, მთლიანობაში ისინი მაინც ცოტაა. გარდაუვალი ინფინიტის შემოსვლა სხვადასხვა გზით გაგრძელდა: ინფინიტის ახლავს ადვერბიული ფრაზა, მაგ.: **He hade ferrest to fare** ან წინდებულიანი დამატება **To yow have I to speke of o matere** („To you have I to speak of one matter“), ან ელიპტიკური სტრუქტურა განუსაზღვრელი დამატებით, როგორცაა **something** ან **enough**, მაგ.: **for þe sculleð habben to drinken** („for you shall have (something) to drink“).

*have to* კონსტრუქციის შემდგომი გაფართოება მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ გაჩნდა უსულო ქვემდებარე. რადგან ეს ძალიან იშვიათია, როგორც შუა საუკუნეების ინგლისურში, ისე თანამედროვე ინგლისურში, დასაშვებია ის ფაქტი, რომ ვალდებულების დეონტიკურ მნიშვნელობას ჩაენაცვლა ლოგიკური აუცილებლობის ეპისტემიკური მნიშვნელობა.

ეპისტემიკური მნიშვნელობის განვითარება *have to* კონსტრუქციაში სრულიად შეესაბამება მოდალურ ოგზილარებში და სხვა ფორმებში დეონტიკურიდან ეპისტემიკურ მნიშვნელობაზე გადასვლის პროგრესს. ბაიბი და პაგლიუკა მნიშვნელობაში

ასეთ ცვლილებას ხსნიან, როგორც მეტაფორული მნიშვნელობის განვითარების პროცესს (Bybee and Pagliuca, 1985:73), მაშინ როდესაც ტრაუგოტი მას მიიხნევს პრაგმატული მსჯელობის საგნად (Traugot, 1990:509).

მოგვიანებით იკლებს პარადიგმული ცვალებადობა, რასაც ლეჰმანი „ობლიგატორიფიკაციას“ უწოდებს (Lehmann, 1985:509).

მიუხედავად ამისა, ობლიგატორიფიკაცია არ არის დასრულებული შუა სს-ის ინგლისურში, სადაც, მაგალითად „ought to“-ს რამდენიმე სინონიმი არსებობს შუა სს-ის ინგლისურში, რომლებიც ვალდებულებას გამოხატავენ, როგორცაა *agan* (need) *pearfe*, *gabyreþ*, *behoove þ*, *ben due to*, *been bounde to*, და ა.შ. + infinitive, ხოლო „must“-ის სინონიმები, რომლებიც აუცილებლობას გამოხატავენ არის: *ben bound(en)*, *compelled*, *forced* და ა.შ., ან *haven-ს* + infinitive. მიუხედავად ამ ცვლილებისა, რომლებსაც *have-ის* შემდგომ გრამატიკალიზაციამდა მიყვავართ, ის ვერ აღწევს სრულ ოგზილარულ სტატუსს შუა სს-ის ინგლისურში.

თანამედროვე ინგლისურის ადრეულ ეტაპზე ვერბალური პერიფრაზის ჩამოყალიბების სამი საფეხური ჩნდება, ესენია: „პარადიგმატიზაცია“ „კოალიცია“ და „ფიქსაცია“ (Lehmann, 1985, 307:309).

პარადიგმატიზაციის პროცესი, რომელიც შუა სს-ის ინგლისურში დაიწყო, გრძელდება თანამედროვე ინგლისურის ადრეულ ეტაპზეც, რადგან *have to* მოდულურ პარადიგმაში ერთიანდება და იძენს ეპისტემიკურ მნიშვნელობას.

კოალიცია თავს იჩენს მაშინ, როდესაც *have* შემოკლება *to-სთან* შემდეგ კონსტრუქციაში *have to V (+object)* ან სუბიექტურ ნაცვალსახელთან შემდეგ კონსტრუქციაში *have + object + to V*.

ფიქსაცია *have to* კონსტრუქციის უფრო რთული პროცესია, რომელიც შეიცავს არა მარტო სინტაგმატურ ცვალებადობას, არამედ ამ ორი კონსტრუქციის სინტაქსური და სემანტიკური სხვაობის დადგენას, პრედიკატული *have+object+to V* და სრულად გრამატიკალიზებული *have to V (+object)* ორივე გამოხატავს მოვალეობას. აღსანიშნავია, რომ კუთვნილებითი სტრუქტურა *have + object + to V* დაცულია გრამატიკალიზაციისაგან.

თანამედროვე ინგლისურის ადრეულ ეტაპზე ეს ორი სიტყვათწყობა, რომლებსაც აქამდე ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდნენ, დამკვიდრდა სხვადასხვა მნიშვნელობით, ერთი გამოხატავს შედეგის მიღწევის ვალდებულებას, ხოლო მეორე – მოქმედების შესრულების ვალდებულებას. სემანტიკური სხვაობა ამ ორ სიტყვათწყობას შორის შეიძლება შევადაროთ პერფექტს (*I have written a paper*) და „დასრულებულ პერფექტს“ (*I have a paper written*) შორის დიფერენციაციას (Brinton, 1991). მაშინ, როდესაც პერფექტი ყურადღებას ამახვილებს წერილის დაწერის წარსულ მოქმედებაზე, „დასრულებული პერფექტი“ კონცენტრირებას ახდენს შედეგად მიღებულ მდგომარეობაზე (წერილი დაიწერა). აგრეთვე, ინფინიტური სტრუქტურა, რომელშიც ინფინიტივი შუა პოზიციაზეა (*I have to write a paper*), როგორც ჩანს, ხაზს უსვამს მოქმედებას და მოქმედების შესრულების მოვალეობას, ამ შემთხვევაში წერილის დაწერას. ამის საწინააღმდეგოდ, სტრუქტურა, რომელშიც ინფინიტივი ბოლო ადგილზეა (*I have a paper to write*), ხაზს უსვამს მოქმედების შედეგს და შედეგის მიღწევის ვალდებულებას. ბრინტონის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი სიტყვათწყობა დომინირებს კაუზატიური ან ჯერ არარეალიზებული დამატებით. ვიზუალური აზრით, თანამედროვე ინგლისურის მაგალითებში, რომლებიც ვალდებულებას გამოხატავენ, დამატება წინასწარ კი არ არსებობს, არამედ შემოდის როგორც ინფინიტივით გამოხატული მოქმედების შედეგად.

გი, მაგ.: letters to write, visits to make, favours to request, this thing to deside, something further to say, dinner to get, a long story to tell, some work to clear up, ან a little proposition to put, ასევე თანამედროვე ინგლისურის მაგალითებში, რომლებიც ვაღდეულებასაც და კუთვნილებასაც გამოხატავენ, დამატება, უმეტეს შემთხვევაში, არარეალიზებულია: secret to disclose, request to make, an affair of consequence to communicate, some questions to ask, many interesting particulars to tell, some message to deliver. ამისგან განსხვავებით, როდესაც ინფინიტივი წინ უსწრებს დამატებას, მაშინ დამატება რეალიზებულია: to open this letter, to obey orders, to entertain these gentlemen and their ladies, to see you, to instruct the people ან to force himself (Visser, 1969: 1479).

ამ ორი სიტყვათწყობის დამკვიდრებას თან ახლავს სინტაქსური დაჯგუფება, კერძოდ:

I [have to write] [a paper]

I [have] [a paper to write]

პირველ მაგალითში უშუალო შემადგენელთა სტრუქტურას ქმნის have + infinitive, ხოლო მეორე მაგალითში nominal object + infinitive. პირველში have, რომელიც პერიფრაზული ფორმიდან მომდინარეობს, გვევლინება როგორც ინფინიტივის განმსაზღვრელი, „ოპერეტორი“ ან როგორც მოდალური მარკერი; ის ვაღდეულების მნიშვნელობაში სემანტიკურად შეზღუდულია. ხოლო მეორე მაგალითში have, რომელიც პრედიკატული ფორმიდან წარმოიქმნება, ნაკლებად ოგზილირებულია, თუმცა, არც სრულმნიშვნელოვანი ზმნისთვის დამახასიათებელი თვითმმართველობის უფლება გააჩნია (მაგალითად, ის სხვა ზმნებთან ურთიერთშენაცვლებადი არ არის); მისი მნიშვნელობა ნაკლებად შეზღუდულია, ის შეიცავს კუთვნილების, ისევე როგორც ვაღდეულების მნიშვნელობას. ამ ორი სტრუქტურის უარყოფითი ფორმა ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობებს შორის სხვაობას: I don't have to write a paper = 'not obliged to perform the action of writing a paper', ხოლო I don't have a paper to write = 'not obliged to produce a written paper'. ორივე შემთხვევაში მოდალობაა უარყოფილი და არა პრედიკაცია. როდესაც უარყოფილია პრედიკაცია, მაშინ მხოლოდ მეორე წყობაა დასაშვები; I have no paper to write. აღსანიშნავია, რომ შემდეგ წყობაში: I have to write no paper მოდალობა და პრედიკაცია კი არ არის უარყოფილი, არამედ დამატება, ვაღდეულება თავისთავად დადებითია.

Such songs about important events were sometimes being sung very soon after the military events described. As a first example, a contemporary historian records that the names of those who fell at the very minor ambush at Roncesvalles were on everyone's lips sixty years after the event, indicating the growth of a legend quite out of proportion to the original incident - a legend that would result, long afterwards, in the various versions of the *Song of Roland* that are now known. As a second example, there are references to contemporary songs on the subject of the First Crusade in two historical sources on that Crusade, supporting the statement by Graindor of Brie, composer of the surviving *Chanson d'Antioche*, that he had drawn on the original work of the jongleur and participant Richard le Pèlerin. The Spanish *Cantar de Mio Cid* shows that a comparable narrative tradition existed in Spain at the same period.

Unlike romances, which share the same metre as many other medieval French genres, *chansons de geste* are immediately recognizable because their metrical form is virtually unique to them. (It is also found in some saints' lives.) They are composed in strophes of varying length called *laises*; all the lines of each *laisse* share the same assonance or rhyme. *Laises* may be as short as three or four lines, or as long as several hundreds. In some early poems there is a close correspondence between narrative shape and *laisse* division; the story develops in a manner similar to the English ballad, with an episode being recounted in each strophe. Another ballad-like feature of these early poems is their use of repetition. Similarities of phrasing from one *laisse* to another impart a lyrical quality to the poems, and by the same token diminish their narrative impetus. It is sometimes unclear whether the same events are being re-narrated from different points of view, or whether different events are being described with a disconcerting similarity. The lyricism of the *chansons de geste* was probably also manifested in performance, since it appears that they were sung or intoned, and not, as were romances, simply read aloud.

*Chansons de geste* are usually monometric, i.e. all the lines are of uniform length, the decasyllabic line predominating but coming under increasing competition from the alexandrine from the late 12th c. onwards. A very few texts - including the early Gormont et Isembart - are in octosyllables. Whatever its length, the line is divided into two by a regularly placed caesura, which cuts the decasyllable 4-6 (exceptionally 6-4), and the alexandrine 6-6. Just as the *laisse* tends to correspond to a unit of narrative, so these 4 or 6 syllable hemistichs are often syntactically self-contained; and as there is repetition between *laises*, so there is a tendency for hemistichs to recur, both within a given poem, and from poem to poem. This feature has led to the *chansons de geste* being described as "formulaic", the repeated hemistichs being termed 'formulae'.

Gaston Paris also believed that the early singers followed the courts of kings and military leaders, as did Norse skalds (lyric poets) and some Celtic bards, but the evidence on this is less conclusive.

Another school of thought, championed by Joseph Bédier, holds that the poems were the invention of the poets who wrote them. Bédier further suggests that some of the stories were first invented by monks, who used them to advertise pilgrimage sites by connecting them not only with saints but also by legendary heroes of folklore. Magical relics frequently appear in



the tales. This point of view has fewer proponents since the development of Oral theory; it is additionally problematic because monks were specifically forbidden to dabble in the literature of the jongleurs.

Early *chansons de geste* are composed in ten-syllable lines grouped in assonanced stanzas (meaning that the last stressed vowel is the same in each line throughout the stanza, but the last consonant differs from line to line). These stanzas are typically called *laisses*. Stanzas are of variable length. An example from the *Chanson de Roland* illustrates the technique. The assonance in this stanza is on **e**:

*Desuz un pin, delez un eglanter  
Un faldestoed i unt, fait tout d'or mer:  
La siet li reis ki dulce France tient.  
Blanche ad la barbe et tut flurit le chef,  
Gent ad le cors et le cuntenant fier.  
S'est kil demandet, ne l'estoet enseigner.*

Under a pine tree, by a rosebush,  
there is a throne made entirely of gold.  
There sits the king who rules sweet France;  
his beard is white, with a full head of hair.  
He is noble in carriage, and proud of bearing.  
If anyone is looking for the King, he doesn't need to be pointed out.

Later *chansons* are composed in monorhyme stanzas, in which the last syllable of each line rhymes fully throughout the stanza. A second change is that each line now contains twelve syllables instead of ten. The following example is from the opening lines of *Les Chétifs*, a *chanson* in the Crusade cycle. The rhyme is on **ie**:

*Or s'en fuit Corbarans tos les plains de Surie,  
N'enmaine que .ii. rois ens en sa conpaignie.  
S'enporte Brohadas, fis Soudan de Persie;  
En l'estor l'avoit mort a l'espee forbie  
Li bons dus Godefrois a le chiere hardie  
Tres devant Anthioce ens en la prairie.*

So Corbaran escaped across the plains of Syria;  
He took only two kings in his company.  
He carried away Brohadas, son of the Sultan of Persia,  
Who had been killed in the battle by the clean sword  
Of the brave-spirited good duke Godfrey  
Right in front of Antioch, down in the meadow.

The songs were recited (sometimes to casual audiences, sometimes possibly in a more formal setting) by jongleurs, who would sometimes accompany themselves, or be accompanied, on the *vielle*, a mediæval fiddle played with a bow. Several manuscript texts include lines in which the jongleur demands attention, threatens to stop singing, promises to continue the next day, and asks for money or gifts. Since paper was extremely expensive and not all poets could read, it seems likely that even after the *chansons* had begun to be written down, many performances continued to depend on oral transmission. As an indication of the role played by orality in the tradition of the *chanson de geste*, lines and sometimes whole stanzas (especially in the earlier examples) are noticeably formulaic in nature, making it

possible both for the poet to construct a poem in performance and for the audience to grasp a new theme with ease.

Approximately eighty *chansons de geste* survive, in manuscripts that date from the 12th to the 15th century. Several popular *chansons* were written down more than once in varying forms. The earliest *chansons* are all (more or less) anonymous; many later ones have named authors.

About 1215 Bertrand de Bar-sur-Aube, in the introductory lines to his *Girart de Vienne*, subdivided the Matter of France, the usual subject area of the *chansons de geste*, into three cycles, which revolved around three main characters (see quotation at Matter of France). There are several other less formal lists of *chansons*, or of the legends they incorporate. One can be found in the fabliau entitled *Des Deux Bordesors Ribauz*, a humorous tale of the second half of the 13th century, in which a jongleur lists the stories he knows. Another is included by the Catalan troubadour Guiraut de Cabrera in his humorous poem *Ensenhamen*, better known from its first words as "*Cabra juglar*": this is addressed to a *juglar* (jongleur) and purports to instruct him on the poems he ought to know but doesn't.

The *chansons de geste* created a body of mythology that lived on well after the creative force of the genre itself was spent. The Italian epics of Torquato Tasso (*Rinaldo*), *Orlando innamorato* (1495) by Matteo Boiardo, and *Orlando furioso* by Ludovico Ariosto are all founded on the legends of the paladins of Charlemagne that first appeared in the *chansons de geste*. As such, their incidents and plot devices later became central to works of English literature such as Edmund Spenser's *The Faerie Queene*; Spenser attempted to adapt the form devised to tell the tale of the triumph of Christianity over Islam to tell instead of the triumph of Protestantism over Roman Catholicism. The German poet Wolfram von Eschenbach based his (incomplete) 13th century epic *Willehalm*, consisting of seventy-eight manuscripts, on the life of William of Orange. The *chansons* were also recorded in the Icelandic saga, *Karlamagnús*.

The respective roles of orality and writing in the production of the *chansons de geste* are, however, a matter of controversy. Even though the poems were performed orally, they may not have been performed entirely from memory, or with a high degree of improvisation. In cases where the same *chanson de geste* survives in several manuscript copies, variations between the copies may result from rival oral versions, but they may equally arise from editorial decisions or from the vagaries of medieval scribal practice. "Formula" might be a romantic term for "cliché", and certainly there could be reasons other than oral improvisation for cultivating patterns of repetition. Given the disagreement on these issues, it is difficult to give a straightforward account of the form of the *chansons de geste*.

There are analogous problems when we address their content. Here the major puzzle is that most *chansons de geste* have some kind of anchorage in historical fact, usually from the Carolingian era. How did 8th- and 9th-c. material find its way into 12th-c. poems? Were they composed in the manner of historical novels, using chronicle sources for information? The main weakness of this solution is the poems' wild inaccuracies: they seem as eager to misrepresent historical incidents as to dramatize them. Alternatively, was there a continuous tradition of oral narrative, stretching back to contemporary celebrations of historical events, but eventually distorting them through its constant retelling and embroidering upon them? The major problem with this hypothesis is that such evidence as survives for this alleged 300-year period of activity is insufficient to prove that there was a continuous *literary* tradition, as opposed to a tradition of family or local legends with no fixed form. The question of sources and origins is complex and, it would appear, irresolvable. There is no doubt, however, that the *chanson de geste* texts we now have show traces of reworking, or *remaniement*; how far back

in time such *remaniements* extend, and whether they were predominantly oral or written, remains unknown.

An interesting testimony to the character of the *chansons de geste* is that of Jehan Bodel. In the prologue to his *chanson de geste*, *Les Saisnes*, he characterizes them as 'true' in contrast with Arthurian romances ("empty and entertaining") and adaptations of the classics ("learned"). The "truth" of the *chansons de geste* may not be informed by learning, and certainly not by the accuracy sought by modern historians, but they do capture perceptions about historical reality. These poems are concerned with lived experience, which they construct as a curious amalgam of present moral and political preoccupations and past circumstances. France's heroic age - the Carolingian empire - becomes a fictional setting for heroic figures onto whom contemporary dilemmas can be displaced and through whom they can be investigated.

In the prologue to his *Girart de Vienne*, Bertrand de Bar-sur-Aube classifies *chansons de geste* into three *gestes*: those of the emperor Charlemagne; those dealing with William of Orange and his family; and those that deal with rebels or traitors. This analysis is far from satisfactory for categorizing texts (*Girart de Vienne* itself could be said to belong to all three), but it does suggest three ways of envisaging the roles of king and aristocracy in the *chansons de geste*, and thus of categorizing their political content. In the *geste du roi*, barons collaborate with the king, usually in a context of holy war or crusade; in the William poems a weak king Louis, son of Charlemagne, is only kept in power by the selfless service of his vassals; and in the poems featuring rebel barons, the social fabric is represented in various stages of disintegration as powerful factions within France war with each other, and the king is either under attack himself (as in *Renaut de Montauban*) or powerless to end the fighting (as in *Raoul de Cambrai*). The historical struggles represented in the *chansons de geste* are a powerful lens through which to view broader political and moral issues: the value and cohesion of social bonds such as feudalism, friendship, lineage, or the emergent concept of "the nation"; the validity of different means of settling disputes or enforcing authority, such as violence, coercion, litigation, or negotiation; the acceptability of social difference created by factors such as race, religion, legitimacy, gender; the threat to political stability posed by ambition or duplicity.

Indeed, until the 19th century, the tales of Roland and Charlemagne were as important as the tales of King Arthur and the Holy Grail, and the Italian epics on these themes were still accounted major works of literature.

#### **Literature:**

1. Боура С.М. *Героическая поэзия = Heroic Poetry*. — М.: Новое литературное обозрение, 2002.
2. Поль Зюмтор. *Опыт построения средневековой поэтики*. СПб, 2002.
3. François Suard, *Guillaume d'Orange. Étude du roman en prose* 1979.
4. D.J.A.Ross, «The Old French *chansons de geste*», in A. T. Hatto (ed), *Traditions of Heroic and Epic Poetry* 1980.
5. Jean-Pierre Martin, *Les Motifs dans la chanson de geste. Définition et utilisation* (Discours de l'épopée médiévale, I), Centre d'études médiévales et dialectales de l'Université de Lille III, 1992.
6. Jean-Pierre Martin, *Orson de Beauvais, chanson de geste du XII<sup>e</sup> siècle*, Paris, Honoré Champion, «Classiques Français du Moyen Age», n° 140, 2002.

7. Dominique Boutet, «Chevalerie et chanson de geste au XII<sup>e</sup> : essai d'une définition sociale», dans *Revue des langues romanes*, 110:1, 2006.

**მარინა სიორიძე**  
**ძველფრანგული საგმირო ეპოსი**

**რეზიუმე**

„საგმირო ეპოსი“ შინაგანად ძალიან მრავალგვარი ჩანს: ის შეიცავს ტონითა და სტილისტიკით განსხვავებულ ეპიზოდებს, მის დეტალებში მრავალი გარდაქმნა, გადახვევა და წინააღმდეგობაა. როგორც ჩანს, ამგვარი ფაქტები იმით აიხსნება, რომ თითქმის მე-12 საუკუნის შუახანებამდე ამ ჟანრს ჰქონდა მხოლოდ ზეპირ-მტყველების ხასიათი. იმ დროს საგმირო სიმღერებს მოხეტიალე მომღერლები, ჟონგლიორები ასრულებდნენ. ყველა სიმღერა საგმირო საქმეებზე, „გორმონა და იზამბრას“ გამოკლებით, დაწერილია ათმარცვლიანი ლექსით.

დამტკიცებულია, რომ მე-13 საუკუნემდე სიმღერებს საგმირო საქმეებზე მუსიკის თანხლებით ასრულებდნენ. ცხადია, მომღერალს თავის განკარგულებაში ჰქონდა სამი მელოდიური ფრაზა (თითოეული ერთი ლექსის სიგრძის) და თავისუფლად ცვლიდა მათ მთელი ლექსის (*laisse*) განმავლობაში, აძლევდა რა განსაკუთრებულ მელოდიურ ხასიათს. გარდა ამისა, ზოგიერთ სიმღერაში ლექსის ბოლოს არის ან ლაკონური რეფრენი, ან შემოკლებული, ე.წ. „მარტოხელა“ ლექსი (*vers orphelin*).

**Марина Сиоридзе**  
**Старофранцузский героический эпос**

**Резюме**

«Песнь о деяниях» кажется внешне разнородной: она совмещает в себе разные по тону или стилистике эпизоды, в ней множество отступлений, повторов, противоречий в деталях. Подобные факты объясняются тем, что, по-видимому, вплоть до середины XII века этот жанр имел исключительно устный характер. В то время песни о деяниях исполняли особые странствующие певцы, жонглеры. Все песни о деяниях, за исключением «Гормона и Изамбара», написаны десятисложным стихом.

Доказано, что вплоть до XIII века песни о деяниях исполнялись в музыкальном сопровождении. Вероятно, певец имел в своём распоряжении три мелодических фразы (каждая длиной в один стих) и свободно чередовал их на протяжении лессы (*laisse*), придавая ей особый мелодический характер. Кроме того, в некоторых песнях в конце лессы имеется либо лаконичный рефрен, либо укороченный, так называемый «одиночный» стих (*vers orphelin*).

## ციალა მესხია

(საქართველო)

### ზიქრები აზნაზეთზე

**პროფესორ ნინო (ნუცა) არდაშელიას წიგნი  
„ფურცლები ცრემლით ნაწერი დღიურებიდან“**

ქართველთა და აფხაზთა გმირულ წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებას, სულიერ სიჭკველესა და დახვეწილ ინტელიგენტურობას, ძმობასა და მეგობრობას, თავდადებულ ბრძოლას სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, საერთო სასიცოცხლო ინტერესების დაცვას, ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ურთიერთობას, ჩვენი ერთიანი დედასამშობლოს ჯადოსნურ სიდიადეს არაერთი თაობის ქართველმა და აფხაზმა მწერლებმა უკმის გუნდრუკი. მათი ჩამოთვლა ერთ წერილში შეუძლებელია, რამეთუ მეტად ჭადარა წარსულიდან მოედინება ძმობისა და მეგობრობის, სიცოცხლისა და ნათელი მომავლის ეს ჭეშმარიტი საგალობელი. ამ რაზმის ერთ-ერთი უსაჩინოესი წარმომადგენელია მეცნიერი და პოლიტიკოსი ნინო (ნუცა) არდაშელია.

თითქოს ძმობის ცისარტყელა აენტო და გულიდან გულში გადადის „შენი საქმე და დვაწლია საყურადღებო სათქმელი“. ეგრისის გულთან ჩაკონებული ენგური კარგა ხანია ლოცულობს ძმობის ნერგების გახარებაზე. მარად მხეჭაბუკი ენგურპეის უხვად გვირიგებს ღიმონისფერ შუქს დასტურ იმისა, რომ:

„ერთად ჟღერდეთ, როგორც არსად  
ფანდურო და აფხიარცა,  
ერთ არწივის ორი ფრთა ვართ  
ერთი დედის გულისთქმაცა“.

(გიორგი ლეონიძე).

და ახლა, როდესაც ნუცა არდაშელიას წიგნზე „ფურცლები ცრემლით ნაწერი დღიურებიდან“ ვფიქრობ, ბაგეებს უნებლიეთ მოწყდა წყვილი ცრემლით დაცვარული სტრიქონები: „მესიზმრა ცეცხლი ეკიდა, სადღაც ვიდაცის კერიას, ვფიქრობდი ცისქვეშ ქვეყანა, ერთია, განა ორია, ვაჰ, თუ იქ ჩემიც ერია! სულ მტრისას ჯაქვა-ბორიას, სამშობლოვ, ჯვარი გწერია“ (ვაჟა ეგრისელი).

დღეს, ალბათ, ქალბატონ ნუცას მშობლიურ თავილონში ცარიელი ოდა ტოკაეს. მას სუსხმა დაჰკრა და დასუსხა ადგილის დედა, თალხისფერმა ცამ ცხარე ცრემლების წვიმა დაუშვა, მწუხარება, რომელსაც გაზაფხულის ცაც ვერ გამოიტირებს.

ვაზის ფოთოლივით დაძარღულ საოცნებო ხელებს უფათურებდა ცაში ლოცვად ავარდნილი ზნეკეთილი დედ-მამა, რომელთა მადლსა და ღონიერ კერას მუდამ წელგამართული უტარებია ცხოვრების გზაზე და ჩვეული სიდარბაისლით ლოცავდა მთელი სამურზაყანო და ვარდებივით ღიმილს აყრიდა მზიური აფხაზეთი, არზაყანის წილხვედრი კოპწია გალი.

რა ნათელი, რა დიდებულია ნინო (ნუცა) არდაშელიას მიერ განვლილი ცხოვრების გზა. რა უცაბედი გაელგება და ასეთი მწვერვალი. მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ღვთიურია, მის მიერ დათესილი სიკეთე კი ჩვენი ქართლის მთებივით სპეტაკი და ბუმბერაზი, ბუნებასავით მწვანე და მარადიულია, ჩვენი ხალხის ხასიათივით მგზნებარე და ცეცხლოვანი... მრავალი ქალის სიცოცხლე არ

ეყოფა იმას, რასაც ნინო (ნუცა) არდაშელიას დიდი ცხოვრება იტევს, მისი დაუმრეტელი მეხსიერება დიდი ნიჭიერების ტოლფასია, დრომ გვაჩვენა, რომ მისი სახით გამორჩეული მეცნიერი და დიდი საზოგადო მოღვაწე გვყავს.

და შემთხვევით არაფერი ხდება. ხშირად მიფიქრია ნინო (ნუცა) არდაშელიას ფენომენზე. ის ხომ ზედმიწევნით ზუსტად გრძნობს დროის დინებას და მას უსადაგებს თავის ცხოვრებას, ეს არც თუ ისე იოლია. უკვე მესამე კურსის სტუდენტი გოგონა დიდი სამამულო ომის ბოლოქარი დღეების მონაწილეა, ჩამოაყალიბა ფიზკულტურის ფაკულტეტის ბაზა, სადაც ხდებოდა დაჭრილ ჯარისკაცთა სამედიცინო დახმარება და მკურნალობა. ამ პერიოდში მიიღო პირველი საბრძოლო მედალიც კავკასიის დაცვისათვის.

ძვირფასო მასწავლებლო, დეთის განგებამ მომანიჭა ეს მისია და მქონდა იღბალი სტუდენტობის პირველი დღიდანვე თქვენ გვერდით ვყოფილიყავი. ჩვენ ერთმანეთისათვის უსახლოდ სიყვარული მიგვივია და ეს სიყვარული მე არასოდეს დამიკარგავს. თქვენი საქმიანი მითითებები და შენიშვნები, მშობლიური სიტბო და გამამხნეველი წინასწარმეტყველება დღესაც ორი ვაჟიშვილის დედას ფასდაუდებელ სამსახურს მიწევს, რათა ვისწავლო სიმწელების პირისპირ დგომა და ლტოლვილობის ძნელბედობის გაიოლება. სწავლასა და ძიებში, ფიქრსა და ოცნებაში გამეპარა ჩემი სტუდენტობის ლამაზი წლები. წლები წლებს აბიჯებენ, თმებს ემატება ნათელი, მაგრამ თქვენ ჩემთვის მარად ახლობელი დარჩით, „თანამდევნი“, ალბათ, იმიტომ, რომ ბედნიერ წუთებს, საყვარელ ადამიანებს, ასე ადვილად არ ივიწყებენ. ჩვენი ურთიერთობა მეგობრობასა და სიყვარულში გადაზრდილი კოლეგიალობის უიშვიათესი მაგალითია. ეს განსაკუთრებულად ღირებულია დღეს, როცა უფლებააყრილი, ტკივილით შეძრული, მაგრამ მოვალეობის ზნეობრივი იმპერატივით დადღასმული გათითოკაცებული ადამიანები ვართ. აკი სრულყოფილი ბედნიერება ახლობლების კეთილდღეობასა და საზოგადოებრივ სიკეთეს დამატებული სამსახურებრივი წარმატებაა. ამ მხრივ თბილად მოსაგონარი და სულის მისადრეკი ნამდვილად ბევრი გვაქვს და ამაზე აქ არ შევჩერდებით...

გარჯამ და მაღალმა პროფესიონალიზმმა თავისი გაიტანა, ნუცა არდაშელიას თანამდებობები არასოდეს უძებნია, მაგრამ უფალმა მას სიყვარულის მაღლი უბოძა. ადამიანთა შემდგომი ცხოვრების გზის მკვლევრი და წამშველბელი ყოფილიყო. აკი სიკეთის ქმნა ის ნათელი სხივია, წინაპრის ხსოვნას გულში რომ აციციალებს და შთამომავლობასაც დაგილოცავს. მართლაც, რომ იშვიათია ნიჭი ასე ლაღად და თავდაჯერებით გაზიაროს მოკრძალებით მიახლოების ზეადმტაც სიხარულს, წარუვალ ადამიანურ ღირებულებებსა და ფასეულობებს. რიგითი ლექტორიდან უნივერსიტეტის რექტორამდე მუხლჩაუხრელი გარჯითა და რუდუნებით, მეცნიერებისა და კულტურის უსაჩინოესი მოღვაწის ტიტულს დაეუფლა.

ნუცა არდაშელიას გამოქვეყნებული აქვს 4 სოლიდური წიგნი-მონოგრაფია, 4 ბროშურა, 200-ზე მეტი საგაზეთო და საკურნალო პუბლიკაცია, ერთი მხატვრული ნაწარმოები. არის აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი და კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოს „ოქროს მარჯვენის“ მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი, სამოქალაქო დიპლომატიის კომიტეტის წევრი, განათლების დამსახურებული მუშაკი, რუსეთის განათლების წარჩინებულის მედლის მფლობელი, დაჭრილ მეომართა დედათა სოხუმის კომიტეტის თავმჯდომარე. ამჟამად არჩეულია საქართველოს მწვერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსად.

ვფიქრობ, ამ რეგალიების აღწესხვა არაფერს განსაკუთრებულს შემატებს მის სახელს, იარლიყებსა და რეგალიებს ნამდვილ მეცნიერთან, მოძღვართან და საზოგადო მოღვაწესთან არაფერი ესაქმებათ. ქალბატონი ნუცა თავადაა რეგა-

ლია სასიქადულო მამულიშვილისა, რაინდული სულის ქალბატონისა, სიბრძნისა, ჭმუნვისა და გრძნეულებისა, რითაც ასე წელგამართულად და წარბშეუხრელად, ღამაზად მოაბიჯებს წუთისოფლის მზიან-ჩრდილიან გზაზე. მადლობა უფალს, ამგვარ ადამიანთან ურთიერთობის სიხარული რომ არ მომაკლო...

ქალბატონმა ნუცამ მეცნიერებაში, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში პოვა ქართველი ქალის ბუნების სიღამაზე და სიმყარე. გმირობის ტოლფასია მისი დედაწლი იმაში, რომ მან ამ გაუსაძლის დროს აღადგინა და საფუძველი ჩაუყარა აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარულ ინსტიტუტს. პრინციპულობა, სამართლიანობა, ქველმოქმედება მისი დამახასიათებელი თვისებებია. მას სოხუმელ დედა ტერეზას ეძახიან.

სწორედ ამიტომაც სარგებლობს მისი უნივერსიტეტი უდიდესი სიყვარულით, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული აკრედიტებული სასწავლებელია. ურთიერთპატივისცემის, მაღალი მორალური ღირებულებების დამკვიდრებაში, სტუდენტთა, სამშობლოს ერთიანობის, მისი მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში ძალას არ იშურებს მისი რექტორი.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მისი დაუცხრომელი ტკივილი და ცხოვრების ნაწილი გახდა. ამიტომაც ის მრავალი ორგანიზაციის წევრი და თავმჯდომარეა, ქველმოქმედია და როგორც შეუძლია უმსუბუქებს ჭრილობებს ომში დაზარალებულთ.

და მაინც, ნინო (ნუცა) არდაშელიას წიგნი „ფურცლები ცრემლით ნაწერი დღიურებიდან“, რომელშიც სულის მაქსიმალური კონცენტრაციით, ნების ტრაგიკული აღვსებითა და ცივი ფილოსოფიური მზერითაა განჭვრეტილი საკუთარი შინაგანი სამყაროცა და მისგან განუშორებელი ბედისწერა... რამეთუ „ბედისწერაა არა ის, რაც ადამიანს შეემთხვევა, არამედ იგია ბედისწერა, რასაც ადამიანი საკუთარ სულში ატარებს თავად“ (კონსტანტინე გამსახურდია).

ამ წიგნშია ომის ჯოჯოხეთური ხმაური, ცეცხლმოკიდებული სოხუმი, ჩვენი უსაზღვრო სიყვარულის ასპარეზი შავი ზღვისპირი. სულში დაწვეებული გარდატეხა ისეთი ძალის აფეთქებაა, რომელიც ნებისყოფით მარადიულობის ტოლფასია.

ეს შინაგანი აფეთქება თითოეული პარაგრაფიდან ჩანს. ტკივილის მრისხანებით, სიძულვილის შერწყმამ აზრის, გრძნობის, მოქმედების ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია და ჩვენს წინაშე დგას ქალი – მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და მეომარი, რომელსაც მეყვსეულად შეენაცვლა მრისხანებით გაფოლადებული, ზღაპრულად ძალამიცემული მებრძოლი სული ქართველობის გადასარჩენად. თითქოსდა ავტორის შინაგანი განცდებია, მაგრამ ამავე დროს დახვეწილი სინატიფა სტრიქონებში, თუ ბუნებით კეთილ ხალხს რატომ აქვს უნარი ამოქმედდეს სიძულვილის გრძნობით და იქცეს ძლევამოსილ შურისმაძიებლად.

ქალბატონი ნუცა კარგად გრძნობს იმას, რომ მეცნიერს მარტო ლექციების წაკითხვა და წიგნების წერა არ შეეძინა, არამედ მებრძოლი სული, აარსებს დაჭრილ მეომართა დედათა კომიტეტს, თუმცა შეეძლო მეუღლესთან ერთად, უსაფრთხოდ, სხვების მსგავსად, განრიდებოდა ამ ჯოჯოხეთურ ყოფას. ნინო (ნუცა) არდაშელია ჯიქურ მიიკვლევდა გზას მეცნიერებასა და პოლიტიკაში, აინუნშიაც არ აგდებდა ზოგიერთ შემთხვევაში შექმნილ არახელსაყრელ ვითარებას, არ ეპუებოდა ისეთ ადამიანებს, რომლებიც არა მარტო გულგრილად ექცეოდნენ, ზოგჯერ გზასაც უღობავდნენ კიდევ... იგი რწმენითა და გზნებით ცხოვრობს პოლიტიკაში, მეცნიერებაში. მე კი რატომღაც მგონია, მას სულაც არ ეიოლება პოლიტიკაში ცხოვრება, რომ მისი კეთილი ღიმილის, ნატიფი თავაზიანობისა და თავმდაბლობის მიღმა იმალება სულიერი ტანჯვა, პიროვნული თვითკრიტიკა, მწვავე იჭვები, აფხაზეთის ძმათამკვლელი ომის შედეგებით დათრგუნული სულის მძაფრი ტკივი-

ლები, მეცნიერისა და მეომრის ჯაფა აწევს ნაზ მხრებზე, პოლიტიკაში ჩახედვა, პოლიტიკური პათოსი მისთვის თვითგანხორციელების ერთ-ერთი გზაა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა ცხოვრებისადმი და საერთოდ, ყოველივე იმისადმი, რაც მის გარშემო ხდება.

წიგნის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა ის, რომ მეცნიერისა და პოლიტიკოსის თვალსაწიერიდანაა დანახული და გაანალიზებული აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტრაგიკული შეგრძნება. ეს წიგნი ერთგვარი სინთეზია იმისა, რაც განიცადა ქალბატონმა და მისმა ოჯახმა, ათასობით ქართველმა. აფხაზეთის ომი ხომ ქართველობის, ვაჟკაცობის, კაცურკაცობის უდიდესი გამოცდა იყო. ამ წიგნის ავტორს ომი მშობლიურ სოხუმში ეწვია. ათწლეულების მანძილზე შრომითა და ოფლით შექმნილი სახლ-კარის მიტოვება, შიში, შიმშილი, გაჭირვება, სოხუმში გადატანილი საშინელებების გოლგოთის გზით დამთავრება და დეგნილის სტატუსით ჯერ თბილისში, შემდეგ კი იმერეთში, ქალაქ ზესტაფონში საცხოვრებლად დამკვიდრება.

ჩემი ღრმა რწმენით, ნუცა არდაშელია განსაკუთრებული ფენომენია მეცნიერებასა და ქართულ პოლიტიკაში. ალბათ, აქ განუსაზღვრა მას უფალმა უდიდესი ეროვნული მისიის შესრულება.

წიგნში ფაქტები და მოვლენები კეთილსინდისიერადაა გადმოცემული, სათუთი ადამიანური გრძნობებია გამოხატული, არსებული სინამდვილე დაფუძნებულია ღრმა, დახვეწილ ფანტაზიაზე, რომელიც თითოეულ აზრს მხატვრული ელფერით ტვირთავს. მკითხველს ავტორის სულის ლაბირინთებში მიმოატარებს. ამ წიგნში არის ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე ფიქრი, წინა პლანზეა წამოწეული ეთიკურ-ზნეობრივი პრობლემატიკა, რომლის გარეშეც წარმოდგენილია პროგრესი, თანამედროვე ეპოქის ადამიანი.

ავტორი შეუპოვარი, უღმობელია, მან ძალიან კარგად უწყის, სულ ცოტა ყოფნის ადამიანს ბედნიერებისათვის, ეს ცოტა კი მშობლიური საბუდარია, ჩვენი სანუკვარი აფხაზეთია; ენგურსგაღმა დარჩენილი საქართველოს დაბრუნებისათვის დაუცხრომელი ბრძოლაა, სადაც „ბუნებას დაუბერტყავს სილამაზის ჯადოსნური კალთა, ლურჯი მოციმციმე ზღვა ნაპირს ლოკავს, ცადაწვდილი კიპარისები მორცხვად იმზირებიან შენობის ფანჯრებში. თოლიები თვალისმომჭრელად უვლიან ნაპირს. თავბრუდამხვევ წრეს აკეთებენ და ჰორიზონტში იკარგებიან, ბუნების საკვირველებათა ეს შერწყმა თითქოს ცდილობს შეარიგოს ორი მოძმე ხალხი, რომელთა შორის ურთიერთობა, ასე შემამოფოთებლად იძაბება ყოველ საათს, ყოველ დღე“ („ფურცლები ცრემლით ნაწერი დღიურებიდან“).

ნუცა არდაშელიას წიგნმა აფხაზეთის ომის ჯოჯოხეთური დღეები თავიდან განმაცდევინა. ტკივილები გამახსენა. ჩვენს საუკუნეს ზნეობის უკმარისობაში ადანაშაულებენ, თუმცა ამ ეპოქაში მრავლადაა თავგანწირული, გმირული სიყვარული, გულანთებული ადამიანები, რომელთა დვაწლი გამორჩეულია. ამ წიგნში რეალური ფაქტები და მოვლენებია. დოკუმენტური მასალებით ავტორი საოცარი სიმახვილითა და ექსპრესიულობით გადაგვიშლის ომის პანორამას.

მეცნიერი სპეციფიკური და ზუსტი სამხედრო ტერმინოლოგიის ღრმა ცოდნით, საოცარი ფანტაზიითა და ღრმა ადამიანური, ამადლებული, ჰეროიკული განწყობილებით გადმოგვცემს ომის მძიმე სურათებს, ჩვეულებრივ ადამიანთა უძირო სევდასა და ტრაგედიას. ამ მხრივ, საკმარისია მოვიგონოთ წიგნის თავები: „აფხაზი სეპატარისტები არ ცხრებიან“, „მტრის ბანაკში უთანხმოება“, თუნდაც კამანის ტრაგედია და სხვა ეპიზოდები.

ქველმოქმედება ნინო არდაშელიას შემოქმედებითი დვაწლის წარმოჩენის მშვენიერი შესაძლებლობა გახლდათ. დიახ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე



ებთან (ავთანდილ ჯორბენაძესთან, თენგიზ გაზდელიანთან, ირაკლი მენაღარიშვილთან, თემურ შაშიაშვილთან, ბაკურ გულუასთან, ვახტანგ ყოლბაიასთან, ოთარ ფაცაცაიასთან, გუჯარ ბუბუტეიშვილთან და სხვებთან) შეხვედრებისას გამოკვეთილი საერთო ინტერესები და სამომავლო გზების ერთად ძიების წუთები ქველმოქმედების პერიოდში დაბადებული საინტერესო იდეები, რომლებსაც ნუცა არდაშელია დღემდე დიდი სიფრთხილით ეკიდება, გახლდათ მომავალი ცხოვრების ნათელი ნიშანსვეტი. აკი ზოგჯერ დაუდევრობა, გაუგებრობა აფუჭებს ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობებს და ქალბატონი ნუცა ეძებს გამოსავალს, ძიებას კი ისევ ურთიერთდანიშნულების, სიყვარულისა და თანადგომის აუცილებლობისაკენ მივყავართ.

ის, რაც აფხაზეთის მთავრობამ ვერ მოახერხა, ნინო არდაშელიამ დიდი ბრძოლისა და რუდუნების შემდეგ შეძლო, შექმნა დაჭრილ მეომართა სარეაბილიტაციო ცენტრი (რომლის შექმნაში დიდი წვლილი გაიღეს თენგიზ გაზდელიანმა და ირაკლი მენაღარიშვილმა). ეს ცენტრი დღესაც ფუნქციონირებს.

უნდა იყო კეთილი და ქველმოქმედებაც იქ ჩნდება – წითელი ზოლივით გასდევს ამ წიგნს.

წიგნი დამუხტულია დიდი და მღელვარე განცდებით, ღრმა ტრაგიზმით, გამძაფრებული ეროვნული გრძნობით, მშობლიური აფხაზეთის ღრმა სიყვარულით.

აქ იმდენად მკაფიოდ გამოჩნდა მეცნიერის ინტერესების სფერო და რაც მთავარია, შთაგონების წყაროც, რომ პირველი გაცნობისთანავე შეუმცდარად აგრძნობინოს მკითხველს, რომ ავტორის მიზანი ომის ხასიათისა და თავისებურებების წარმოჩენაა. მთელ ნაწარმოებს ქართველებისა და აფხაზების საომარი ქმედებისა და შედეგების მხატვრულ ანალიზს უძღვნის.

ვინც ომის პერიოდში სოხუმში იმყოფებოდა უსახლვროდ ემასხოვრება დაჭრილ მეომართა დაცვის დედათა სოხუმის კომიტეტის საქმიანობა. ორ სექტემბერს ეს კომიტეტი იურიდიულად გაფორმდა და დაიწყო ტანჯვის, გენოციდის, გულმოდურებას მომქანცველი, მაგრამ საღვთო და მაღლიანი გზა დაჭრილთა დასახმარებლად, ჯვარცმული ქალაქის მოსახლეობის მხარდასაჭერად. დიახ, ამ უსახურ ომში, სადაც არ არსებობდა წამალი, პირველადი დახმარების არავითარი საშუალება, არ ყოფნიდათ პური, თეთრეული, საავადმყოფოები თითქმის დაცლილი იყო ყველა სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო საშუალებისაგან, ამ კომიტეტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. და ეს ყველაფერი შთამბეჭდავდაა ასახული წიგნში „ფურცლები ცრემლით ნაწერი დღიურებიდან“.

„გვაკვირვებდა ექიმების თავდადება, ზოგჯერ ისინი 24 საათი იდგნენ საოპერაციო მაგიდებთან. ჩვენც გვერდში ვედევით მათ და ერთმანეთს ვამხნევებდით, ხშირად ისინი ნახევრად მშივრები იყვნენ, ჩვენმა ხალხმა არ უნდა დაივიწყოს მათი სახელები – ანტონ ბაგათელია, ნაპო მესხია, ცნობილი ნეიროქირურგი, ბორის ბერულავა, ბორის ჩიქოვანი და მრავალი სხვა.“

აქვე მინდა ერთ გარემოებას გავუსვა ხაზი, რომ ავტორი არ მაღავეს აფხაზ სეპარატისტთა ნამდვილ ბუნებას, აქაა რთული, მაგრამ დახვეწილი, დაბრძენებული ქალბატონის დასკვნები და არგუმენტები, თითქოს აღარ ჩანს არც ნაკერი და არც გვირისტი, სრული შერწყმაა პერსონაჟების ხასიათთან, სინამდვილესთან. გულისშემძვრელი ტრაგიზმითაა განცდილი ომისდროინდელ ადამიანთა მწარე ხვედრი. საკენჭუბერის უღელტეხილი დაუსრულებლად გრძელდება, მიდიხარ, ვარდები, მიაბიჯებ, მაგრამ არ ჩანს დასასრული, იმედი და ნუგეში, ვინ კვდება, ვინ თავს იკლავს, ვინ კიდევ ცალ ხელში გაყინული ბავშვის ცხედარს მიათრევს ჩემოდნით, როგორც საგანძურს, მეორე არარსებულში მთელი სამყაროს კაემანია, ყველაფერი

ომიდან იწყება, ომშივე მთავრდება, აღარ განიხრევა ბედნიერება და უბედურება, წარსული და მომავალი.

და მაინც ყველაფერს სჭირდება პირობები, მომავალი ცხოვრების სივრცე ღიაა, მაგრამ გზად შიშველი ეკალი ყრია ადამიანის სულის დასაკაწრავად. მაგრამ უნდა გაიარო ამაყად, წელგამართულად, ადამიანურად. ხშირად გამარჯვების შემდეგ იწყება ბრძოლა. ცხოვრება ურთულესი მათემატიკური ფორმულაა, თუ ამოხსნი კარგია, თუ ვერ ამოხსნი, ეცადე შიგ არ ჩავარდე...

მთელი 1993 წელი აღინიშნა სეპარატისტთა მხრიდან ქართველების გაუგონარი გენოციდით, სისასტიკით, ინკვიზიციის დროისათვის უცხო მეთოდებით, შოკინისტური კატომოქულე ფსიქოლოგიით დაბანგული აფხაზი ახალგაზრდობა გაუგონარ სისასტიკეს ჩადიოდა. ბევრ მათგანს სამკლავზე ეწერა: „სიკვდილი საქართველოს“. აფხაზების მიერ ოკუპირებული გაგრის, ბიჭვინთის რაიონებში ხდებოდა მასობრივი დახვრეტები, სადისტური ქმედებები. 1992 წლის შემოდგომაზე დაწყებული სოხუმის დაბოება მთელი 1993 წელს გრძელდებოდა. თვეების მანძილზე უღმობლად ნადგურდებოდა სოხუმი და ოჩამჩირე სეპარატისტებისაგან.

ყოველივე ამის თვითმხილველი და მომსწრე გახლდათ ქალბატონი ნუცა და მისი კომიტეტის წევრები 14 თვის მანძილზე. ძნელია აღწერო და გადმოსცე თუნდაც ერთი რომელიმე ეპიზოდი ამ უღმობელი, დაუნდობელი ნგრევისა, რომლის მოწმეებიც გახდნენ კომიტეტის წევრები. აი, ისინიც: ნათელა ბურსულაია, ლეილა ხელაია-ხუციძე, ნუნუ ჯალაღონია-კიდასონია, დომნა გოგიტიშვილი, ლიანა მიქაშავიძე, მაიკო თოფურიძე, ნელი ლაგვილავა, ლიანა დუდუჩავა, ხათუნა კუპრეიშვილი, მაყვალა ჭინჭარაული, ბრიგიტა შიუკაშვილი – მადლობა მათ, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად სხვის სიცოცხლეს დარაჯობდა და რომ არა ქალბატონი ნუცა, ეს სახელები ჩვენთვის უცნობი იქნებოდა.

ბრიგიტა შიუკაშვილი და მაიკო თოფურიძე ომის ყველაზე ცხელ წერტილებში ჟურნალისტის წმიდათაწმიდა მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ. არაერთი ეპიზოდი და ფოტომასალა იქნა მათ მიერ შემონახული, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სეპარატისტთა მიზნებისა და ომის მძიმე შედეგების განსჯა-გაანალიზებისათვის.

ქალბატონო ნინო! მიუხედავად აფხაზეთის უღმობელი ტრაგედიისა, რამაც „არ შემდგარის“ სტატუსიც მოგაკერათ, მადლობა უფალს, თქვენი წილი ცის ნაჭერი არასოდეს დაგიკარგავთ, უსამართლობას, კონფლიქტურობას თქვენს ბუნებას არ აკარებდით, ტაძრისაკენ მიმავალ გზასაც სწორად ჭვრეტდით და ჰაუს შეუძახებლად აგნებდით. თქვენი ცხოვრება ერთი მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა სძლიო დროს, არ შეეპუო თავს დატეხილ უბედურებას, არ შედრკე და კვლავაც მთელი შემართებით იღვაწო, არ დააჭენო ის უმშვენიერესი ყვავილი, რომელსაც საკუთარ სულში ასე სათუთად ელოლიავეები...

ეს წიგნი ერთი რამით განსაკუთრებულად შემორჩება ისტორიას, კერძოდ, აღწერილია ბართლომეს ღამე სოხუმში, როცა მტერმა მასობრივი დაბომბვა დაიწყო. „ქალაქის დაბოება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მოდიოდა ჭურვები განუკითხავად... იყო სირენების გამაფრთხილებელი განგაში, მაგრამ რა, სულის მოთქმას არავინ გვაცლიდა. განგაშს, განგაში მოყვებოდა, ნგრევას და სიკვდილს, ნგრევა და სიკვდილი“... (არდაშელია, 2001 : 69).

ვინ არის ამ ტრაგედიის ავტორი? – სვამს კითხვას ავტორი და თავადვე გვაძლევს პასუხს, „ვინა არის დამნაშავე? – ამბიციური პოლიტიკანი? თუ უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ ფესვები იმ გაუგონარი ვითარებისა, ვინ გამაუბედურა, ვინ მაქცია დამცირებულ, შეურაცხყოფილ დევნილად? შეიძლებოდა თუ არა აფხაზეთის ქართველობას, რომელიც მოსახლეობის 47%-ს შეადგენდა, გასჩენოდა შედ-

ლის, შურის გრძობა აფხაზებისადმი, რომლებიც ასე „ხელისგულზე“ გვეყავდა? რასაკვირველია, არ შეიძლება არ მარტო არსებობდა სხვა დაუწერელი კანონები, რომლებიც ასე მკაცრად არეგულირებდა ამ ვითარებას და არ უშვებდა დაპირისპირების პრეცედენტს ქართველთა მხრივ. დიახ, ისტორია მკაცრი მსაჯულია და დრო თავისას იტყვის“... (არდაშელია, 2001:69,75).

ნინო არდაშელიას ჰქონდა საშუალება თავისი თვალთ ეხილა ქართველებისათვის სიძულვილით დაავადებული აფხაზების საქმიანობა აფხაზეთის წერილს რომ ჯღაბნიდნენ და მთელი დამე სინათლე ენოთ მწერალთა კავშირის (ყოფილი მინისტრთა საბჭო) შენობაში. ქალბატონი შეძრწუნებული წერს: „ჩემი აფხაზი მეგობრები მთხოვდნენ მიგველო ზომები და შეგვეჩერებინა ეს უსახური ჩანაფიქრი. ეს ორივე მხრისათვის დამღუპველია, იმოქმედეთ, ხომ არის ორგანოები, შეაჩერონ ეს საშინელება. აი, საიდან მოდიოდა ის, რაც თავს დაგვატყდა. კი, ბატონო, მივიღეთ ყველა ზომა მე და ჩემმა მეგობარმა აფხაზებმა, მაგრამ რა გამოვიდა? ქართველი მინისტრი იჯდა იმ ორგანოებში, რომელსაც ევალებოდა აღეკვეთა ძმათა შორის უფსკრულის გათხრის ყველა ცდა. ქართველმა მინისტრმა ასეთი ზომები „აფხაზთა დაჩაგვრის“ ცდად აღიქვა და არჩია წაყრუება. წაყრუების პოლიტიკამ, პირმოთნეობის პოლიტიკამ ხომ გადაგვჩეხა აფხაზიც და ქართველიც უფსკრულში, ოღონდ რა დააშავა გულთბილმა და პატიოსანმა ქართველმა და აფხაზმა. რატომ წავგართვეს ერთმანეთის სიყვარულის, საკუთარ მიწა-წყალზე ერთად ცხოვრების უფლება? ქალბატონი დაურიდებლად ლაპარაკობს საქართველოს ერთ უდიდეს შეცდომაზე, როდესაც აფხაზეთში, სოხუმში, ამ ცხელ წერტილში მინისტრის თანამდებობა მოიგონეს და მას სათავეში ჩაუყენეს პოლიტიკისაგან შორს მდგომი, კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა. რა იქნებოდა, რომ სწორედ 1992 წლის შემოდგომისა და 1993 წლის ზამთარში გააზიარებული პოლიტიკა განხორციელებულიყო და იქ ბატონი უიული შარტავას მსგავსი შორსმჭვრეტელი და გამოცდილი პიროვნება ყოფილიყო. ახლა იოლია სათქმელად, მაგრამ მჯერა, რომ მოვლენები სხვანაირად წავიდოდა. არც ის ვაკხანალია, მარადიურობა, მოსახლეობის აწიოკება, რომელიც ამ პერიოდში სოხუმმა და აფხაზეთმა გადაიტანა, არ იქნებოდა. არადა, ვინც სოხუმში იმყოფებოდა იმ პერიოდში, სულით ხორცამდე შეძრწუნებული იტანდა იმ უმსგავსოებას, რომელიც ორივე მხარის ე.წ. სამხედროებს ახასიათებდათ“ (არდაშელია, 2001:70,85).

კითხვობა წიგნს და გჯერა, რომ ავტორის ფიქრი სრულიად საქართველოს დასტრიალებს თავს, არ შეიძლება არ თანაუგრძნო, გაექცე მისი სიტყვების სიმართლეს: „დავუბრუნდეთ განწირულ სოხუმს, რომელიც ასე დაუნდობლად, შეუბრალებლად იბომბებოდა, იწვოდა, ადამიანები განურჩევლად იხოცებოდნენ, იტანჯებოდნენ. ქალაქი მაინც ცოცხლობდა და რჩებოდა უღამაზეს, კეთილშობილ ქალაქად“.

ავტორის რწმენით, ქართველების, არამარტო ქართველების, არამედ კეთილი ნების აფხაზების მხარეზეა ზნეობრივი უპირატესობა, ხალხის კეთილდღეობისათვის პატიოსანი და სამართლიანი ბრძოლის ბრძნული გამოცდილება.

თავისუფლად შეიძლება ამ საბედისწერო ქმედების თავიდან აცილება, რომ ნამდვილი საქართველო ყოფილიყო, ცივი გონებით გააზრებული პოლიტიკა და პოლიტიკოსები მდგარიყვნენ საქართველოს სათავეში. განა ერთხელ ჰქონია ადგილი აფხაზი სეპარატისტების ქმედებას მოეწვივებოდა აფხაზეთი საქარველოსაგან. განა „ძლიერი ყოვლისშემძლე საბჭოთა კავშირი არ აზანზარებდა მაშინ მსოფლიოს თავისი უძლეველი შეიარაღებით“ (არდაშელია, 2001:69, 72), მაგრამ ან ობივატელი უნდა იყო, ან სრულიად გულუბრყვილო, რომ დაიჯერო აფხაზი სე-

პარატისტების ხელით მესამე ძალა დაიწყებდა ომს უსაბაბოდ. საბაბი კი ხელში ჩაეუგდეთ...

ცხოვრება საკუთარ სტრატეგიას გეთავაზობს და ყოველდღიურობა ფოკუსში გვიტრევს, რათა ძლიერმა ტკივილებმა არ დაგვორგუნოს, ტრადიციული ორიენტირები, რამაც დღემდე მოგვადწეინა, არ დაგვაკარგინოს. ამ თვალსაზრისით, წიგნში კარგი მიგნებები, ზუსტი აქცენტებია დასმული და ის სასიცოცხლო ველია მონიშნული, კაცს ამ ცოდვილ მიწაზე რომ აძლებინებს.

ომის ამბები, კონფლიქტები, შეხვედრები, ქველმოქმედების 14 წელი, ტკივილით, სიხარულით აღვსილი დღეები, ქალბატონ ნინოს სულში დღესაც სთვლემს ისე, როგორც წარსული არსებობს თითოეულ ჩვენგანში. ერთია იყო მონაწილე ჯოჯოხეთური ომისა და სულ სხვაა ამ მოვლენების ქაღალდზე გადატანის შესაშური ნიჭი და ნებისყოფა. ეს მხოლოდ ძლიერი სულის პიროვნებებს, ღვთისაგან მოვლენილთ ხელეწიფებათ, რამეთუ თუ პატიოსანი პიროვნებაა მემუარისტი, მაშინ მის მიერ გადმოცემული ფაქტები ისტორიულ სიმართლეს იცავენ იმდენად, რამდენადაც მას ამის საშუალებას მესხიერება და ამ ფაქტების საკუთარი ინტერპრეტაცია აძლევს.

ქალბატონ ნინო არდაშელიას დავა და შეხვედრები აფხაზ სეპარატისტებთან, თუნდაც ერთი შეხვედრის დღე არძინბასთან და გაეროს ელჩის რწმუნებულთან იქნებ მოგეჩვენოთ ექსცენტრიკულ დეტალად, მაგრამ სრულებითაც არა, პროფესორი ქალბატონი მთავრობის მეთაურს სათანადო არგუმენტებით უმტკიცებს, რომ „ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც განგებამ გვარგუნა ამ სულის ქვეყანაში, მის ლაჟვარდოვან ცის ქვეშ ერთად ცხოვრება. იმის ნაცვლად, რომ საინტერესო და სასურველი გაგხადოთ აქ ცხოვრება, მას ძირს ვუთხრით, დასანგრევად ვწირავთ, ჯოჯოხეთური ომის თეატრად ვამზადებთ და ვინ აკეთებს ამას – ისევ ჩვენი და თქვენი ელიტარული ზედაფენები და არა ქართველი და აფხაზი ადამიანები. დროა გონს მოვეგოთ, ჩვენ თქვენთან იმიტომ მოვედით, რომ ყველა ის ძალა, რომელსაც სურს აამღვრიოს წყალი და იქ თევზი დაიჭიროს, თქვენთან იყრის თავს. მათი შეჩერებაა საჭირო“ (არდაშელია, 2001 : 190, 200).

მისთვის, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისათვის, ამ „რაუნდს“ აქვს ზნეობრივი მნიშვნელობა და ჩემი აზრით, ესაა მთავარი. იგი ერთგვარი არგუმენტია მისი, როგორც პიროვნების უფლებამოსილებისა მონაწილეობდეს საერთო საქმეში, ესაა ჩვენი ქართველობის, მოწინავე ინტელიგენციის მეობის დადასტურება.

და მაინც, დღევანდელ კონტექსტში, როდესაც მოგვეცა საშუალება გავიაზროთ ომის მიძიმე შედეგები, მაგრამ კვლავ გვიჭირს მართებული ორიენტირება და შეფასებები, ნინო არდაშელიას წიგნი ახლებურ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ ჯოჯოხეთური ომის ეპიზოდების წარმოჩენით, არამედ როგორც ნიმუში აფხაზეთის პრობლემატიკასთან მიმართებაში, როგორც საეტაპო მოვლენა ქართულ-აფხაზეთური ურთიერთობის, თანაცხოვრების აღდგენისათვის ბრძოლაში. ამ წიგნში მკაფიოდ გამოიკვეთა აფხაზეთის ომის მიზეზ-შედეგების, მისი გააზრების მეთოდური წანამდღვრები.

ასე მგონია, ეს ნაშრომი ის წიგნთაგანია, როდესაც გაიჭრა სარკმელი ქართული ცნობიერებისათვის იდუმალებით შემოსილი ომის მწარე შედეგების ჭეშმარიტი გააზრებისათვის. მეცნიერი წარმოაჩენს დაჭრილ მეომართა დაცვის დედათა კომიტეტის საქმიანობას, ქველმოქმედების წლებს, რაც მონათხრობს მეტ ექსპრესიულობას მატებს. საოცარია იმ ქალთა გმირობა, ისინი ვაჟკაცების გვერდით იდგნენ. დაჭრილებისათვის ხან თეთრეულს კერავენ, ხან საჭმელ-სასმელითა და საწოვავით დატვირთულნი დადიან საავადმყოფოების პალატებში, მაგრამ არსად ში-

ში და ძრწოლა, არსად ქალური ისტერია, სისუსტე, არამედ თავგანწირვა, გმირული სული და მსხვერპლი დაუნანებელი გაღებული საქართველოს ერთიანობის გადასარჩენად.

აქვე მინდა მოვიტანო ერთი მაგალითი, სანამ „ლიტერატურნაია გაზეტას“ შენობასთან ჩამოდგებოდა გემი (27 სექტემბერს, იმ ავადსახსენებელ დღეს), ქალბატონი ნინო და მისი კომიტეტის წევრები ყანაში გადაეშვებინ, ჭურვების გრილსა და გამაყრუებელ ხმაურში სიმინდს ტეხენ და მინდორში ხარშავენ, რათა დაჭრილ მემორებს ცოტათი მაინც წაეხმარონ შიმშილის დაძლევაში. ასევე საკმარისია მოვიგონოთ ეპიზოდი, ომით შეშინებული, დაღლილი, დაქანცული, მოწყურებული ადამიანების ურთიერთობა რუს ქალბატონთან ვერა პავლოვნასთან.

ქალბატონ ნინოს დიალოგი ვერა პავლოვნასთან დამაფიქრებელი და მრავლისმეტყველიცაა. ეს ეპიზოდი მკითხველში ფიქრებს წამოშლის და საინტერესო განსჯისაკენ უბიძგებს. ქართველს რუსი და რუსს ქართველი ყოველთვის სჭირდება. რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ, მაგრამ როგორც არასდროს, დღეს უფრო ვჭირდებით ერთმანეთს. ორივე ხალხის თავგაცებმა ქართველ და რუს ხალხთან ერთად, ბრძნულად, მეგობრულად, თავთავის ისტორიებისა და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების გათვალისწინებით უნდა გამონახონ ახალი გზა, ახალი ფორმა და მეთოდი ერთმანეთის გადასარჩენად. ამ მხრივ, დიდი როლი აკისრია კულტურას, ლიტერატურას, ხელოვნებას ბარიერების დაძლევაში.

„არა ჩემი და ჩემისთანა ნაჯაფ-ნატანჯი და საამაყო ოჯახები დაინგრა და ვეღარ აღდგება მოკლე დროში, არ არსებობს დამამშვიდებელი სიტყვები, ვიმეორებ, რა გვეშველება? ყველა მეთოდით ბრძოლის სინდრომი ამოიწურა, არა საქართველოს გადარჩენა, არამედ ჩემი გადარჩენა შენს ხარჯზე, და ეს მოხდა ერთ დღეში, მას შემდეგ, რაც უპატრონოდ მიყრილი ჭიანჭველებივით მოვრბოდით ვითომ სამშვიდობოს, ზოგი მთით, ზოგი ზღვით. ჩემი გაყინული სულიერი სამყარო მხოლოდ ტანკებისაგან გადათელილ ასფალტს ჩაკირკიტებდა. ჩემს გონებაში კი ერთი რამ უბედურების მომასწავლებელი აზრი ტრიალებდა – ჩვენ დაემარცხდით, საკუთარი ბუდიდან გაყრის საშიშროება, მომავალში ნუთუ ვეღარასოდეს გავივლი ამ გზაზე ბედნიერი და მხიარული“ (არდაშელია, 2001:100-120).

გონების პათეტიკა გულის სიდრმეში ეძიებდა ხსნას: „რა არის ადამიანის ცხოვრება, ჩვენ ხომ ყველაფერი დავკარგეთ, ძლივს გადავრჩით და მომავლის იმედით თვალი გავახილეთ – გაუმარჯოს, ჩემო კარგებო, სიცოცხლეს, რომელიც გრძელდება, ბედმა და ღმერთმა გვარგუნა აფხაზებთან ერთად გვეცხოვრა ერთი ცის ქვეშ მშვიდობიანად, მეგობრულად და სიყვარულით. დარწმუნებული ვარ ხალხის სამსჯავრო, ღვთის რისხვა განსჯის და დასჯის დანაშაულისათვის ყველას, ვინც აფხაზეთის ტრაგედიამდე მიგვიყვანა“ (არდაშელია, 2001:111-120).

ნინო არდაშელიას რწმენით, სწორედ სიყვარული დააბრუნებს ტანჯულ კაცობრიობას უფალთან და მოუტანს უსაზღვრო ბედნიერებას.

აფხაზეთის ომი საშინელია და დაუნდობელი... თუ გსურთ ბოლომდე ჩაწვდეთ ქალბატონ ნინოს სულიერ ცხოვრებას, მის ოჯახურ იდილიას, რომელიც აწ გარდაცვლილ მეუღლესთან, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტთან ბორის თოფურიძესთან და ერთადერთ ქალიშვილთან, ამჟამად შორეულ ჰოლანდიაში მოღვაწე ჟურნალისტ მაიკო თოფურიძესთან აქვს, უთუოდ უნდა გადავიკითხოთ ამ წიგნის ყველა თავი.

ქალბატონმა ნინომ 1999 წლის 26 მარტს ნაქირავეები ბინიდან გააცილა 40 წლის მეგობარი, ძვირფასი მეუღლე ბორის თოფურიძე, რომელსაც აფხაზეთის ტრაგედიამ მოუღო ბოლო. „მისი გულისთვის რომ მოგესმინათ, ყურს წვდებოდა

მკერდში დაგუბებული ცრემლები ბუყბუყი“. ბორის თოფურიძე გახლდათ ათლეტური აღნაგობისა და ინტელიგენტურობით აღსავსე პიროვნება. პიროვნება საოცარი შინაგანი კულტურით. ადამის ძის მოდგმის დაუშრეტელი ნიჭი ამშვენებდა ამ დიდებულ ადამიანს. იგი იყო ჭეშმარიტი ხელოვანი, არტისტული ნიჭიერებით აღსავსე, უფალი ასე მხოლოდ ერთეულებს აჯილდოებს. მის ბიოგრაფიას 200-მდე როლი ამშვენებს. ქალბატონი ნუცასა და ბატონი ბორისის ოჯახი გახლდათ სალონი კულტურისა, თავისებური ეშითა და უშურველი სტუმარ-მასპინძლობით გამოირჩეული, რაც მთავარია, სულიერ-ადამიანური ღირებულებების ფასდაუდებელი კერა. მეც ამ ოჯახის ერთ-ერთი მოკრძალებული სტუმარი გახლდით. ამ ძვირფასი ინტელექტუალური ოჯახიდან წამოღებული სულიერი საგანძური ჩემი ცხოვრების გზის მუდმივ თანამგზავრად იქცა.

აქვე მიზანშეწონილად მიმაჩნია ქალბატონი ნუცასა და ბატონი ბორისის ქალიშვილის მაიკო თოფურიძის გენერალ კამკამიძესთან შეხვედრის ეპიზოდის გადმოცემა. მაიკო თოფურიძე აფხაზეთში მიმდინარე ომის დროს საგანგებოდ შექმნილი ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების სამსახურის პრესცენტრში მუშაობდა. მაიკო თოფურიძემ 8 წლის შემდეგ საიდუმლო გასცა: „ეტყობოდა სინანული გულს უღრნიდა ამ კეთილ კაცს. მან ყველაფერი ნახა, გაანალიზა ომობანა და ახალგაზრდობის უაზრო ხოცვა-ჟლეტა დანაშაულად ჩათვალიდა და თავისი გზა ნახა“.

მსგავსი ეპიზოდების გადმოცემით ნუცა არდაშელია ყოფიერების ჭეშმარიტ თვისებებს წინ წამოსწევს და შემთხვევითსა და წარმავალს მუდმივი განახლების თვისებად მოიაზრებს. ამ წიგნში აღწერილი ამბებით მკითხველი აფხაზეთის ქართველობასთან ერთად იმ ზნეკეთილ აფხაზების ყოფასაც გაითავისებს ბედისწერამ გამანადგურებელ ომში რომ ჩაითრია და ეროვნული თვითიდენტიფიცირების საკითხი, როგორც არსებობის საზრისი, საფრთხის ქვეშ დააყენა.

სეპარატისტთა ბინძურმა პოლიტიკამ, ამბიციებმა ეროვნულობის გრძობა დააკარგვინა ადამიანებს და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემები ყოველდღიური ლუკმა-პურის შოვნაში ჩააკარგვინა.

ეს წიგნი გულისშემძვრელი და მტკივნეულია ყველა ლტოლვილისათვის, ბოლოსდაბოლოს ლტოლვილნი აფხაზეთის ომიდან დევნილნი კი არ არიან. ვიდრე სოხუმი და ცხინვალი დაკარგულია, ჩვენ ყველანი ლტოლვილებად უნდა ვგრძნობდეთ თავს, ვფიქრობ, ეს ჩვენი, ქართველობის ზნეობრივი თვისება და ღირსებაა.

ომის ტრაგიკული შედეგების ფონზე ცარიელი სიტყვები და გულში მუშტის ბრაგუნი ვერ გვიშველის. გულნატკენი მეცნიერი გადამწყვეტ ნაბიჯებს მთავრობისაგან ელის, ვისაც ვითარების განმუხტვა შეეძლო, მაგრამ ამოდ. აკი ისტორია მშვენიერი ნოველაა, რომლითაც ავტორი მძიმე გარემოებასთან გვაახლოებს, რომელსაც უთუოდ დიდი ძალისხმევა სჭირდება. და მაინც, ზნეკეთილი ადამიანები – ჟიული შარტავა, გენო ადამია, გურამ გაბისკირია, გია გულუა, ბატონი ლორიკ მარშანია, ეს უკანასკნელი კი დღესაც ერთგულ მეციხოვნედ დგას აფხაზეთისა და ქართველების მეგობრობის ხიდზე, რომელთაც ძვალბრძოლაში გასაჯდომოდ ისაზრი, რომ წინაპრები ავალდებულებენ მეტი შემართებით ბრძოლას, რამეთუ წარსულის გარეშე არ არსებობს აწმყო და ჩვენ მხოლოდ ჩვენი წარსულის მემკვიდრენი ვართ, ეს აფხაზეთის ომმაც დაადასტურა და ამიტომაც თითოეული მათგანის გმირული ეპიზოდების შემონახვა მომავალი თაობებისათვის უკეთილშობილესი მისიაა.

ნინო არდაშელიას პიროვნული და შემოქმედებითი ბიოგრაფია ცოცხალი ილუსტრაციაა სულის უცნაური და საოცრად უკეთილშობილესი თავგადასავლები-

სა... გონით გასხივოსნებული რეფლექსებით იმგვარი არგუმენტების, დებულებებისა და ღრმა ანალიტიკური დასკვნებისა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი სინამდვილე, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები...

დღეს, ასე თუ ისე, გონს მოსული ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი ფიქრობს აფხაზეთის დაბრუნებას მხოლოდ მშვიდობიანი, დემოკრატიული, ცივილიზებული გზით, რაც განპირობებულია დაპირისპირებულ მხარეთა ნდობის აღდგენის ფაქტით. ქართულ-აფხაზური თანაცხოვრების აღდგენასთან მიმართებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ახალგაზრდობას. ამიტომ ჩვენი ადამიანური მოვალეობაა ხალხს, ახალგაზრდობას შევხსენოთ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მწარე შედეგების სიღრმისეული განსჯა-ანალიზი, დიდი მეცნიერი ქალბატონის ნაღვაწ-ნაამაგარი, რათა მის კვალდაკვალ გაადვილდეს ურთიერთობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის, რაც უეჭველად მიგვიყვანს ბრძნულ გადაწყვეტილებამდე. ყოველივე ეს კი ქმნის და აყალიბებს პიროვნებას, რომელიც ეროვნულ წიაღშივე განემზადება დასაბრუნებლად, როგორც ის მარცვალი სიკეთისა, სულის ნოყიერ წიაღში რომ უნდა მოიდრიკოს.

ყველა სურათი, ყველა მოვლენა, ფაქტები და დეტალები, ისევე როგორც მთელი ფილოსოფია, ფსიქოლოგია აქ მთლიანობაშია წარმოდგენილი. წიგნში თითქოს თავი მოიყარა და დიალექტიკურად გადაიკვანძა ის ზოგადიც, რაც დამახასიათებელია ადამიანისათვის და ის განსაკუთრებულიც, რაც განასხვავებს აფხაზი ხალხის ზნეკეთილ ბუნებას სეპარატისტებისა და ოკუპანტებისაგან.

დღეს პოლიტიკოსები, მეცნიერები სხვადასხვაგვარად აფასებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ძმათამკვლელ ომზეც სხვადასხვაგვარი მოსაზრებებია, მაგრამ ქალბატონი ნინო ის მეცნიერ-პოლიტიკოსია, რომელსაც აქვს თავისი ესთეტიკა, მოვლენების შეფასების თავისებური კრიტერიუმები, მოვლენების მისეული ხედვა, გამყარებული მეცნიერული დებულებებითა და არგუმენტებით. არ გამოვრიცხავ, რომ თაობათა დამოკიდებულება გარდასული ისტორიული პროცესების მიმართ იქნება სრულიად განსხვავებული.

ნინო არდაშელიას ეს წიგნი ბევრს გვავალებს ჩვენც და მომავალ თაობებს. ხალხურმა დიპლომატიამ, ლიტერატურამ, ისტორიამ და კულტურამ უნდა შექმნას ახალი სიტუაცია, თანამედროვე დიპლომატიური ენა დიალოგისა.

უფიქრობ, თუ დიალოგზეა საუბარი, მაშინ როგორც დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ გმირები თარაშ ემხვარი და არზაყან ზვამბაია ერთად მივიდნენ ზუგდიდის დოღზე ფინიშამდე, ასე ერთად უნდა იარონ აფხაზეთში და ქართველებში მომავალ ათასწლეულებში, რამეთუ დადგადრო დაკარგულის პოვნისა და სიყვარულის დაბრუნებისა.

„უფალო, შენ ხომ იცი ჩემი ფესვები სადაცაა, ჰოდა, ერთს გთხოვ, ჩემი ნაყოფიც ჩემს ფესვებთან დაეცეს“ (ფსალმუნი).

დაბეჯითებით შემოიძლია ვთქვა, რომ ეს წიგნი არის ადამიანებზე, რომლებიც იმარჯვებენ ყოფიერების სამკვედრო-სასიცოხლო ომებში.

რა თქმა უნდა, ერთ პატარა წერილს არ შეუძლია მოიცვას ნუცა არდაშელიას წიგნით მიღებული შთაბეჭდილებების, გრძნობების და განცდების ანალიზი. თუმცა, ერთი რამ ცხადია, ნუცა არდაშელია ამ წიგნით წარმოგვიდგა როგორც ნიჭიერი მეცნიერი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, დიდი ქველმოქმედი, რომელიც საგანგაშო ზარებს არისხებს და მიძინების, ყველაფრისა და ყოველივესადმი შეგუების უფლებას არ გვაძლევს და ღრმად სწამს, რომ ღვთის ნებით, აფხაზეთში დავბრუნდებით და კვლავ იქნება სისხლი და ხორცი აფხაზი და ქართველი. საქართველო კი ორივესათვის ერთი დედასამშობლოა. სიყვარული და თავგანწირვა ამ ნაწარმოებში გააზრებულია როგორც ადამიანთა ყოფის ფუნდამენტური

საწყისი, კონცეფცია, ლტოლვა, რომელიც უპირისპირდება ომით გამოწვეულ ქაოსს, ნგრევას, ადამიანთა გათიშულობას. ომის დროს ინგრევა არა მარტო ქალაქები და სოფლები, არამედ ოჯახები, ადამიანთა შინაგანი სამყარო და ურთიერთობის ფორმები. ასეთ ატმოსფეროში სიყვარული და ურთიერთგატანა არის ძალა, რომელიც ადუღაბებს და მთლიანობაში კრავს დაშლისა და ქაოსის მოქადულ ყოფას. ავტორს მუდამ, ყოველთვის აინტერესებს ერთგულების პრობლემა, რაც შეეხება სოლიდარობის მომენტს სიყვარულში მოქიშპეთა შორის, ამის საფუძველს ეძებს ყოფიერების ზღვრულ სიტუაციებში...

„ფურცლები ცრემლით ნაწერი დღიურებიდან“ ადამიანისა და სიცოცხლის, სიყვარულის ფლუიდები მოჩქეფს და ურთიერთმიტევებისა და შემწყნარებლობის კეთილშობილ გრძობებს აღვივებს, რაც თვით ავტორის ძლიერ ხასიათსა და მაღალ ზნეობრიობაზე მიგვანიშნებს. ამ წიგნში მეცნიერი ქალბატონის პორტრეტიც გამოიკვეთა, პორტრეტი კოლხი ქალისა, რომელსაც მეცნიერება და პოლიტიკა პროფესიად უქცევია, თუმცაღა მშობლიურ აფხაზეთზე ზრუნვას ვერ შელევია. კოლხეთის უღამაზეს სოფელ თავილონიდან წამოღებული სასიცოცხლო ენერჯია მისი სულიერი წყაროს სათავეა, ის უმაგრებს საძირკველს ცნობიერებაში წინაპართა მიერ მოტანილ იმ სულიერ ფასეულობებსა და ღირებულებებს, მისი კალმის მონასმით იკვეთება წინაპართა ბრძნული გამოცდილებისა და ნაანდერძევის ძალა და სიბლი.

მთელი წიგნი გამსჭვალულია შეუნელებელი ნოსტალგიით აფხაზეთზე, გარდასულ დროზე, დაკარგულ ადამიანებზე, ხატავს ცოცხალ ხასიათებს და ეს კიდევ ერთი ღირსებაა ამ ტკივილიანი, ცრემლიანი და მღელვარე წიგნისა.

ნინო არდაშელიამ აფხაზეთის ქართველობის ტკივილი მთელი საქართველოს სისხლმდინარე ჭრილობად წარმოაჩინა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა უდიდესი მოვალეობა – ერთად ყოფნის, ურთიერთსიყვარულის, ერთგულებისა და ერთმანეთის გატანისა...

P.S. წერილი დასაბუქდად მზად იყო, როცა გლოვის ზარმა ჩამოკრა საქართველოში. მოხდა გაუგონარი ტრაგედია. ავიაკატასტროფაში დაიღუპა ევროპის გამორჩეული პოლიტიკოსი, პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი და მისი მთავრობის წარმომადგენლები.

ქალბატონმა ნინო არდაშელიამ მთელ ქართველობასთან ერთად გამოხატა ღრმა მწუხარება და გულისტკივილი პოლონეთის პრეზიდენტის დაღუპვის გამო და სოხუმის აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობის, პროფესორ-მასწავლებელთა და რექტორის სახელით სამიძარის წერილი გაუგზავნა პოლონეთის საელჩოს საქართველოში.

### **ლიტერატურა:**

1. არდაშელია ნინო (ნუცა), ფურცლები ცრემლით ნაწერი დღიურებიდან, თბ., 2001 წელი.
2. მესხია ციალა, კვლავ ლოცვად დგას სოხუმი და გაგრა, წიგნიდან: სასწაული და ფანტაზია, თბ., 2009.



**Tsiala Meskhia**  
***Thoughts about Abkhazia***  
***(Book of Professor Nutsa Ardashelia «Pages of Diary Written by Tears»)***  
**Summary**

The article reflects a very interesting and versatile image of well-know Georgian scientist and outstanding person, Nutsa Ardashelia, her great deal in Georgian science and politics, in struggle for strengthening of Georgian – Abkhazian Friendship.

The book «Pages of Diary Written by Tears» is full of great and exciting and thrilling feelings, deep tensity and dramatic nature, great love to native Abkhazia.

Every phrase in the book shows that the main aim of the scientist is to make readers feel the real contours of the fratricidal war.

The author dedicates her book to the great reason – she wants to analyse the war process and its cruel results. Nutsa Ardashelia underlines ethical problems. The book reflects thoughts of common to all mankind ideals. Without that it is impossible to imagine progress and life of contemporary world.

Maybe passages of meeting of the scientists to Abkhazian separatists leader or UN ambassador Brunner seems as an eccentric details but well-know scientist contends that just Georgian and Abkhazian «cream of society» created conditions for beginning of war (not Abkhazian or Georgian people, of course). It is time to stop tragedy.

Nutsa Ardashelia thought and thinks that this period is too important, it has great ethical meaning. Her own personal responsibility forces her to participate in this important work. She represents the best part of Georgian Society.

The book is «some window» to realise the real results of cruel war.

Scientist knows war details, she participates in wounded warriors mothers committee work in charity events. This fact makes book narrative, more expressive.

Nutsa Ardashelia has her own aesthetic criterion of appraisal of events, scientific arguments and reasons.

The book is important for future generations as well – literature, culture, history, art have to create a new situation, people diplomacy must participate in legitimation of conflict results.

Book is too important for refugees not only from Abkhazia and Tskhinvali region, but for all the Georgian people as well.

It is ethical principle for Georgian people nowadays.

**Циала Месхия**  
**Думы об Абхазии**  
**(Книга профессора Нино (Нуцы) Ардашелия**  
**«Страницы из дневника, написанные слезами» )**  
**Резюме**

В статье показано интересное и разнообразное лицо известного грузинского ученого и общественного деятеля Нуцы Ардашелия, ее роль в грузинской науке и политике, в укреплении абхазско-грузинской дружбы.

Книга «Страницы из дневника, написанные слезами» написана с большим переживанием, глубоким драматизмом, пропитана национальным чувством, глубокой любовью к родной Абхазии. Здесь очень четко проявляются сферы интересов ученого и чувствуется цель автора – выявление своеобразия и свойства братоубийственной войны. Все произведение посвящено анализу абхазо-грузинским военным действиям и результатам.

Споры и встречи госпожи Нино Ардашелия с абхазскими сепаратистами, хотя бы один день с Ардзинба и уполномоченным посла ООН господином Брунером, могут показаться эксцентричной деталью, но это не так. Профессор Ардашелия аргументированно доказывает, что «именно наши и ваши элитарные слои, а не абхазы и грузины готовят театр адской войны. Пора прийти в себя и остановить эту адскую трагедию».

Для нее, как для ученого и общественного деятеля, этот «раунд» имел нравственное значение и это главное. В своей книге автор показывает также деятельность комитета матерей раненных воинов, что придает большую экспрессивность рассказам. Госпожа Нуца – тот ученый-политик, у которой есть своя эстетика, своеобразные критерии, ее видения подкреплены научными обоснованиями и аргументами.

Эта книга многому обязывает нас и будущее поколение. Народной дипломатии, литературе, истории и культуре надо создавать новую ситуацию, современный дипломатический язык диалога.

Эта книга близка и волнует всех беженцев, так как беженцами сегодня являются не только жители Абхазии и Южной Осетии. Все жители Грузии должны чувствовать себя беженцами, думаю, это вопрос нравственного достоинства грузин.



## Ann Agranat, Marina Sioridze

(Israel), (Georgia)

### ALAIN ROBBE-GRILLET'S «CHOSISME»

The French novelist Alain Robbe-Grillet achieved fame for his innovative techniques in writing fiction. Influential in avant-garde Paris intellectual circles, his controversial critical theories regarding the concept of the modern novel were fulfilled in his own narratives.

In the mid-1950s the name «Nouveau Roman» was given to the work of a group of writers who saw themselves as challenging the traditional conception of the novel, particularly the conventions governing plot and characterization. Opinions differed somewhat as to who counted as a *nouveau romancier*, but the central figures - at first—were Alain Robbe-Grillet, Nathalie Sarraute, Michel Butor, Claude Simon, and Robert Pinget (Marguerite Duras was also often associated with them, but she was never interested in belonging to a group). All these novelists wanted to create a «new realism» that would more adequately convey contemporary reality, but each of them interpreted the task in a different way. For Robbe-Grillet it meant asserting the separateness of external reality from man's anthropocentric projections; for Sarraute, the deconstruction of «character» to reveal a hitherto unformulated level of psychological interaction; for Butor, an awareness of the historical and cultural basis of our vision of reality, and so on.

Robbe-Grillet and his coterie - a select literary group composed of Nathalie Sarraute, Michel Butor, Bruce Morrissette, and Claude Simon - opposed the bourgeois, or Balzacian, novel of humanist tradition, preferring the geometrical precision and clinical exactitude of a scientific-literary approach. Robbe-Grillet, in particular, demonstrates a post-Sartrean sense of the alienated character and claims as the inspiration for his novels «the first fifty pages of Camus's *The Stranger* and the works of Raymond Rousset» (the latter is a little-known author who died in the 1930s). Critical analysis has also recognized the profound impact of the novels of Franz Kafka and Graham Greene on his work.

Despite these differences, however, they were further united by a common emphasis on the *seriousness* of fiction, considered as a means of enlightenment rather than mere entertainment. This was also Sartre's view; but the *nouveaux romanciers* disagreed with his conception of writing as an act of *political* commitment. Several vehement exchanges between him and Robbe-Grillet, Sarraute, and Simon (Butor, on the other hand, remained close to Sartre) gave the Nouveau Roman additional publicity. Indeed, one of the group's main characteristics from the beginning was the importance they attached to the theory, as well as the practice, of fiction. Sarraute's *L'Ère du soupçon* and Robbe-Grillet's *Pour un nouveau roman* played as great a role as the novels themselves in establishing the identity of the Nouveau Roman. Their status as intellectual, avant-garde writers - associated with Barthes, for instance, who wrote articles praising Robbe-Grillet and Butor - has persisted; as the initial controversial impact of their novels wore off, they have figured on many university syllabuses, and most of the authors have lectured extensively at universities throughout Europe and America.

To some extent, the collective existence of the group was a creation of the media. After an initially hostile response, they were promoted by *L'Express* and by the Minuit publishing house, where Robbe-Grillet's position as editor ensured that he, Butor (until 1960), Simon, and

Pinget were all «Minuit writers». Moreover, they began to be seen as the most significant writers of the period; 1957, which saw the publication of Robbe-Grillet's *La Jalousie*, Butor's *La Modification*, Simon's *Le Vent*, and the re-edition, by Minuit, of Sarraute's *Tropismes*, established a dominance which lasted for at least the next decade. In 1964, for instance, the three novelists selected by the European Community of Writers to represent France at a conference in Leningrad were Robbe-Grillet, Sarraute, and Butor (although illness prevented him from attending).

But their public success led to increasing tensions within the corporate identity of the Nouveau Roman, as the differences between individual members became more difficult to overlook. This process was greatly exacerbated by Jean Ricardou who, along with Claude Ollier, was a slightly later recruit to the group. Ricardou was on the editorial board of the journal *Tel Quel*, whose promotion of Structuralist- Marxist literary theory both influenced and threatened the work of the Nouveau Roman. His attempt to define the collective project of the latter more rigorously than hitherto, and the dogmatic fervour with which he imposed his definition on the group, in fact precipitated its partial break-up. The argument centred on realism, which Ricardou, following *Tel Quel*, saw as complicitous with bourgeois ideology. Therefore, he argued the Nouveau Roman should not attempt to represent or express the real in any way at all; it was no longer a question of renewing realism but eliminating it altogether in favour of a subversive free play of language. Butor and Sarraute were unable to accept this. This conflict came to a head at a conference at Cerisy which Ricardou organized in 1971: here he consolidated his dominance over the remaining *nouveaux romanciers*, going on to organize further conferences on Simon and Robbe-Grillet. But while Robbe-Grillet's fiction had always had a provocative, playfully anti-realist dimension, Simon's acceptance of the new line necessitated a major reorientation in his work in the 1970s until, finally and dramatically, he rebelled against Ricardou with the publication of *Les Géorgiques* in 1981. At a conference held in New York in 1982, Simon, Sarraute, Pinget, and Robbe-Grillet himself asserted their collective rejection of Ricardou, and the futility of any attempt to prescribe what their individual novels should be like.

In the 1960s and 1970s, Robbe-Grillet was one of the most prominent and controversial of French avant-garde writers. He launched and publicized the Nouveau Roman, through his novels and critical journalism and as editor at the Minuit publishing house. His work is based on a rejection of realism - the traditional 19th-c. novel, and also Sartre's politically committed realism. *Pour un nouveau roman* vigorously states Robbe-Grillet's position: the novelist must not accept any external constraints - whether literary conventions, political or moral concerns, or representational accuracy - but must let the text proceed freely, propelled only by its own formal logic. Humanist values must be replaced by a non-anthropocentric refusal of complicity between man and his environment.

There is thus a sense in which the *nouveaux romanciers* outlived the Nouveau Roman. They all continued to be productive throughout the 1980s, and much of their work in this period was characterized by a revalorization of real-life individual experience, e.g. the autobiographical texts of Sarraute, Robbe-Grillet, and Simon. But this was the only remaining common feature. The emphasis on clarifying and theorizing collective aims had entirely disappeared. Ricardou continued to develop his theories under the new title of «textique»; Butor's work had for some time ceased to be fictional in any conventional sense; Robbe-Grillet was almost exclusively concerned with the textual and filmic representation of his sexual fantasies; and the others had remained remarkably faithful to their original individual concerns.

They now looked back on the earlier phases of the Nouveau Roman with some scepticism and disillusionment.

But while it is true that the collective project eventually proved unrealizable, the contribution it made to the evolution of the novel is still extremely important. The significance of the Nouveau Roman is, in the first place, that of a group of writers theorizing their own fictional practice, engaging actively with wider contemporary intellectual movements (Marxism, Structuralism, psychoanalysis), and in the process generating a debate which, if at times confused or acrimonious, was always lively, demystifying, and insightful. Equally, they have produced some of the major French novels of the 20th c.

Known as the first «cubist» novelist and a «chosist», for his obsessive focus on inanimate objects, Robbe-Grillet initially described the *nouveau roman* and became the leading exponent of the New Wave in contemporary French literature. His revolutionary theories are based on the premise that man's perception of his milieu is distorted by his bourgeois background and its resulting emotionalism. Condemning the metaphorical phrasing of many existentialists, Robbe-Grillet attempts to illustrate in his fiction that all illusionary language falsely indicates a possible relationship between man and the material universe. The world is not man's domain, the novelist's essays and narratives insist, and objects exist independently of the transitory emotional content of human life. Characterized by an objective accuracy in its detailed descriptions, his writing is bare of intangible, inferential adjectives.

*The Erasers*, Robbe-Grillet's first novel, appears to be a conventional detective thriller but thematically reworks Sophocles's *Oedipus Rex*. Intended as a comic parody, the narrative illustrates the chosist technique in its intense focus on the India rubber of the title as an antisymbol. *Le Voyeur* explores, without either conversation or interior monologue, the psychology of a rapist. The exaggerated realism of the physical descriptions imposes a dreamlike air of surrealism on this work.

The past, present, and future are juxtaposed in *Jealousy*, an experiment with time and space elements, and humanity is characterized by mere behavior patterns, the identity of individuals being refined out of existence. The potential lushness of its tropical setting, based on Robbe-Grillet's equatorial travels, is deliberately reduced to a monochrome of color, measured distance, and tone and shape, with photographic precision. The antisymbol appears again, this time in the form of a centipede that to the nameless hero represents the image of jealousy itself. All indications of the subjective eye of the author are removed, resulting in a new literary mode. *In the Labyrinth* emphasizes the cinematic play of light and shadow over an endless expanse of snow. The Antonioni-like monotony of the landscape is reflected in the rhythm of language, and an unconventional attempt is made to suggest inner reality through the external vision.

Alain Robbe-Grillet at age 40 embarked on a parallel career as screen-writer and director. Robbe-Grillet's finest effort may be the film scenario *Last Year at Marienbad*, which reads like a novel and is written in the «continuous present». The film, directed by Alain Resnais, created considerable critical controversy and captured the Golden Lion Award at the Venice Film Festival. In this scenario, the most objectively pictorial of Robbe-Grillet's fiction, space has been created as a function of psychological time, and the internal conscious reality exists in terms of external objects with endless repetitions of long, empty corridors, baroque ceilings, mirrored walls, and formal gardens. The surprising commercial success of the film permitted its author to undertake other cinema efforts, notably *The Immortal*, the first film he both wrote and directed and winner of the Louis Delluc prize and *Trans-Europe Express*.

Robbe-Grillet is a theorist and teacher as well as a producer of fiction and film. His work has been provocative, confrontational, and often opportunist, but has always posed radical questions about the relation between cultural stereotypes, fantasy, and anti-representational structure.

**Literature:**

1. Anthony N. Fragola, C. Smith Roch: *The Erotic Dream Machine: Interviews With Alain Robbe-Grillet on His Films*. Southern Illinois University Press, 1992.
2. Bernal O., *Alain Robbe-Grillet: le roman de l'absence*, 1994.
3. Jefferson A., *The Nouveau Roman and the Poetics of Fiction*, 1989.
4. Heath S., *The Nouveau Roman: A Study in the Practice of Writing*, 1999.
5. Nathalie Groß: *Autopoiesis. Theorie und Praxis autobiographischen Schreibens bei Alain Robbe-Grillet*. Berlin 2008.
6. Ricardou J., *Le Nouveau Roman: hier, aujourd'hui*, 2002.
7. Roger-Michel Allemand, *Alain Robbe-Grillet*, éd. du Seuil, 2002.
8. Roger-Michel Allemand, *Le Nouveau Roman*, éd. Ellipses, 1996.
9. Scarlett Winter: *Robbe-Grillet, Resnais und der neue Blick*. Heidelberg: Winter, 2007.

ანა აგრანატი, მარინა სიორიძე

ალენ რობ-გრიეს „შოზიზმი“

**რეზიუმე**

რობ-გრიეს პირველი რომანების სტილი შეიძლება დავახასიათოთ როგორც „შოზიზმი“. თხრობა გამიზნულად უპიროვნოა და პირდაპირი. მთავარ მოტივად ხდება ნივთების, უსულო საგნების, რაღაც შემთხვევითი ყოფითი დეტალების აკვირებელი და უსასრულო აღწერა, რომლებიც, თითქოს, სრულიად ზედმეტია და უკანა პლანზე გადააქვთ თხრობა მოვლენებსა და პერსონაჟთა სახეებზე. თუმცა, თანდათანობით ნათელი ხდება, რომ არავითარ მოვლენას არა აქვს ადგილი, ხოლო საგნების აღწერა აიძულებს მკითხველს დასვას კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის ყოფა.

ალენ რობენ-გრიეს პროზის წყობას ხშირად გამოუცნობს და გაუგებარს ეძახიან, მიუხედავად შინაგანი სიმარტივისა და უპიროვნობისა და შემთხვევითი არ არის, რომ წარმოიშვა მყარი გამოთქმა „რობ-გრიეს რომანები – ლაბირინთები“.

**Анна Агранат, Марина Сиоридзе**

**«Вещизм» Роб-Грийе**

**Резюме**

Стиль Роб-Грийе в его первых романах можно охарактеризовать как «вещизм». Повествование нарочито обезличенное и плоскостное. Главным мотивом становится навязчивая и повторяющаяся опись предметов, неживых вещей, каких-то случайных

бытовых деталей, казалось бы, совершенно излишних и оттесняющих рассказ о событиях и образы персонажей. Однако постепенно становится ясно, что никакого события и не происходит, а опись предметов заставляет поставить вопрос о том, что такое бытие.

Строй прозы Роб-Грийе часто называют загадочным и непонятным, несмотря на внешнюю упрощенность и обезличенность, и не случайно появилось устойчивое выражение «романы-лабиринты Роб-Грийе».



**ამბროსი ფაილოძე**

(საქართველო)

**კოლხური – ქართული ცივილიზაცია**

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველ ერს ადრეკლასობრივი ხანის პერიოდიდან ჰქონდა ცივილიზაცია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა თვითმყოფადი ქართული კულტურა.

ცივილიზებულმა ქართველმა ერმა უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს მსოფლიოს მოწინავე ცივილიზებულ ქვეყნებთან თანამედროვე ურთიერთობანი მეცნიერების, განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და ეკონომიკის სფეროში.

ქართულმა სულიერმა კულტურამ, რომელიც თავისი არსით თვითმყოფადი კულტურაა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავენ პროფესორები – ნოდარ ასათიანი, ვიქტორ გუჩუა, მარიამ ლორთქიფანიძე და შოთა მესხია, ყველაფერი საუკეთესო შეითვისა იმ კულტურათაგან, რომლებიც მეზობელ ქვეყნებში იქმნებოდა.

ქართულმა ქრისტიანულმა კულტურამ და ქართულმა მწერლობამ შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს ერს. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართულია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართულ შტოს კი არ ეუთვნის, არამედ მეგრულ-ლაზურს, ან სვანურ შტოს. ამის გამო ქართული ენა-კილოკავეების შესწავლას ჩვენი ერის უძველესი წარსულის შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდევ ყოველთვის“.

პროფესორ სერგი მაკალათიას აზრით, კოლხეთით იწყება საქართველოს ისტორია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ძირითად ავთენტურ წყაროებს წარმოადგენენ შორეული ეპოქის მოღვაწეთა მიერ გამოთქმული მეტად საინტერესო მოსაზრებები. აი, ისინიც: ისტორიის მამა – ჰეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი, „გეორგიკა“, „ქართლის ცხოვრება“, გამოჩენილი ქართველი მეცნიერების – ივ. ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, თამაზ გამყრელიძის, კორნელი დანელიას, რამაზ პატარაძის, გრანი ქავთარაძის, იგორ კვესელავას, მაია ხეცურიანის, მამანტი ძაძაძიას, გივი ელიაშვილის, ომარ ხუხუას, გია კვაშილაშვილის და სხვა გამოჩენილ მეცნიერ-მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ქართული ცივილიზაციის კვლევის საკითხებთან დაკავშირებით.

ქართული ცივილიზაციის აკვანს კი კოლხეთი წარმოადგენდა. აკადემიკოსი თ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ სწორედ ძველი კოლხეთით, კოლხური სახელმწიფოებრიობით თარიღდება უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობა. შემთხვევითი არაა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ჩასახვის თარიღად სხვადასხვა მეცნიე-



რულ თვალსაზრის შორის საქართველოს ხელისუფლება სწორედ „კოლხურ ვარიანტზე“ შეჩერდა.

ქართული კულტურისა და აზროვნების საწყისები, წერს პროფესორი იგორ კვესელავა, შორეულ პრეისტორიულ ხანაშია საძიებელი და ქართული ისტორიოგრაფია სამართლიანად ასაბუთებს ქართველური ტომების არსებობას ევროაზიურ და აღმოსავლური სივრცეში.

ქართული კულტურა და აზროვნება საკაცობრიო ცივილიზაციის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ და, ბუნებრივია, მას გავლენა უნდა მოეხდინა სხვა ხალხების ცხოვრებასა და კულტურაზეც. ქართული სახელმწიფოებრიობის სამი ათასი წლისთავი, რომელიც ქართველმა ხალხმა 2000 წელს აღნიშნა, სწორედ კოლხეთის ქართველურ სახელმწიფოდ მიჩნევამ განსაზღვრა.

ქართული ცივილიზაციის სათავეს კოლხეთი რომ წარმოადგენდა, ამის ნათელი დადასტურებაა მე-5 საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის, ისტორიის მამად ცნობილი მოღვაწის ჰეროდოტეს მიერ წარმოთქმული ფრაზა: „ოდესღაც კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ“.

ისტორიის მამის – ჰეროდოტეს ცნობის მიხედვით წერს მკვლევარი მამანტი ძაძაძია: „ოდესღაც კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა მათ დამწერლობა თვით ჰეროდოტეს დროს, ე.ი. Vს-ში ჩვ.წ.აღ-მდე“.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვითაც, ფართოდ დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ „კოლხებს აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნახვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.

კოლხეთის, როგორც სახელმწიფოს ცივილიზებულობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ კოლხებს ჰქონდათ სახელმწიფო ენა. აკად. თ. გამყრელიძეს თუ დავესესხებით, „ზანური ენა“ – დღევანდელი მეგრულ-ლაზურის წინაპარი ენა – იყო სწორედ კოლხური სახელმწიფოს ენა, რომელზეც, როგორც ივარაუდება, მეტყველებდა აია – ქვეყნის, ე.ი. კოლხეთის მეფე აიეტი. ამ ენას აკად. აკაკი შანიძე „კოლხურს“ უწოდებს.

როგორც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის, ასევე ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული მოძრაობის საწყისები იმ მხრივ არის საინტერესო, რომ თვითმყოფადი ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეამ სწორედ კოლხეთში დაიდო სათავე. აი, რას წერს აღნიშნულთან დაკავშირებით პროფ. ი. კვესელავა: „ქართული ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული მოძრაობის საწყისები შორეულ საუკუნეებში დევს. ამაზე მეტყველებს ფაზისის მაღალი დონის რიტორიკულ-ფილოსოფიური აკადემიის მხილველთა თუ მხსნელთა, აიეტის და ფარტაზის პაექრობა VI საუკუნის საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის პრობლემებზე. განა ეროვნული მოძრაობისადმი დამოკიდებულების დადასტურებად არ ქდერს აიეტის სიტყვები: „მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირვებოდეს უცხო და გარეშე დახმარება ამგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისევე მშვიდობის დროს, მხოლოდ თავს ეყრდნობოდეს“.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ IV-VIII საუკუნეების საქართველოში მაღალ დონეს მიაღწია ცივილიზაციამ. როგორც აკადემიკოსი მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, „ამ დროის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკური ფილოსოფია, რიტორიკული ხელოვნება. IV საუკუნის კოლხეთი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ქალაქ ფაზისის (ფოთის) მახლობლად არსებობდა ფი-

ლოსოფიურ-რიტორიკული აკადემია, სადაც განათლება მიუღიათ ცნობილ ბერძენ მჭერმეტყველებს – ევგენიოსს და მის შვილს თემისტოსს“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს V საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მეფისწულის – მურვანოსის, იგივე პეტრე იბერის, მოღვაწეობა კონსტანტინეპოლში, რომელიც იქ ტყვედ იყო წაყვანილი. სახელგანთქმულ ფილოსოფოსს – პეტრე იბერს საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტია. უშუალოდ მის სახელთან არის დაკავშირებული არაერთი ქართული მონასტრის დაარსება პალესტინაში.

კოლხეთის აკადემიაში სწავლა-განათლება მიუღიათ საბერძნეთის იმპერატორთა შვილებს. ძველ კოლხეთში საკუთარი აკადემიის არსებობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ, როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, ქართული ცივილიზაცია, ე.ი. ერის თვითმყოფადი კულტურის საწყისები სწორედ რომ კოლხეთში უნდა ვეძებოთ.

კოლხებმა, შექმნეს რა თავიანთი სახელმწიფო, ამით მათ შეძლეს შექმნათ ისტორიისა. ისტორია კი, თუ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მწვერვალს გეორგ ვილჰელმ ჰეგელს მოვუხმობთ, „მხოლოდ ის არის, რაც თავისი გონების განვითარებით არსებითად მნიშვნელოვან ეპოქას ქმნის“.

მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ძველი კოლხეთის ისტორია. ცნობილი მწერალი, მეცნიერი და კოლხური კულტურის მკვლევარი ვლადიმერ ალფენიძე წერს: „კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის (კოლხური კვირბები) პირველი საწყისი უძველეს დროში სწორედ კოლხებმა შექმნეს, ბერძნული და ლათინური მითები ეგვიპტელების მასწავლებლებად ასახელებენ კოლხებს. ეგვიპტეში ჰელიოპოლისის დაარსება იყო კოლხი აქციუსის პირველი გამირობა – სასწაული“. ეს ფაქტი მიუთითებს კოლხური ცივილიზაციის დიდ როლზე მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

კოლხური კულტურის საკითხებს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ბ-ნმა გივი ელიავამ. მან, ღრმა მეცნიერული პრინციპებიდან გამომდინარე, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, შეისწავლა და დღის სინათლეზე გამოამხეურა „კოლხეთის ისტორიის გარიჟრაჟიდან მომდინარე ცივილიზაცია“. ბატონ გივის მოღვაწეობას კოლხური კულტურის კვლევადიებასთან დაკავშირებით მაღალ შეფასებას აძლევდა მკვლევარი ვლადიმერ ალფენიძე. მარტვილის ეროვნული მუზეუმის ფონდები, წერს ვლადიმერ ალფენიძე, „შეიცავს ენოლითური ხანის და ბრინჯაოს ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი ღირებულებების უნიკალურ ნივთებს, რომელთაც აქვთ მითოლოგიური ხასიათის მონაცემები, რაც ჩვენი ერის ისტორიული წარსულის მაღალკულტურული, კარტოგრაფიული და იდეოგრაფიული დამწერლობის უნიკალურ მოწმეებს წარმოადგენენ. მათ შორის დიდი მნათობების – მზისა და მთვარის – ხატ-სალოცავებია, რაც უძველეს დროშია შექმნილი და გამოყენებული. ისინი ისტორიული, ეთნიკური, ეთნოკულტურული თვალსაზრისით, უდავოდ, მეტად ღირებულ დანაშრეებს წარმოადგენენ. ორივე მნათობი ღვთის მიერ სამყაროს შექმნის მესამე დღესაა შექმნილი და ღვთიური მადლი და დანიშნულება აქვთ მიღებული“.

ოთხი ათასი წლის წინანდელი კოლხური კულტურის კვლევას წარმატებით განაგრძობს პროფესიით მათემატიკოსი გია კვაშილავა. ის 1990 წლიდან მუშაობდა კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილ, მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტის „ფესტოსის დისკოს“ დეშიფრირებაზე, რომელიც უკვე დაასრულა. ფესტოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა გამოჩენილ მეცნიერთა თვალსაწიერშია. ამ აღმოჩენას საზღვარგარეთელი მეცნიერებიც გამოეხმაურნენ.

გაშიფრა რა „ფესტოსის დისკო“, გია კვაშილავა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: 1. კოლხი კორიბანტების მიერ შექმნილი „კირიბიშის“ ანუ წერილფირფიტის –

„ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა პროტოქართულია, ე.ი. კოლხურია. 2. დისკოზე დაბეჭდილი ნახატ-ნიშნები „კოლხური ოქროდამწერლობაა“. 3. დისკოს ტექსტი წარმოადგენს საგალობელს – „ნენანას“, რომელიც ეძღვნება აია-ნეშკარის მფარველ, პელაზგურ-კოლხურ ნაყოფიერების დიდ დედა-ღვთაებას ნანას – რეა-კიბელეს.

კუნძულ კრეტაზე ცხოვრობდნენ ქურუმები, რომელთაც კორიბანტები ერქვათ, აღნიშნავს მეცნიერი გია კვაშილავა. იგი ეყრდნობა სტრაბონის მოსაზრებას და მიიხნევს, რომ კორიბანტები იქ კოლხეთიდან იყვნენ ჩასული. ამ დიდი აღმოჩენის არარეალურობასთან დაკავშირებული ეჭვების გასაფანტავად უნდა ჩატარდეს მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერ-ლინგვისტთა სიმპოზიუმი.

ფართო იყო კოლხეთის, როგორც სახელმწიფოს გავრცელების არეალი. გარდა ფაზისის აკადემიისა, აკადემია შუა საუკუნეების პერიოდში, კერძოდ, XII საუკუნეში, არსებობდა გელათშიც, რომელიც დააარსეს მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებელმა და გიორგი ჭყონდიდელმა. გელათის აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით პროფ. მიხეილ ნიკოლაიშვილი წერს: „აკადემია ისევე აუცილებელი ატრიბუტი იყო სამეფო ხელისუფლებისათვის, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც, ფაქტობრივად, აკადემიას ეყრდნობდნენ გადაწყვეტილების მიღების დროს. დავით აღმაშენებელმა, უწინარეს ყოვლისა, სულიერი სფეროს გარდაქმნას მიაპყრო განსაკუთრებული ყურადღება. შემთხვევით არ უწოდებია მისთვის ანტონ კათალიკოსს „მეფე ფილოსოფოსი“. დავით აღმაშენებელმა ისიც კარგად იცოდა, რომ სულიერი ცხოვრების გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი იყო გონივრული და სრული პოლიტიკური კურსის განხორციელება.

შუა საუკუნეების ეპოქაში გელათი კულტურის დიდ ცენტრს წარმოადგენდა. XII-XIII საუკუნეებში მონასტერთან ერთად არსებულ აკადემიაში, დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდნენ იმ დროის ცნობილი ფილოსოფოსები და მწერლები. აქ წლების განმავლობაში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. აკადემიაში ფართოდ იყო გაშლილი მთარგმნელობითი მუშაობა, თარგმნიდნენ ფილოსოფიურ და ლიტერატურულ თხზულებებს. იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალგაზრდები აკადემიაში იღებდნენ სრულყოფილ განათლებას.

დავით აღმაშენებლის ეპოქაში კულტურის ახალ ცენტრს წარმოადგენდა იყალთოს აკადემია თელავთან, რომლის დამაარსებელი გახლდათ ცნობილი ფილოსოფოსი არსენ იყალთოელი. იმ დროისათვის შიომღვიმის მონასტერიც კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. მას მფარველობდა დავით აღმაშენებელი. აქ გაუტარებია სიცოცხლის ბოლო წლები ფილოსოფოსს არსენ იყალთოელს.

შუა საუკუნეების პერიოდში ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ ქართული კულტურის საზღვარგარეთული ცენტრები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან იყო ათონის ქართველთა მონასტერი და პეტრიწონის მონასტერი. უმაღლესი ტიპის სასწავლებლებთან, მონასტრებთან არსებობდა დაწყებითი სკოლებიც.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ქვეყნების ცივილიზაციებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მთლიანობაში საქართველოს, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ პატარა „ნატვრისთვალის“ ცივილიზაციის კვლევას. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესო წიგნს წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ქ-ნ მაია ხეცურიანის ნაშრომი „ცივილიზაციის ისტორია“. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს, როგორც ცივილიზაციის უდიდეს კერას.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ მოკლედ წარმოგვედგინა ქართული ცივილიზაციის საკითხები, თუ საიდან იღებს სათავეს ქართული ცივილი-

ზაცია. შემოვიფარგლეთ კოლხური კულტურით, რომელიც სრულიად საქართველოს კუთვნილებაა.

**Amvrosi Pailodze**

***Colchis-Georgian civilization***

**Summary**

The article deals with the aspects of Georgian civilization, with the dawn of Georgian civilization in particular.

Georgian people, who have several-century-old history, possessed the civilization that was nothing but original Georgian culture. We consider Georgian history and thinking to be the part of the human civilization and, of course, it should have an impact on the lives and culture of people.

The cradle of Georgian civilization is Colchis. Many researchers study the Colchis culture which is four thousand years old. At this stage, together with the civilizations of the world, special attention should be given to the study of the civilization of Georgia.

**Амвросий Пайлодзе**

***Колхско-грузинская цивилизация***

**Резюме**

В данной работе речь идет о вопросах грузинской цивилизации, в частности, о начале грузинской цивилизации.

У грузинского народа, имеющего многовековую историю, еще в раннем периоде существовала цивилизация, которая ничто иное как грузинская самобытная культура. Мы считаем грузинскую культуру и мышление частью человеческой цивилизации и, естественно, она должна иметь влияние на жизнь и культуру людей.

Колыбелью же грузинской цивилизации является Колхида. Многие ученые исследуют Колхскую культуру четырехтысячелетней давности. На данном этапе вместе с цивилизациями стран мира особое внимание должно уделяться исследованию цивилизации Грузии.



## გივი ელიავა

(საქართველო)

### უბოლო მატარებელი წარმოების ისტორიისათვის სამებრძოლო აღმოსავლეთ ნაწილში

ადამიანთა საზოგადოება თავისი სიყმაწვილის პირველ პერიოდში, იმ დროს, როდესაც იგი თავს აღწევს ველურობას, წელში იმართება, ვერტიკალურ მდგომარეობას ღებულობს და მარჯვენა ხელს თავისი არსებობის ძირითად ორგანოდ ცნობს, როცა ამ ხელით იმარჯვებს ტლანქი ქვის ნატეხს და მით ცდილობს მოიპოვოს საზრდო და დაიცვას თავი – აკეთებს პირველ გრანდიოზულ ნაბიჯს წინ, ადამიანთა საზოგადოების შემდგომი უფრო სრულყოფილი ფორმირებისაკენ. ეს ნაბიჯი ტექნიკაში ის ბიძგია ადამიანთა საზოგადოებისათვის, რომელმაც აღმავალი ხაზით აამოძრავა ველური, გაუჩინა საზრუნავი, საფიქრალი, საშრომი და საბრძოლი; ხელი შეუწყო ადამიანის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლას. ამ ბიძგით ამოძრავებული საზოგადოება არასოდეს შეჩერებულა, უკან არასოდეს დაუხევია, ტექნიკა ერთ დონეზე არასოდეს გაყინულა, პირიქით, მრავალი ათეული ათასი წლის განმავლობაში ადამიანი წინ მიდიოდა, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა ტექნიკაში, ეკონომიკაში, წინაურდებოდა კულტურულადაც; იხვეწებოდა მისი მორალური მხარე, ყალიბდებოდა მტკიცედ შეკრული მორალური საფუძვლები. საწარმოო იარაღების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდნენ და ვითარდებოდნენ ადამიანები. ვითარდებოდა მათი საწარმოო გამოცდილება, შრომის ჩვევები, წარმოების იარაღის გამოყენების უნარი.

ტექნიკაში ადამიანთა საზოგადოების პირველ ნაბიჯებზე მდიდარ წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიური ძიების გზით ნაპოვნი რელიკვიები – პრეისტორიული ხანის ტექნიკა. ქვის იარაღი პირველყოფილ ადამიანის ტექნიკა იყო, მაგრამ იქამდე მისვლა, შემდგომ მისი განვითარება, სრულყოფა ხანგრძლივ დროს, გამოცდილებას და შრომას მოითხოვდა მისგან. პალეოლითმა (ძველი ქვის ხანა) აამოძრავა ადამიანთა საზოგადოება შემდგომი ეკონომიკური პროგრესისაკენ. ამ დროის ადამიანი ნელ-ნელა, მაგრამ დაბეჯითებით იკვლევდა გზას, აუმაჯობესებდა ქვის იარაღს. მრავალი ასეული წელი დასჭირდა ამ საფეხურიდან უფრო მაღალი საფეხურისაკენ – ნეოლითისაკენ (ახალი ქვის ხანა) გზის გაკაფვას. ორივე საფეხურზე ადამიანი მხოლოდ ქვისგან ამზადებს იარაღს, მაგრამ აუმაჯობესებს მას, სრულყოფს და კეთილ სახმარს ხდის. ამასთან, იფართოებს გონებრივ პორიზონტს, მრავალფეროვანს ხდის თავის საქმიანობასა და ცხოვრებას. ამ წინსვლაზე, ადამიანის პირველ ნაბიჯებზე ტექნიკაში ერთგვარ შთაბეჭდილებას გვიქმნის სოფ. ნახუნაოში, ადგილ „ნაცაცხვერაში“ ნაპოვნი ქვისა და კაჟის იარაღები და ამ ეპოქის სხვა რელიკვიები. აღნიშნული ადგილი ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის ნამოსახლარი უნდა იყოს. ეს ის ეპოქაა, როდესაც ადამიანი ტოვებს ბნელსა და ნესტიან გამოქვაბულებს და გაშლილ ადგილზე იკეთებს პირველყოფილ საცხოვრებელ ქოხს, ამზადებს კაჟის მჭრელ პირებს, იყენებს ცეცხლს და ეწევა კერამიკულ წარმოებას. მსგავსი მასალები ნაპოვნი მარტვილის ფერდობებზედაც.

კაჟის იარაღი ნაკლებად გამძლე და ძნელად გამოსაყენებელია, ადამიანი მიაგნებს ლითონს – სპილენძს, ცივად ჭედვით აძლევს სასურველ ფორმას და იყენებს მას. ცივად ნაჭედი სპილენძი, მართალია, ფორმას ადვილად ღებულობს, იგი ადვილად ჰყვება ხელოსნის ხელს, მაგრამ ადვილად ჩლუნგებადიცაა, ამიტომ ადამიანი მას გაადნობს და გამდნარი ლითონის ყალიბებში ჩამოსხმას იწყებს. სპი-

ლენძის წარმოების საინტერესო მასალა აღმოჩენილია დგომში, ადგილ „ჩეჩონაში“. სამეგრელოში სპილენძის წარმოების უხსოვარი დროიდან მომდინარეობაზე მიუთითებს შემორჩენილი ტერმინები – „ლინჯი“, „ინჯრობა“ და „საინჯრო“, რომლებსაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ.

სპილენძის წარმოებას ცვლის ბრინჯაოს კულტურა. სპილენძი, ასე მაგარ ქვასთან შედარებით, ადამიანთა ტექნიკის მზარდ მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებს, იგი მაინც ნაკლებად მყარია, ნაკლებად მტკიცეა. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მარტო სპილენძი ძალზე რბილია, საჭიროა მისი გამტკიცება მინარევით. ამ მინარევით გამოდნობილი ლითონი უფრო მტკიცე აღმოჩნდა. სწორედ ეს გაითვალისწინა ადამიანმა, როცა ასეთი ნაღობის – ბრინჯაოს – მასიურ გამოყენებას მოჰკიდა ხელი. იგი სწრაფად გაბატონდა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში. ბრინჯაოს კულტურის რელიკვიებს უხვად პოულობენ საქართველოს ყველა კუთხეში. ამ მხრივ, საინტერესოა სოფელ კურზუში აღმოჩენილი მასალები. აქ ორი საფლავი გაითხარა – ერთი შედარებით მდიდარი და მეორე – გაცილებით ღარიბი. მათში აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, საკულტო ნიშნები. მსგავსი მასალები იქნა ნაპოვნი სოფელ სალხინოში, ადგილ „ქუთუს ნაკარუში“, გურძემში, სოფელ ნალეფსაოში, ნახუნაოში, დოშაყეში, კიწიაში. კურზუში ხშირად გვხვდება ბრინჯაოს ზოდების დიდი განძი და ერთეული ეგზემპლარებიც, ასევე ხშირად გვხვდება მეტალურგიული წარმოების კერებთან ბრინჯაოს წვრილმანი ნამცვეები და წიდეებიც კი.

ბრინჯაო შეცვალა რკინამ. „რკინამ ხელოსანს ისეთი მტკიცე და მჭრელი იარაღი მისცა, რომელსაც ვერ უძლებდა ვერც ერთი ქვა, ვერც ერთი იმ დროს ცნობილი ლითონი. ყოველივე ეს ერთბაშად როდი მომხდარა. პირველი რკინა ხშირად ბრინჯაოზე უფრო რბილი იყო, ამიტომ ქვის იარაღი მხოლოდ ნელ-ნელა ქრებოდა“. რკინის გამოდნობა, ჩვენი აზრით, დაფუძნებული უნდა ყოფილიყო უძველეს მეტალურგიულ გამოცდილებზე. ბრინჯაოს დნობა მეტალურგიულ ქურას მოითხოვდა. სპილენძის და ბრინჯაოს სადნობი ქურები თავისებური იყო – ორმო ქვაბები. პირდაპირ მიწაში ჩაჭრილ თხრილში ჩადგამდნენ წინააღინ გამომწვარ ქოთნებს, ქვაბებს ან კიდევ ამოლესავდნენ თიხის სპეციალურად გამზდებული სქელი ფენით და გამოწვავდნენ. ხდებოდა ისეც, რომ ჯერ თხრილს ქვებით ამოყორავდნენ და შემდეგ ამოლესავდნენ თიხის განსაკუთრებული მასით, რომელსაც ამოწვავდნენ ხოლმე. უტოვებდნენ ხელოვნურ საქშენებს, სადაც უყრიდნენ მილაკებს და მისი საშუალებით უბერავდნენ. ჯერ პირდაპირ ფილტვის მეშვეობით, შემდეგ საბერველით. ასეთი ორმოქურების კვალი მრავლად არის მიკვლეული დოშაყეში, კურზუში, ნახუნაოში, ნალეფსაოში, სალხინოში. აქ უხვადაა ასეთი წარმოების მდიდარი რელიკვიები: ქურის კედლის ნამსხვრეები, მილაკები, წიდეები, ნაღობის ნამსხვრეები და სხვა. უაღრესად საინტერესოა სოფელი ნახუნაო, სადაც ერთმანეთის მიყოლებით ათ ადგილას არის მიკვლეული მეტალურგიული წარმოების უძველესი ნაშთები. ყურადღებას იპყრობს კაჟი ცანავას ეზოში აღმოჩენილი მეტალურგიული კერა.

ამავე სოფელში, ადგილ „ნაცაცხვერაზე“ პრეისტორიული ხანის ნამოსახლარს ზემოთ, უხვადაა მიმოხეული მეტალურგიული წარმოების ნაშთები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მეტალურგიულ წარმოებას აქ გაცილებით ადრეული ფესვები უნდა ჰქონდეს.

სამეგრელოში მეტალურგიული წარმოების უხსოვარი დროიდან არსებობაზე მიუთითებს რაიონის ტერიტორიაზე მრავლად შემორჩენილი ადგილთა სახელწოდებანიც: „ნაჭკადური“, „ჭკადურობუ“, „ნოჭადენი“, „ჭკადუერი“, „ჭკადუერ-ფერდი“, რომელთა მეცნიერული გაშიფრვა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია.

დასკვნები: 1. სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებნი უძველესი დროიან მისდევდნენ მეტალურგიულ წარმოებას, ლითონის დნობასა და გამოყენებას იარაღის დასამზადებლად. ლითონის სადნობი ორმო-ქვაბები და თიხის ქოთან-ქვაბები ერთ ადგილას რამდენიმე იყო ერთმანეთის გვერდით მოწყობილი. ერთბაშად ყველა ქოთანში ახდენდნენ ლითონის დნობას, რითაც აგროვებდნენ საკმაო რაოდენობის ლითონს. აქვე ხდებოდა კრიცების ჭედვით საბოლოო წრთობა და დამუშავება. აქ მზადდებოდა იმ დროისათვის უმაღლესი ხარისხის ლითონი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეტალურგიული წარმოება დამოკიდებული იყო საკუთარ ნედლეულზე, რომელიც მოიპოვებოდა ტეხურის ხეობის ორივე მხარეს და ნახუნაოს მთებში.

2. მეტალურგიულ წარმოებას, ლითონის დნობას ეწეოდნენ მსხვილი გვაროვნული ოჯახები. სოფ. ნახუნაოში ნაპოვნი წარმოების კერების ასეთი სიუხვე იმაზე მიუთითებს, რომ ერთ სოფელში რამდენიმე ოჯახი, ან რამდენიმე ხელოსანი ერთდროულად ეწეოდა მას. რასაკვირველია, ასეთი წარმოების გაძღოლა მაშინდელ პირობებში ერთ ოჯახს ან ერთ კაცს არ შეეძლო. იგი, ალბათ, მთელი გვარის გვაროვნულ საქმიანობასა და საკუთრებას წარმოადგენდა.

სამეგრელოს ეს მხარე, სადაც მეტალურგიული წარმოების ასეთ სიუხვესთან გვაქვს საქმე, ცხადია, მარტო თავისთვის არ ამზადებდა ლითონს. იგი საქართველოს სხვა მხარეებისათვის ლითონის მიმწოდებელიც უნდა ყოფილიყო.

**Givi Eliava**

***For the history of the oldest metallurgical industry in the eastern part of Samegrelo***

***Summary***

From the ancient times the population of the eastern part of Samegrelo was engaged in the metallurgical industry, in the production of metal alloys and its usage for the arms manufacture.

We think that metallurgical manufacture depended on its raw materials, that was found on the both sides of Tekhuri Gorge and Nakhunao Mountains.

Nobel classes were engaged in the metallurgical and metal alloys manufacture. These were the family properties.

The eastern part of Samegrelo, where we meet such a great diversity of metallurgical industry didn't produce the metal only for its own benefit. It used to provide the metal for other parts of Georgia.

**Гиви Элиава**

***К истории производства древнейшей металлургии в Восточной части Самегрело***

***Резюме***

В восточной части Самегрело жители с древнейших времен занимались производством металлургии, плавлением металла для оружия. Мы считаем, что производство металлургии зависело от собственного сырья, которое добывалось по обе стороны Техурского ущелья и в горах Нахунао. Производством металлургии,

плавлением металла занимались крупные семьи, что, наверняка, было деятельностью всей семьи и представляло их собственность. Эта сторона Самегрело, конечно же, готовила металл не только для себя. Она являлась поставщиком металла и для остальной части Грузии.





## იგორ კეკელია

(საქართველო)

### პიუბანი მარტვილის მუნიციპალიტეტის ოიკონიმიკა

**ბოლოტი** – სოფელი აბაშისა და ისკიის ხეობებში, ზ.დ. 200მ. მარტვილს 2კმ-ითაა დაშორებული და სერგიეთის თემში შედის. ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ბომბოტი**. სოფელი მოიხსენიება XVIII ს. ისტორიულ წყაროში, კერძოდ, გიორგი ლიპარტიანის შეწირულობის წიგნში, „ბონბოტის“ ფორმით: „ჩვენ ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან და მსასოებელმან სიწმინდისა შენისამან ჩუენ ბატონიშვილმან ლიპარტიანმან ბატონმან გი(ორ)გი და თანამეცხედრემან ჩუენმან ჭილაძის ქალმან ბატონმან დარეჯან შემოგწირე ერთი კუამლი კაცი ბონბოტს, ნაჭყეპია მახარებელი მისი სახლკართა და მამულითა“ (კაკაბაძე, 1921:172). ბონბოტი სალიპარტიანოში შემავალი სოფელი ყოფილა (ბერაძე, 1964:128). ამავე სოფელში, აბაშის მარჯვენა ნაპირზე, ჯიხაჭავს გაგრძელებაზე მდებარე ვრცელ ჭაღას **ბობოტყაე** ეწოდება (ელიავა, 1977:98).

ბობოტი დუბლეტური ოიკონიმიკა. ამ სახელწოდებით ცნობილია სოფელი ოკრიბაში, გურნის თემში (აფრიდონიძე, 1980:214, 249).

ბობო და ბომბო მეგრული პირსახელება. მაშასადამე, **ბო(მ)ბოტი** „ბობოს ან ბომბოს დიდი ოჯახის სამოსახლო; ოდესღაც მისი ნადგომი, კუთვნილება“ (კეკელია, 2009:418).

**ბოდობანი** – სოფელი კურზუს თემში, ლებერულეს გასწვრივ, შებესა და ოჩხომურს შუა, ზ.დ. 210 მ. 1904 წლის აღწერის მასალების მიხედვით, გოდოგანში მამულებს ფლობდნენ აზნაური აღშიბაიები (ადგ. ვარიანტი – ალიშბაია), გუგუნავეები, დგებუაძეები (დგებები), კეშელავეები (ადგ. ვარიანტი – კეშილა) და ფიჩხაიები. სოფელში მთაზე შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ციხის ნაშთი.

მხარეთმცოდნე გ. ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემა სოფლის სახელწოდებას პირველმოსახლე გოდოს სახელს უკავშირებს, რომელიც ამ ტერიტორიის მფლობელი ყოფილა, ე.ი. **გოდოშ განი** „გოდოს კუთვნილი“ (ელიავა, 1977:144). **ართ(ი) განი დისა** ნიშნავს „საკმაოდ ბევრ მიწას“. ო. ქაჯაია **ართგანის** განმარტებისას გვთავაზობს საილუსტრაციო მასალებს ხალხური პოეზიიდან: მინი ქიანას უღურუ დო ართგან-ხვალე მუშიანც „ზოგი ქვეყანას უკვდავება და ზოგიერთი (ერთი წყება)-თავისიანს“ (ქაჯაია, 2009:36). **ართგანიშე** იმავე ლექსიკონში განმარტებულია როგორც „ერთი მხრიდან“ (ქაჯაია, 2009:36). **განი** მეგრულში იგივეა, რაც „გვერდი, გვერდითი (ნაწილი); ერთი წყება; მხარე“. შდრ. დოროგანი „დოროს განი, წილი, საკუთრება“ – ტყიანი გორა მიქეიაშ გას აღმოსავლეთ კალთაზე (აბედათი, წინაკვერკვე); პეტრემ საგანო-მიკროუბანი ენგურის ნაპირას, რაც ეკუთვნოდა პეტრე ანჩიბაიას (მეორე ოტობაია). საგანო აქ აღნიშნავს „მხარეს, კუთხეს“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003:140); შენგელიეფიშ საგანო//საშენგელიო-შენგელიების უბნები ენგურის მარჯვენა მხარეს, ზარწუფასა და თხინაშკარში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003:167).

**ლენაინდრაჰო** – ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **(ლ)ენაინდრე**. თემის საკრებულოში სამი სოფელი შედის – ლენაინდრაჰო, ნოჯიხევი და სტეფას-დაბალი. სოფელი მდებარეობს ზ.დ. 114 მ., ნოდელისა და ცხენისწყლის ხეობებში. რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს ჩატარებულ საკომლო აღწერის ცნობარზე

დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ლეხანდრაჟო-ონოლის სოფლის საზოგადოება ერთ-ერთი მოზრდილი დასახლება იყო ნოქალაქების საპოლიციო უბანში, სადაც შედიოდა ოთხი სოფელი-ლეხანდრაჟო, ნაგიბეროვო, ნაჯახოვო და ონოლია (სულ 696 კომლითა და 4669 სულით). საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ შეიქმნა ლეხანდრაჟო-ონოლის სასოფლო საბჭო, რომელიც აერთიანებდა ოთხ სოფელს – ლეხანდრაჟოს, ნაგიბეროვოს, ნაჯახოვოს, ნოჯიხევეს და ონოლიას. ამ სახით სასოფლო საბჭო სენაკის მაზრის მარტვილის რაიონში შედიოდა.

XVIII საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის – ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ რუკაზე, ცხენისწყლის პირას აღნიშნულია პუნქტი **ლეხანა**-ს სახელწოდებით. ვახუშტისეული „ლეხანა“ ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ ლეხანდრეს შეესაბამება.

XVII საუკუნის მოგზაური არქანჯელო ლამბერტი რუკაზე ცხენისწყლის ნაპირას აღნიშნავს პუნქტს **ლესორის** ფორმით. მკვლევარი შ. ჯღარკავა მიიჩნევდა, რომ „ლესორი დღევანდელი ლეხანდრაჟო“ (ჯღარკავა, 1970:230. ხელნაბეჭდი). სენაკის მაზრის უფროსი კორნელი ბოროზდინი წერს: „ცხენისწყლის პირას მდებარე, ფაღავების საყმო სოფლები-ლეხანდრო და ნაგვაზუ ადამიანს გააოცებდა. აქ არაფერსა სთესდნენ: არც პურს, არც სიმინდს და სოფლელებს კი არაფერი აკლდათ...“ (ბოროზდინი, 1934:250).

ხანდრაგების მიერ 1770 წელს ხონის მთავარეპისკოპოს მაქსიმესადმი მიცემულ პირობის წიგნში დასტურდება „მოწმე სულ ერთობით სახანდრაო“ (კაკაბაძე, 1921:175).

სოფლის სახელწოდებისა და თვით სოფლის შესახებ საინტერესო გადმოცემა ჩაგვაწერინა მკვლევარმა შალვა ჯღარკავამ, რომელიც გასული საუკუნის სამოციან წლებში ლეხანდრაჟოელ პედაგოგ პოლიკარპე ლავრენტის ძე ხანდრაგასგან მოუსმენია: „ოდესღაც აზნაურთა ორ გვარს-კორძაიებსა და ხანდრაგებს შორის მტრობა ჩამოვარდნილა. კორძაიებს ხანდრაგები დაუბეზლებიათ სამეგრელოს მთავართან, როგორც მთავრის მოღალატენი. განრისხებულ მთავარს ხანდრაგები ამოუჟღეკტია. ხოცვა-ჟღეკტას გადარჩენია ხანდრაგას ერთი რძალი, რომელიც ამ დროს იმერეთში ყოფილა, მშობლების სახლში. ქალი ორსულად იყო და ვაჟიშვილი შეეძენია. ხანდრაგას ძე კარგი ვაჟკაცი დამდგარა, რომელსაც ერთხელ თავი უსახელებია იმერეთის მეფის კარზე. მეფესთან სტუმრად მყოფ სამეგრელოს მთავარს ეს შეუნიშნავს და მისი ვინაობა უკითხავს. როცა გაუგია მისი თავგადასავალი და ისიც, რომ ხანდრაგები უდანაშაულონი ყოფილან, ხანდრაგას ვაჟისთვის ცხენისწყლის პირას მამულები უბოძებია. ხანდრაგა ჯორზე შეუსვამს მთავარს და უთქვამს – რასაც ამ ჯორით მზის ჩასვლამდე შემოივლი, შენი იყოსო. მაშინ ეს ადგილები გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული, მაგრამ ხანდრაგას მაინც მოუსწრია ვრცელი ტერიტორიის შემოვლა აბაშასა და ცხენისწყალს შუა. აქ დასახლებულა და გამრავლებულა. სოფელსაც გვარის მიხედვით ლეხანდრე შეერქვა“. კ. ბოროზდინის თქმით, ხანდრაგები სათავადო აზნაურები ყოფილან (ბოროზდინი, 1934:257).

(ლ)ეხანდრე უწინ სოფლის ერთ პატარა უბანს ერქვა, სადაც ხანდრაგები სახლობდნენ. კომლთა რაოდენობით დღეს ხანდრაგებს ამ სოფელში დანელიები ბევრად ჭარბობენ, მაგრამ სოფლის ტრადიციული სახელწოდება ლეხანდრე მაინც უცვლელი დარჩა (ცხადაია, 2000:167). XX საუკუნის დამდეგს ხანდრაგებს უცხოვრიათ ნახუნაოში, სადაც ისკიას მარჯვენა შენაკადს საჭილაოში დღესაც ეწოდება **ხანდური**. სახელდების მოტივი: ხანდრაგა ფლობდა მიწებს დელისპირებში.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნეში, როგორც ჩანს, სათავადო აზნაურთა-ხანდრაგების (ადგ. გამოთქმით **ხანდრაა**) მფლობელობაში არსებული

მამული „სახინდრაოდ“ იწოდებოდა. შდრ.: სახინდრაო-უბანი ნაკალწყარსა და სკურჩეს შუა, დიდ ნემში (ზუგდიდის მუნიციპ.). ივანდიდელი ხინდრაგების ძირის სალოცავი ნაჯახუს მთავარანგელოზთა ეკლესიაში ყოფილა. პ. ცხადიას დაკვირვებით, ლეხინდრა(ე)ოს მაგალითზე ლე- პრეფიქსთან ერთადერთ შემთხვევაში ფიქსირდება –ო სუფიქსი, რომელიც სა- -ო და ნა- -ო კონფიქსებისეული –ო –ს გავლენით (ანალოგიით) უნდა გაჩენილიყო, სა-ბერულავ-ოს, ნა-გვაზავ-ოს და სხვა-თა მსგავსად (ცხადია, 1985:154).

**ნამიკოლაჲო** – ნამკოლუ სოფელია ტეხურის ხეობაში, ზ.დ. 240მ. მარტვილიდან 15 კმ.-ითაა დაშორებული. „გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შესულია **ნამიკოლაგოს** ფორმით და იქვე მითითებულია, რომ ესაა **ნამიკოლაგო პირველისა** და **ნამიკოლაგო მეორის** გაგრცელებული სახელწოდება. სოფლის ერთი ნაწილი საზიაროა თამაკონთან, ლედგებესთან, გურძემსა და კიწიასთან. გ. ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემა კომონიმს **კოფოს-პატარა** დოქს უკავშირებს, ე.ი. „ნაკოფ“ ადგილია, სადაც კოფოები-პატარა დოქები მზადდებოდაო“ (ელიავა, 1977:136).

გურამ გრიგოლიას მოსაზრებით, ნამკოლუ ის ადგილია, სადაც უწინ ბალამწარა იდგა (გრიგოლია, 1964:109). **კოლო**, **კოფო** ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ განმარტებულია, როგორც „მწარე“. მოცემულია საილუსტრაციო მასალაც: **კოლო რენ დო ვე ეჭკომენია**: ი. ყიფშ., გვ.70- მწარეა და არ შეიძლება შეიჭამოსო. **ბული წვანც კოლო რენია**: ხალხ. სიბრძ.,I, გვ.20-ბალი წვერზე მწარეაო...“ (ქაჯაია, 2002:155). **კოლო ბული/ტყარი ბული** ბოტან. ბალამწარაა (ქაჯაია, 2002:155), მაგრამ აქვს თუ არა კომონიმ „ნამკოლუს“ მეგრულ საზოგადო სახელთან-**კოფოსთან** რაიმე კავშირი, ძნელი სათქმელია, ვინაიდან **კოფო**- ფუძის წინ მთანხმონის არსებობა გაუგებრობას იწვევს.

ერთი მხრივ კულტურული მემკვიდრეობა, როგორც მატერიალური, ისე არა მატერიალური, საფრთხის ქვეშაა. მეორე მხრივ, ისე როგორც არასდროს, ის იწვევს დიდ ინტერესს მუნიციპალურ, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე. მსოფლიოს ხალხების კულტურული მრავალფეროვნება კაცობრიობისათვის უდიდესი მნიშვნელობის საკითხია.

მატერიალური მემკვიდრეობის დაცვას განსაკუთრებული ადგილი უკავია კულტურული ტურიზმის განვითარებაში. მსოფლიოში ცნობილი და უნიკალური ძეგლების დაცვასა და რეაბილიტაციას ემსახურება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია – იუნესკო (UNESCO, აკრ. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization). იგი გაეროს სპეციალიზირებული სააგენტოა, რომელიც 1945 წელს დაარსდა. მისი მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ინტერესებისათვის ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურის გავრცელებას, მეცნიერების განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად.

UNESCO-ს 2004 წლის გენერალურ კონფერენციაზე მიღებულ იქნა „კონვენცია კულტურული თვითმყოფადობის მრავალფეროვანი ფორმების დაცვისა და წახალისების“ შესახებ. ეს კონვენცია იძლევა საფუძველს, რომ გლობალიზაციის პირობებში არ განადგურდეს სხვადასხვა კულტურის უნიკალური ფორმები.

იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში მსოფლიოს მასშტაბით 878 ძეგლია შეტანილი, მათ შორის, 0,34% საქართველოს ძეგლებია.

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პირველად გაქდერდა 1972 წელს იუნესკოს (გაეროს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტი) მიერ მიღებულ ამავე სახელწოდების კონვენციაში. იმავედროულად, შეიქმნა იგივე სახელწოდების სახელმწიფოთაშორისი კომიტეტი, რომელსაც ყოველწლიურად შეაქვს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დაახლ. 30 ახალი ობიექტი. საქართველოს კულტურის ძეგლებიდან იუნესკოს ნუსხაში შევიდა: ქალაქი მუზეუმი ღია ცის ქვეშ – მცხეთა; ბაგრატის ტაძარი – ქუთაისში; გელათის სამონასტრო კომპლექსი და მაღალმთიანი სოფელი ზემო სვანეთში – უშგული.

ბაგრატის ტაძარი – ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ქუთაისში, აგებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე ბაგრატ III-ის მეფობის დროს. თავისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირსებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების

დროინდელი სტილის საბოლოოდ დამამკვიდრებელ ნაწარმოებს. XVII საუკუნის დასასრულამდე ძველი უვნებლად იდგა. 1692 წელს, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს, „შემუსრეს ოსმალთა“.

**გელათის მონასტერი** – ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი, შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი. აგებულია ქ. ქუთაისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 11 კმ-ზე, მდინარე წყალწითელის ხეობაში. დაარსებულია 1106 წელს დავით აღმაშენებლის თაოსნობით. შემოზღუდულია გალავნით. ანსამბლში შედის სხვადასხვა დროის (ძირითადად, XII-XIII სს.) შენობები.

#### მცხეთის ისტორიული მონუმენტები

**ჯვრის მონასტერი** – მე-6 საუკუნის ქართული ქრისტიანული მონასტერი. დგას მთაზე, ძველი დედაქალაქის, მცხეთის პირდაპირ, იქ, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს. ეკუთვნის მცხეთა-მთიანეთის მხარეს, ტაძრის სახელწოდებას ისტორიული საფუძველი აქვს. ქრისტიანობის მიღების პირველი წლებიდანვე ამ ადგილას მეფე მირიან III-მ ხის მაღალი ჯვარი აღმართა, რომელსაც, გარდა ქართველებისა, თაყვანს სცემდნენ კავკასიის სხვა ქრისტიანი ერებიც.

**სვეტიცხოველი** – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ერთ-ერთი ოთხ დიდ კათედრალთაგან (ოშკი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი). მდებარეობს თბილისიდან 20 კმ-ში, ქ. მცხეთაში. სვეტიცხოველი ყველაზე დიდი ისტორიული საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის. იგი საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანული საქართველოს სარწმუნოებრივ ცენტრს წარმოადგენდა.

#### ზემო სვანეთი

**სვანეთი** საქართველოს ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია მსოფლიო ტურიზმში ცნობადი სახის შესაქმნელად.

**უშგული** – სოფელი სვანეთში. იგი ზღვის დონიდან 2200 მ-ზე მდებარეობს ევროპის ყველაზე მაღალ სოფლად ითვლება. მდებარეობს მთა შხარას ძირას. სოფელში დაახ. 70 კომლი სახლობს. წელიწადში ექვსი თვე არემარე თოვლით არის დაფარული და ხშირად ერთადერთი გზა მესტიისკენ გადაკეტილია. სოფელში ხშირია ტიპური სვანური თავდაცვითი კოშკები. მე-12 საუკუნით დათარიღებული უშგულის ეკლესია მდებარეობს განაპირა გორაზე.

2006 წელს მცხეთისა და ქუთაისის ისტორიული ქალაქების კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების პროექტთა ფარგლებში განისაზღვრა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ქართული ძეგლების (მცხეთის ისტორიული ძეგლები, ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი) დამცავი ზონები, რაც ამ ძეგლთა დაცვას ხარისხობრივად ახალ დონეზე აყენებს. ჩატარდა მცხეთის ძეგლთა სრული ინვენტარიზაცია. ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ პირველად შეადგინა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ძეგლთა კონსერვაციის მდგომარეობის ანგარიშები.

განახლდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანი ძეგლების წინასწარი სია; ძეგლთა რაოდენობა ექვსიდან თექვსმეტამდე გაიზარდა: ვარძია-ხერთვისი, თბილისის ისტორიული უბნები, უფლისციხე, შატლი, მთა-თუშეთი, დავით-გარეჯი, დმანისი, ვანი, ნიკორწმინდა, გრემი, სამთავისი, კვეტერა, ანანური, ალავერდი, კოლხური ტყეები, სათაფლია. იქმნება მათი ადეკვატური საინვენტარო დოკუმენტაცია. უახლოესი წლების მანძილზე საქართველო მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ახალ ნომინაციებს წარადგენს.

2006 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა მცხეთის ჯვარზე ქვის კონსერვაციის სფეროში ადრე დაწყებული საერთაშორისო პროექტის II ფაზის მომზადებაზე (კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია-კონსერვაციის საერთა-

შორისო ცენტრის UNE UNESCO-ს საკონსულტაციო ორგანო ICCROM-თან თანამშრომლობით).

2006 წელს განახლდა საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია, რომელმაც 2006-2007 წლების მონაწილეობის პროგრამის ფარგლებში შეარჩია და დაამტკიცა 10 პროექტი იუნესკოს პრიორიტეტების გათვალისწინებით.

საქართველოში იუნესკოს 23 ასოცირებული სკოლაა. ისინი ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს მის კომპეტენციაში შემავალი მთავარი მიმართულებების სფეროებში: კულტურული ტურიზმი, ეკოლოგია და სხვა. მრავალი პროექტი ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება მისი უშუალო მხარდაჭერითა და დაფინანსებით.

საქართველოში ტურიზმის სახეების განვითარების მხრივ კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. მიუხედავად ძეგლთა სიმრავლისა და მოვლა-პატრონობის მცდელობისა, ძალიან ბევრი ძეგლი ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ მოვლილი, რათა შეჩერდეს მათი განადგურება და ისინი წარდგენ სრული სახით დამთავალიერებელთა წინაშე. მუხეუმებში არსებული ექსპონატების პრეზერვაციისა და მათი ინტერპრეტაციის მხრივ, მთელი ათწლეულით, თუ მეტით არა, დასავლეთთან შედარებით, უკან არის, მიუხედავად იმისა, რომ ექსპურსიამბდლოლები უნივერსალური კვალიფიკაციის არიან საკითხის ცოდნით და დამოკიდებულებით კულტურასთან, ენის ცოდნისა და პროფესიონალური მანერის გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ ღონისძიებათა ტურიზმისათვის ბაზარი იზრდება, იგი მოიცავს საერთაშორისო ფესტივალებისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენებს, რაც ტურისტულმა ორგანიზაციებმა კულტურის სამინისტროსთან მჭიდრო კავშირში უნდა განახორციელონ. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კულტურულ სანახაობათა ტურების ორგანიზატორებს მუხეუმების, ძეგლების, თეატრების მოვლა-პატრონობის გზით. თავის მხრივ, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შემდეგში ხელს შეუწყობენ კულტურული მემკვიდრეობის შენახვას თაობებისათვის გადასაცემად. ასეთივე მიდგომა სჭირდება დაცულ ტერიტორიებს და ეროვნულ პარკებს, სადაც ტურიზმისათვის უნდა გამოიყოს ტერიტორიები: სასეირნო და საჯირითო ბილიკები. კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ტრანსპორტის განახლება, შავ ზღვაზე კრუიზების ჩათვლით.

მსხვილ ქალაქებსა და კულტურულ ცენტრებში საჭიროა ეკონომიური კლასის სასტუმროების ქსელის გაფართოება საქალაქო ტურიზმის დამკვიდრების მიზნით.

სახელმწიფო ხელშეწყობა კულტურული ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებით უნდა მოხდეს მიზნობრივი რეკლამისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენების გზით. ამ მიზნით, უნდა გაფართოვდეს საქართველოს, როგორც ტურიზმის ქვეყნის, გაცნობიერების სფერო ძირითად პოტენციურ ბაზრებზე, რაც ხელმიუწვდომელია კერძო სექტორისათვის, შემდეგი საშუალებების გამოყენებით: მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობებზე და გამოფენებზე, უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში მოწვევა, უცხოეთის პრესაში და ინტერნეტის ქსელში საქართველოს ტურიზმზე ინფორმაციის გავრცელება, თემატური კონფერენციების ორგანიზება და სხვ.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გაანალიზებულ იქნა საქართველოში ტრადიციულად არსებული შემეცნებითი ტურისტული მარშრუტები, რომლებსაც უახლოეს წარსულში სთავაზობდნენ უცხოელ, მათ შორის, საბჭოთა ტურისტებს; ამ მარშრუტების შედგენის პრინციპები და ტურისტთა მოგზაურობების მოტივაციები, აგრეთვე, სადღეისოდ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არსებული მოთხოვნილება, რის შედეგადაც განისაზღვრა იმ უმნიშვნელოვანესი ძეგლების ნუსხა, რომლებიც პროგრამის პირველ ეტაპზე უნდა შევიდნენ ტურისტულ

მარშრუტებში. ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები შეადგენენ კულტურული ტურიზმის საფუძველს და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ გარშემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა-მოწესრიგებაზე.

საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარება უნდა დაიგეგმოს ისტორიული ძეგლების ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ღირსებებისა და მათ გარშემო არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

კომპანიების ხელმძღვანელების ხელშეწყობით შესაძლებელია საერთაშორისო დახმარების მოზიდვა, ადგილობრივი ოპერატორების პოლიტიკის შეცვლა, დამთვალეირებლების მოტივაცია შეწირულობების შესატანად. დამთვალეირებლების მხარდაჭერის გასაძლიერებლად საჭიროა, რომ მათ მიეწოდოთ სრული ინფორმაცია ძეგლის მდგომარეობასა და მის დასაცავად საჭირო შემდგომი ღონისძიებების შესახებ, თვალსაჩინო გახდეს ძეგლის დაცვის მიზნით ხელმძღვანელობის მიღწევების წარმოჩინება.

საქართველო კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო ობიექტია და სამწუხაროა, რომ დღეს მრავალი უმნიშვნელოვანესი ობიექტი რჩება ყურადღების გარეშე, მრავალი მათგანი პასუხობს იმ სპეციფიკურ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც მსოფლიო მემკვიდრეობის სამთავრობოთაშორისო კომიტეტი ცნობს, რომ ძეგლს გააჩნია განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. და საერთოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თვითონ ერი უფრო ხილდებოდეს, იცავდეს და ზრუნავდეს მის გადარჩენაზე.

#### **ლიტერატურა:**

1. კვარაცხელია ნ., კულტურული ტურიზმი, თბ., 2009.
2. [www.UNESCO.ru](http://www.UNESCO.ru)
3. [www.ka.wikibooks.org/wiki/კულტურული\\_ტურიზმი](http://www.ka.wikibooks.org/wiki/კულტურული_ტურიზმი).

**Malkhaz Gvinjilia, Tinatin Tsitsiloshvili**  
***The role of UNESCO in the development of Cultural Tourism***  
***(On Georgia's example)***  
**Summary**

Material and spiritual heritage of monuments are the main resources of cultural tourism. Their historical, architectural, unique and original universe leaves unforgettable impression on visitors. Care of the monuments, conservation and handing them for generations has vital importance for cultural tourism.

UNESCO is an international organization which carries out protection-rehabilitation of the unique material heritage. There are four centers in Georgia that are patronized by UNESCO. It is an important fact that travelers interested in cultural tourism choose to see only the monuments protected by UNESCO. Various programs are being developed with the aim of putting the new monuments of Georgia into the above-mentioned list.

**Малхаз Гвинджилия, Тинатин Цицилошвили**  
***Роль ЮНЕСКО в развитии культурного туризма***  
**Резюме**

Материальное и духовное наследие памятников представляет собой главный ресурс туризма. Их исторический, архитектурный неповторимый мир оставляет незаменяемое впечатление. Сохранение памятников, их консервация и передача культурному туризму – жизненно важная тема.

ЮНЕСКО именно та международная организация, которая занимается защитой и реабилитацией уникального материального наследия. В Грузии представлены всего четыре центра, которые находятся под покровительством ЮНЕСКО. Надо отметить тот факт, что интересующиеся культурным туризмом путешественники приоритетными считают осматривать те памятники, которые охраняются ЮНЕСКО. В Грузии готовятся программы, для внесения новых памятников в данный список.



# მალხაზ დვინჯილია, ნანა კირტავა

(საქართველო)

## სამეგრელოში ეროვნული დღესასწაულები კულტურულ-ტურისტული თავისებურებანი

სამეგრელოში ეროვნულ დღესასწაულებს, ეროვნული პრინციპებიდან და ცნობიერებიდან გამომდინარე, ყოველთვის თან ახლავს ადამიანების საზეიმო განწყობილება. ეს ის ადამიანებია, რომელთაც ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ თავიანთი ინტელექტუალური მრწამსითა და რწმენით.

ეროვნული დღესასწაულების შემოღებას, ქართული იდეოლოგიის მცნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ერის სულიერ ცხოვრებაში. კაცობრიობის ისტორიაში ეროვნული დღესასწაულების მხრივ საინტერესოა სამეგრელო, სპეციფიკური საყოველთაო-სახალხო დღესასწაულებითა და რიტუალებით.

როდესაც საკითხი სამეგრელოს სინამდვილეში ეროვნულ დღესასწაულებს ეხება, ხაზი უნდა გაუვსვთ ერთ გარემოებას. უპირველესად, ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა ხელს უწყობს ადამიანთა დაახლოებას, პატრიოტული გრძნობის გაღვივებას, ახალი თაობის აღზრდას ეროვნული და ესთეტიკური სულისკვეთებით. ეროვნული დღესასწაულები, რომლებიც საზეიმო ხასიათს იღებს, ტარდება სამეგრელოს შემდეგ რაიონებში: მარტვილში, აბაშაში, ზუგდიდში, ფოთში, ჩხოროწყუში, ხობსა და წალენჯიხაში.

მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში 1977 წლიდან ტარდება „სალხინობა“, რომელიც ეროვნული დღესასწაულის ხასიათს იძენს. თავის მხრივ, სალხინო ერთ-ერთი დიდი და თვალწარმტაცი სოფელია, სადაც დადიანები იღვწოდნენ. აქ ძალიან მაღალ დონეზეა განვითარებული მეურნეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა. საყოველთაო აღიარება პოვა სალხინოს ოჯალემის ვაზის ჯიშმა, რომლის პროდუქცია შეესაბამება და აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ტრადიციული და თავისი არსით ეროვნული დღესასწაული „სალხინობა“ მშრომელთა სახალხო დღესასწაულია. სწორედ ამ განახლებულ სახალხო დღესასწაულს მშრომელი ხალხი უძღვნის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებას.

აბაშის რაიონში, ტრადიციისამებრ, ყოველწლიურად იმართება ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი დღე, რომელიც ტარდება 1983 წლიდან. 5 ივნისს აბაშის რაიონის მკვიდრთა ოჯახის კარები ღიაა მრავალრიცხოვანი სტუმრებისათვის. ამ დონისძიებას სახალხო ზეიმის ხასიათი აქვს. მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს მთელი რიგი რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული ინტელიგენციის წარმომადგენლები, პოეტები, მეცნიერები, მსახიობები და სხვა.

ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ თაიაში, ეროვნული დღესასწაული „სალხინობა“ ტარდება 1982 წლიდან, ყოველი წლის 23 ოქტომბერს. ერთ მნიშვნელოვან გარემოებას საგანგებოდ უნდა გაეხვას ხაზი – სოფელ თაიას მთიან უბანში ოდითგანვე იმართებოდა ახალდაქორწინებულთა მისალოცი ცერემონიალები. თვით ამ ადგილისა და მე-11 საუკუნის ისტორიული ძეგლის სახელწოდებაც „ოსინდალე“ აღნიშნულ ცერემონიალთან არის დაკავშირებული (მაკალათია, 1992:15).

„ერთგულების“ სახალხო დღესასწაული, რომელიც თავისი არსით ეროვნული დღესასწაულის რანგშია წარმოდგენილი, 1983 წლიდან, 22 ოქტომბერს ტარდება

ქალაქ ზუგდიდში და მიზნად ისახავს ოჯახების განმტკიცებას, ახალგაზრდა თაობის პატრიოტული იდეებით აღზრდას – ეს ფრაზები ძირითად ლაიტმოტივად გასდევს სახალხო დღესასწაულს, რომელიც მიძღვნილი არის მრავალშვილიანი და ახალდაქორწინებული ოჯახებისადმი.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ეწეობა ოქროსა და ვერცხლის ქორწილები, ახალდაბადებულთათვის სახელის დარქმევის ცერემონიალები. ასევე უნდა აღინიშნოს ზუგდიდის რაიონში, სოფელ ცაიშში, გამოჩენილი მწერლის, მთარგმნელის, პუბლიცისტის, ეთნოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას (1852-1919) ხსოვნისადმი დაწესებული დღე, რომელიც ტარდება 1980 წლის 18 ივნისიდან. იონა მეუნარგიას კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში, ნარკვევებსა და ფელეტონებში ასახვა პოვეს იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-ისტორიულმა მოვლენებმა.

აღნიშნულ დღესასწაულთაგან, რომლებიც სამეგრელოში ტარდება, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საქართველოს მეფეთ-მეფე – დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და მასწავლებლის, საეკლესიო და საერო მოღვაწის გიორგი ჭყონდიდელისადმი მიძღვნილი ეროვნული, სახალხო დღესასწაული „ჭყონდიდობა“, რომელიც ქ. მარტვილში იმართება.

საქართველოს საპატრიარქოს სინოდის გადაწყვეტილებით, ყოველი წლის 25 სექტემბერს აღინიშნება გიორგი ჭყონდიდელისადმი მიძღვნილი დღე. ზემოში მონაწილეობას იღებენ როგორც საეკლესიო მოღვაწეები, ასევე შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები: მეცნიერები, მწერლები და სხვა (ჯავახიშვილი, 1998:5).

სამეგრელოს, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ პატარა ნატერისთვალს, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, ადვილი შესაძლებელია როგორც ეროვნული დღესასწაულების გამრავალფეროვნება, ასევე ისტორიული ძეგლების შესწავლა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სპეციალისტების მეშვეობით.

კულტურულ-ტურისტული მენეჯმენტის განვითარება არის უმთავრესი ფაქტორი მხარის ისტორიული შესწავლის თვალსაზრისით. ტურიზმის პრიორიტეტულობა საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების წინაპირობაა. ტურიზმი, როგორც ცხოვრებამ დაადასტურა, ყველაზე პერსპექტიულ დარგს წამოადგენს განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით (ჯანელიძე, 1983:28).

სამეგრელოს რეგიონს და, კერძოდ, მარტვილის მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია კულტურული, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური, სამკურნალო და სხვა სახის ტურიზმის განსავითარებლად. მარტვილის ტერიტორია მოიცავს პოტენციური ტურისტებისათვის ისეთ საინტერესო ღირსშესანიშნაობებს, როგორებიცაა: მარტვილის მონასტერი, დადიანების საზაფხულო რეზიდენცია ისტორიულ სოფელ სალხინოში (ამჟამად მამათა მონასტერი), აბაშის ხეობა თავისი უღამაზესი ჩანჩქერებით, რომელთაგან სამი წითელ წიგნში არის შეტანილი. ამავე დროს, კურორტი ლებარდე, რომელიც განთქმულია სამკურნალო მინერალური წყლებით არა მარტო სრულიად საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, განთქმულია დიდი ტრადიციების მატარებელი მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მისი დამფუძნებელი გახლავთ რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი გივი ელიავა. 60 ათასამდე ნივთი და მასალა, რომლებიც მუზეუმშია წარმოდგენილი, ნათლად დალადებს იმაზე, თუ რაოდენ მდიდარი ყოფილა სამეგრელოს რეგიონი სულიერი კულტურის თვალსაზრისით.

საქართველოს სინამდვილეში, ტურისტულ-კულტურული მენეჯმენტის საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით განებვრებელი არ ვართ, თუკი მხედველობა-

ში არ მივიღებთ პროფ. ნ. კვარაცხელიას, მ. მეტრეველის და დ. ჯანელიძის შემოქმედებით მოღვაწეობას ამ მიმართულებით. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, მიუხედავად მწირი მასალისა, შეძლებისდაგვარად შევეხოთ ამ აქტუალურ საკითხს. ძალზედ მნიშვნელოვანია კულტურული ტურიზმის როლი და ადგილი საერთაშორისო მოგზაურობებში. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ შევეხებით ტერმინ „ტურიზმის“ ეტიმოლოგიის საკითხს. პროფ. მიხეილ ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ „ტურიზმი“ შემდეგი ფორმულირებით არის წარმოდგენილი: **ტურიზმი** (ფრანგული სიტყვაა *tourisme*) – მოგზაურობა ამა თუ იმ მხარეს ქვეყნის გაცნობისა და დასვენების მიზნით; სპორტის სახე – მოგზაურობა, ლაშქრობა ფეხით, ველოსიპედით, თხილამურებით და სხვა (ჭაბაშვილი, 1989:385).

ტურისტების ჯგუფები დაინტერესებული უნდა იყვნენ მხარის ღირსშესანიშნაობებით. დღის წესრიგში დგას თავისუფალი დროის გატარების ფორმები – სანახავი ადგილები და ის, რითაც ტურისტი შეიძლება გაერთოს ადგილზე ყოფნის პერიოდში.

აქვე მოკლედ შევეხებით მარტვილის სინამდვილეში არსებულ ვითარებას. რაიონში იმართება სხვადასხვა სახის ეკლესიური რიტუალები: მარტვილობა, ალერტობა და, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მარად უკვდავი გიორგი ჭყონდიდელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც საზეიმო ხასიათს იღებს. რაიონში არის რამდენიმე ტაძარი, რომელიც მოქმედია. ტარდება წირვა-ლოცვა, ლიტურგია და სხვა სახის სარიტუალო ღონისძიებები.

კულტურულ-ტურისტული მენეჯმენტი გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის ირგვლივ მოსახლეობა დახმარებას, მათი პროდუქციის გასაღებას. ტურიზმიდან შემოსავლების მიღება ხორციელდება უშუალოდ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მნახველებისაგან თანხების მიღებით, სხვადასხვა შემოწირულობის სახით. ამავდროულად, მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტებმა შეიძლება მიიზიდონ ტურისტული წარმოებები, რითაც გაიზრდება ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესება. ყოველივე ეს საშუალებას მისცემს ტურისტულ პარტნიორებს განავითარონ შემოქმედებითი მიდგომა ფინანსური მოგების გაზრდისათვის.

სახეგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ტურიზმი დიალოგის, მშვიდობისა და განვითარების ინსტრუმენტია. ხარისხიანი ტურიზმისათვის აუცილებელი პირობაა კარგად შენახული და მოვლილი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. ასევე აუცილებლობას წარმოადგენს ტურისტების, ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტული კომპანიების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ისმის კითხვა – როგორ უნდა მოხდეს ტურიზმის განვითარება?

ტურიზმის განვითარება უნდა მოხდეს დარგთაშორისი და გლობალური მიდგომით, საზოგადოებრივ და კერძო სექტორებთან თანამშრომლობით, არასამთავრობო ორგანიზაციების, მეცნიერების, მოქალაქეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ერთიანი ძალისხმევით.

სახელმწიფო ხელშეწყობა კულტურული ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებით უნდა მოხდეს მიზნობრივი რეკლამისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენების გზით.

კულტურული ტურიზმის პრობლემებით დაკავებული მეცნიერები იკვლევენ ქალაქების ეკონომიკას, ინფრასტრუქტურის განვითარების გზებს, კულტურულ და გასართობ მიმზიდველობას, რაც, საბოლოო ჯამში, ხდება ტურისტების მოზიდვის საშუალება. წინამდებარე ნაშრომში, მწირი მასალების მიუხედავად, შესაძლებლობის ფარგლებში შევეცადეთ, კულტურულ-ტურისტული მენეჯმენტი განგვეხილა,



როგორც ქვეყნის წინსვლისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

**ლიტერატურა:**

1. კვარაცხელია ნ., კულტურული ტურიზმი: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2009.
2. მენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992.
3. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992.
4. მეტრეველი მ., ტურიზმი, თბ., 2003.
5. ჯავახიშვილი ივ., ტომი XII, თბ., 1998.
6. ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ისტორია, თბ., 1983.
7. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.

**Malkhaz Gvinjilia, Nana Kirtava**  
*Cultural and tourist features of national holidays in Samegrelo*  
**Summary**

National holidays have a special place in cultural tourism. Exploitation of these resources contributes to the national identity of the country, the preservation of rituals and traditions, which ultimately provides an indelible impression on tourists.

In one of the most beautiful parts of Georgia – Samegrelo, national holidays are held with the elements of specific rituals. Ensuring the trust of management and «promotion» of these resources may exercise ritual tourism. The latter will have high national and cultural significance for the region.

**Малхаз Гвинджилия, Нана Киртава**  
*Культурно-туристические особенности национальных*  
*праздников в Самегрело*  
**Резюме**

Национальные праздники занимают особое место в культурном туризме. Эксплуатация указанных ресурсов содействует национальной самобытности страны, сохранению ритуалов и традиций, в конечном итоге оказывает неизгладимое впечатление на туриста.

В одном из самых красивых уголков Грузии – Самегрело, национальные праздники проводятся с элементами специфических ритуалов. С обеспечением целевого менеджмента и «промоушена» указанных ресурсов возможно осуществление ритуального туризма. Это последнее будет иметь высокую национально-культурную значимость для региона.



**თათია ნაკაშიძე**

**(საქართველო)**

**სტუდენტის მიერ თვითშეფასების სქემების გამოყენება  
სასწავლო პროცესში**

ევროპული სატრანსფერო და სააკუმულაციო კრედიტების სისტემის მიხედვით, შეფასება შეიძლება იყოს შეფასებითი და განმავითარებელი. ეფექტურია უწყვეტი-მიმდინარე შეფასება, ანუ როცა სტუდენტის სამუშაო ფასდება კურსის შესწავლის განმავლობაში და არა მხოლოდ საბოლოო გამოცდაზე, რაც ხელს უწყობს, სტუდენტი წახალისდეს უკეთესი შედეგისათვის. განმავითარებელ შეფასების კომპონენტად განიხილება დიაგნოსტიკური შეფასება. დიაგნოსტიკური შეფასების დროს ხდება გარკვეული მომენტისათვის არსებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება, რათა სტუდენტმა ზუსტად დაგეგმოს სწავლის პროცესი სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.

სტუდენტის წარმატების შესამოწმებლად კურსის ფარგლებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: წერიტი, ზეპირი, ტესტირებული გამოცდები, პროექტი ან პორტფოლიო.

შეფასებისათვის საჭიროა კრიტერიუმი, ანუ იმის აღწერა, თუ რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა სწავლის დასახული მიზნის მისაღწევად.

კრიტერიუმები იმ მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარეობს, რასაც მასწავლებელი ისახავს რომელიმე თემის შესწავლისას ან უნარ-ჩვევების დაუფლებისათვის.

შეფასების ძირითადი ფორმებია: გამოცდა, ტესტირება, პრეზენტაცია, კოლოკვიუმი, ექსპერტის დასკვნა, შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ხარისხი, ესე, რეფერატი, მოხსენება, განსაზღვრული დროის დაცვა, სტატია, პრაქტიკული საქმიანობის უნარი, ინტერვიუ, თვითშეფასების მატრიცის ანალიზი, სემინარის წარმართვა, დემონსტრირება აუდიტორიის წინაშე.

უცხო ენის მიმართულების კულტურათა დიალოგის სწავლება/ სწავლისათვის (იმ კვალიფიკაციისათვის, სადაც უცხო ენა მეორე ენაა) ეფექტურად მივიჩნით სტუდენტის წარმატების შესამოწმებლად განმავითარებელი შეფასება. ფორმად შევარჩიეთ თვითშეფასების სქემები, რომლის შერჩევასაც ვიხელმძღვანელებთ თუნიზის პროექტის შედეგებით, რომელიც კომპეტენციის მისაღწევ ერთიან სივრცეს ქმნის.

თვითშეფასება არის პროცესი, რომლის საშუალებითაც სტუდენტი ერთვება საკუთარი სწავლის მიზნების ჩამოყალიბებასა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში.

თვითშეფასება არის სტუდენტის მიერ საკუთარი შესაძლებლობებისა და მიღწეული შედეგების შეფასება.

თვითშეფასება სტუდენტს საკუთარი ცოდნის ობიექტურად შეფასების, დამოუკიდებლად სწავლის და თვითკრიტიკის უნარ-ჩვევებს უვითარებს. საშუალებას აძლევს, კარ-

გად გააცნობიეროს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები, ამით სწავლის პროცესის მიმართ მეტი ინტერესი და პასუხისმგებლობის გრძნობა უვითარდება.

თვითშეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ის მიზანმიმართული, სისტემური და თანმიმდევრული პროცესია. იგი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას.

თვითშეფასების სქემები მრავალმხრივია. გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი. ცოდნის ხარისხი შეიძლება შემოწმდეს ქულებით ან შეფასების შკალით.

თვითშეფასებისათვის საჭიროა საკუთარი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო აქტივობების ჩამოწერილი პერიოდული წერილობითი შეფასება, თვითშეფასების ცხრილი, პასუხებით სწორი ვარიანტის შემოწმება, საკუთარი შეცდომების მიზეზების ახსნა, მომავალი სემესტრის ნიშნის დაგეგმვა და დაგეგმილის შეფასება, წარმატება-წარუმატებლობის შეფასება. სტუდენტს თვითშეფასების უნარის განვითარება საგანმანათლებლო და პროფესიული დაოსტატების მიზნების მიღწევაში დაეხმარება. გთავაზობთ თვითშეფასების სქემების ნიმუშებს:

№1

	არასოდეს	იშვიათად	ყოველთვის
1. ლექციის თემის მიხედვით შემიძლია ვივარაუდო, რაზე იქნება საუბარი.			
2. ყურადღებით ვისმენ და ვიმახსოვრებ ძირითად საკითხებს.			
3. ყურადღებას ვაქცევ იმ არგუმენტებსა და საკითხებს, რომლებიც აზრის გამოთქმის საშუალებას მაძლევს.			
4. მიყვარს საჭირო და საინტერესო ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებში მოძებნა და ჯგუფში მისი პრეზენტაცია.			
5. ვცდილობ მეგობრისა და ჩემი მოსაზრებები დეტალურად გავიაზრო და შევაჯერო.			
6. თავს კომფორტულად ვგრძნობ, როცა ლექციის მსვლელობაში ჩართული ვარ და ჩემი მოსაზრება ვინმესთვის მისაღებია.			
7. ჯგუფში ან წყვილებში მუშაობისას ვირჩევ პარტნიორს.			
8. მომწონს ჩემ მიერ მომზადებული მასალის დემონსტრირება.			

№2

სუსტი მხარე	ძლიერი მხარე
<ol style="list-style-type: none"> <li>1. რა ვერ გავაკეთე წარმატებით.</li> <li>2. რა ვერ გავაკეთე კარგად.</li> <li>3. ვისთან ერთად არ გამომივიდა წყვილებში, ჯგუფში მუშაობა.</li> <li>4. რატომ დავეუშეი შეცდომა.</li> <li>5. რატომ არის რთული ამის სწავლა.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. რა გავაკეთე წარმატებით.</li> <li>2. რა გავაკეთე კარგად.</li> <li>3. ვისთან ერთად ვიმუშავე კარგად.</li> <li>4. როგორ შევქმელი შეცდომის გასწორება.</li> <li>5. ყველაზე კარგად როგორ შეიძლება ეს ვისწავლოთ.</li> </ol>

№3

შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები პასუხი.

<ul style="list-style-type: none"> <li>• როცა ლექციის თემა ახალია, უკეთ ვსწავლობ.</li> </ul>	დიახ	არა
<ul style="list-style-type: none"> <li>• ზუსტად გავიგე, რა სამუშაოს შევასრულებდი.</li> </ul>	დიახ	არა
<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიცი, რას უნდა მივადწიო.</li> </ul>	დიახ	არა
<ul style="list-style-type: none"> <li>• შეკითხვის დასმის შესაძლებლობა მომეცა.</li> </ul>	დიახ	არა
<ul style="list-style-type: none"> <li>• დავიცავი დროის ლიმიტი.</li> </ul>	დიახ	არა
<ul style="list-style-type: none"> <li>• როცა სხვა ლაპარაკობს, მოვუსმენ .</li> </ul>	დიახ	არა
<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიცი, როგორ შეფასდება ჩემი საქმიანობა.</li> </ul>	დიახ	არა

№4.

	ყოველთვის	ხანდახან	არასოდეს
<ul style="list-style-type: none"> <li>• შემიძლია უცხოელ მეგობარს მივწერო წერილი.</li> </ul>			
<ul style="list-style-type: none"> <li>• შემიძლია ვისაუბრო ნაცნობ თემაზე.</li> </ul>			
<ul style="list-style-type: none"> <li>• შემიძლია ჩანაწერის მოსმენისას გავიგო, რაზეა საუბარი.</li> </ul>			
<ul style="list-style-type: none"> <li>• თემის დაწერისას ვიყენებ ახალ ნასწავლ სიტყვებს.</li> </ul>			
<ul style="list-style-type: none"> <li>• გამოვხატავ აზრს სხვის ნაამბობზე.</li> </ul>			
<ul style="list-style-type: none"> <li>• თვალის ერთი გადავლებით ვხვდები, რაზეა ტექსტი.</li> </ul>			
<ul style="list-style-type: none"> <li>• კონტექსტით ვხვდები უცნობი სიტყვების მნიშვნელობას.</li> </ul>			
<ul style="list-style-type: none"> <li>• ვსარგებლობ ლექსიკონით.</li> </ul>			

თვითშეფასების სქემების გამოყენება ლექცია-სემინარის სხვადასხვა ფაზაში. ეფექტურია შინაარსის რეალიზებისა და რეფლექსიის ფაზაში გამოყენება.

თვითშეფასების სქემების გამოყენება შეიძლება როგორც სასწავლო პროცესში, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის დროს.

სასწავლო პროცესში თვითშეფასების სქემის გამოყენება გარკვეულ დროს მოითხოვს, წამოიჭრა პრობლემა-ხომ არ გამოიწვევს იგი სტუდენტთა გადატვირთვას, რამდენად სასარგებლოა მისი გამოყენება სტუდენტისათვის?

აღნიშნულ პრობლემაზე პასუხისათვის ჩავატარე გამოკვლევა.

**კვლევის მიზანი:** ა) სასწავლო პროცესში თვითშეფასების სქემების გამოყენების გავლენა სტუდენტთა გადატვირთვაზე.

ბ) სტუდენტთა დამოკიდებულება თვითშეფასების სქემის გამოყენებისადმი.

**კვლევის მეთოდოლოგია:** შეფასების სქემები შერჩეულ იქნა ლექციის ტიპისა და ფაზის მიხედვით. სქემა №1 გამოყენებულ იქნა მინილექციის პროცესში. (შინაარსის რეალიზების რეალობის ფაზა), სქემა №2 წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის შემდეგ (შინაარსის რეალიზება და რეფლექსიის სტადიები), სქემა №3 გამოწვევის ფაზაში, მოლოდინების მეთოდის გამოყენების შემდეგ. სქემა №4 რეფლექსიის ფაზაში სავარჯიშოების შესრულების შემდეგ.

თვითშეფასების სქემების გამოყენებაზე კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე სტუდენტებს გაეწიათ კონსულტაცია სქემების დანიშნულებაზე, შეფასების ტექნოლოგიაზე, სქემების შედეგების გამოყენების მახასიათებლებზე (რაში გამოადგებათ, რას გაიუმჯობესებენ).

ჩატარების დრო 2008 წლის დეკემბერი, 2009 წლის თებერვალი. კვლევაში მონაწილეობდა 36 სტუდენტი. მონაცემთა დასამუშავებელი მეთოდები: ახსნითი, სტატისტიკის პროცენტების გამოთვლა, შედარებითი ანალიზი.

	ნაკლებად		საშუალოდ		სავსებით	
	I ეტაპი	II ეტაპი	I ეტაპი	II ეტაპი	I ეტაპი	II ეტაპი
<ul style="list-style-type: none"> <li>რამდენად არის თქვენთვის მისაღები თვითშეფასების სქემის გამოყენება.</li> </ul>	40%	8%	32%	38%	28%	54%
<ul style="list-style-type: none"> <li>რამდენად გადატვირთათ თვითშეფასების სქემით შეფასებამ.</li> </ul>	36%	89%	44%	9%	20%	2%
<ul style="list-style-type: none"> <li>რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა თქვენთვის თვითშეფასების სქემა.</li> </ul>	29%	14%	35%	46%	25%	48%

ცხრილის ანალიზი ცხადყოფს, რომ თვითშეფასების სქემა მისაღები, საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც სტუდენტები დარწმუნდნენ სქემის გამოყენებით უკეთესი შედეგის მიღწევაში.

თვითშეფასების სქემების ანალიზი დაეხმარება სტუდენტს, შეაფასოს, თუ რა შედეგს მიაღწია, რა არის კიდევ გასაკეთებელი, რა არის საჭირო სუსტი მხარის დასაძლევად, რამდენად ეხმარება შესწავლილი მასალა თავისი მიზნების მიღწევაში. შეეძლება: კრიტიკულად განიხილონ საკუთარი შესაძლებლობები და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ ცვლილებები სწავლის სტრატეგიებში.

თვითშეფასების სქემების გამოყენება ხელს უწყობს თვითმოტივაციის ამაღლებას, საკუთარი სწავლის მართვას, სწავლისადმი პასუხისმგებლობის განვითარებას.

თვითშეფასების სქემების ანალიზი საშუალებას აძლევს ლექტორ-მასწავლებელს: წახალისოს სტუდენტები მკაფიო სასწავლო მიზნების დასახვასა და თავიანთი სწავლის პროცესზე თვითმონიტორინგის განხორციელებისათვის; შექმნან პირობები, რათა სტუდენტმა ისწავლოს და მიაღწიოს წარმატებას, გარკვეულ მომენტში შეაფასოს თავისი პროგრესი და იზრუნოს უკეთესი შედეგისათვის.

თვითშეფასების სქემები წარმოადგენს განმავითარებელი შეფასების კომპონენტს – დიაგნოსტიკური შეფასების ეფექტურ ფორმას.

#### **ლიტერატურა:**

1. კრებული „კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა“, 2006.
2. თუნიზის პროექტის შედეგები, 2008.
3. სწავლა და შეფასება, თბ., 2002.

**Tatia Nakashidze**  
***The usage of self-assessment diagrams by the students***  
***in educational process***  
**Summary**

The paper deals with the problem of the educational course «Cultural dialogue» achieved competences for the qualifications where foreign language is the second language - high professional education, BA studies.

The author in her paper worked out self-assessment diagram peculiarities, multiple models, usage periods, assessments, analyses' criterions, students' activities.

Achieved diagnostic importance is confirmed for learning govern progress and mobility from one qualification level to another .

**Татия Накашидзе**  
***Схемы самооценки, используемые студентами***  
***в процессе обучения***  
**Резюме**

В работе рассматривается задача учебного курса „Диалог культур“, достигнутых компетенций для тех специальностей, где иностранный язык принят вторым языком. Это высшее профессиональное образование, бакалавриат.

Разработаны характеризующие схемы самооценки, многовариантные образцы, периоды употребления, критериумы анализа оценок, студенческой активности.

Утверждены значения принятого диагностирования для успеха, управления прогресса учебы и мобильности для перехода от одного уровня на другой.

**Акылбек Ахметов**

(Казахстан)

## **СИСТЕМНЫЙ АНАЛИЗ КАТЕГОРИАЛЬНО-ПОНЯТИЙНОГО АППАРАТА ЭКОНОМИЧЕСКОГО ВОСПИТАНИЯ В ПЕДАГОГИЧЕСКОЙ НАУКЕ**

Необходимость характеристики категориального аппарата периодически актуализируется в педагогической науке при разработке той или иной проблематики вследствие усложнения теории, появления новых отраслей, открытия неизвестных ранее закономерностей. Ученые, разрабатывающие методологические основы педагогики (Ф.А. Фрадкин и др.), отмечают, что нечеткость категориального аппарата является одной из причин снижения эффективности педагогических исследований, делает некорректным сравнение и сопоставление полученных результатов, становится серьезным препятствием для дальнейшего развития науки, понижает ее престиж, исключается возможность эффективно управлять объектом воздействия.

Научные педагогические понятия объективно являются ступеньками, узловыми точками познания мира, характеризуются глубиной, сущностным характером отображения явлений, широтой обобщения. Они должны отвечать уровню современной практики и отражать объект в соответствии с достигнутым в науке уровнем развития системы определенных знаний.

Различия в содержании и интерпретации понятий, отмечает В.Е. Гмурман, имеют место во всех науках и обусловлены рядом факторов, в частности исторических, так как изменение и усложнение практики вызывает потребность "снятия" этих тенденций и отображения их в понятиях за счет введения новых или корректировки содержания традиционных категорий (Гмурман, 1967).

Значительное влияние на интерпретацию понятий оказывают теоретические школы, которые, разрабатывая авторские схемы, выделяют в понятиях стороны, подчеркивающие концептуально значимые компоненты явлений. П.В. Копнин установил зависимость между уровнем развития науки и глубиной категоризации, связанности, гибкости, отточенности используемых понятий. Чем более развита система определенной науки, тем она точнее, адекватнее отражает свой предмет, больше выражает существенных отношений в предмете, обеспечивает гибкость и открытый характер понятий (Копнин, 1973). Однако на практике зачастую обнаруживается не согласие в понимании и интерпретации одних и тех же понятий разными авторами.

Приходится констатировать, что в научно-педагогической литературе сложились несколько упрощенные представления о содержании экономического воспитания и практике его осуществления. Во-первых, отсутствует анализ понятийного аппарата, раскрывающего сущность экономического воспитания. Во-вторых, нет ясного представления о месте и роли экономического воспитания в комплексе основных направлений воспитания личности, формирования экономической культуры в системе мировоззренческой культуры человека. В-третьих, нередко содержание экономического воспитания сводится лишь к усвоению элементов экономических знаний. Все это приводит к смещению акцентов в воспитательном процессе, затрудняет достижение желаемого результата.

Исходя из этого, в качестве одной из теоретических задач нашего исследования мы определили системно-категориальный анализ теории экономического воспитания. К числу наиболее широко представленных в научной литературе понятий относятся следующие: экономическое воспитание, экономическое образование, экономическое сознание, экономическое мышление, экономическая деятельность, экономическая культура, экономические качества, экономические знания, экономические умения, экономический опыт, экономическое поведение, экономические потребности, экономические мотивы, экономические интересы.

Наиболее общим, как уже отмечалось, является термин "*экономическое воспитание*". Ниже мы приводим определения разных исследователей, характеризующие различные взгляды на эту категорию и обосновываем наш подход.

Экономическое воспитание рассматривается исследователями как часть общего воспитания. Оно характеризуется как воздействие на сознание людей таким образом, чтобы каждый человек активно, творчески, квалифицированно участвовал в коллективном труде, по-хозяйски относился ко всему общественному, вырабатывал в себе экономические качества.

В теоретическом плане экономическое воспитание определяется как процесс подготовки человека к активной общественно полезной трудовой деятельности на основе познания законов экономического развития. Экономическое воспитание - необходимое условие осознанного включения членов общества в общественный трудовой процесс и активного участия в его поступательном развитии.

Экономическое воспитание в широком смысле - это целенаправленное участие в нем всех слоев общественности, претворение в жизнь экономических отношений, всемерное использование в воспитательных целях прессы, радио, телевидения, кино и театрального искусства. Оно предполагает формирование у членов общества знаний, умений и навыков, потребностей и интересов, стиля мышления, поведения и деятельности, которые соответствуют принципам и нормам доминирующего типа хозяйствования. В процессе экономического воспитания, как отмечают исследователи, вырабатываются такие качества личности, как бережливость, дисциплинированность, деловитость, организованность, ответственность, предприимчивость и др.

Экономическое воспитание с необходимостью охватывает и формирование экономического поведения. Под этим термином понимается совокупность поступков человека, выражающих его соотношение с внешней экономической средой, систему экономических действий личности, сознательной, воспитанной экономически. Социально такое поведение обусловлено целесообразной экономической деятельностью в быту, в школе, в обществе в целом, в процессе хозяйственно-бытового, общественно полезного, производительного труда. Решающим в поведении, о котором идет речь, является характер мировоззрения личности, обуславливающего направленность, последовательность и общественно-экономическую значимость этого поведения. В нем должны найти свое воплощение основные экономические качества личности.

Н.Л. Клепач, В.Д. Попов и Л.Е. Эпштейн сущность экономического воспитания определяют как систематическое, целенаправленное воздействие общества на человека в интересах формирования знаний, умений и навыков, потребностей и интересов и других социально-психологических качеств, а главное -



образ мышления и деятельность, соответствующих в природе существующего производства, целям, принципам и нормам хозяйствования, общественной морали (Клепач, Попов, Эпштейн, 1979:223). Это процесс становления каждого члена общества как хозяина коллектива, на деле укрепляющего общественную собственность, рационально использующего народное достояние человека, который последовательно руководствуется в своей деятельности общественными интересами, экономической политикой государства.

В.Г. Игнатов считает, что экономическое воспитание - это целенаправленное и планомерно организованное воздействие на членов общества для выработки у них современного экономического мышления и умений, навыков и потребности действовать в соответствии с учетом объективных экономических условий и законов, принципов и норм хозяйствования в целях наиболее полного осознания и обеспечения индивидуальных, коллективных и общенародных интересов при ведущей роли последних.

В. Анин придерживается мнения, что экономическое воспитание предполагает выработку у людей государственного подхода к делу, умения экономически грамотно мыслить, давать правильную экономическую оценку тому или иному общественному явлению внутренней и международной жизни, техническому нововведению, общественной значимости выбранной профессии, своего личного труда и т.п.

Экономическое воспитание, подчеркивает Н.А. Хроменков, способствует формированию у учащихся дисциплинированности, исполнительности, деловитости, бережливости, чувства хозяина. Оно учит жить и трудиться в коллективе, повышать эффективность труда и качество работы, соизмерять личные потребности с экономическими возможностями, личные интересы с коллективными и общенародными, проявлять нетерпимость к потребительству (Хроменков, 1989:192).

Анализ становления и развития экономического воспитания в советской школе и в советской педагогике позволил увидеть в произведениях выдающихся педагогов и организаторов образования А.В. Луначарского, Н.К. Крупской, А.С. Макаренко, В.А. Сухомлинского, С.И. Шацкого и других творческое развитие учения о воспитании подрастающего поколения и ее составной части - экономического воспитания, почерпнуть немало ценного из поучительного опыта его постановки, накопленного в современной школе и педагогике, определить сущность и особенности экономического воспитания учащихся на современном этапе социально-экономического развития общества.

Экономическое воспитание есть систематический, целеустремленный, планомерный, совместно организованный педагогический процесс, предусматривающий подготовку выпускников к экономической деятельности в различных сферах народного хозяйства. Данный процесс предполагает выработку умения экономически грамотно мыслить, правильно, с точки зрения экономики, оценивать то или иное общественное явление внутренней и международной жизни; способствует приобщению к систематическому общественно полезному, производительному, эффективному и качественному труду, к анализу его результатов, поискам наиболее рациональных форм организации своей и коллективной деятельности. В ходе рассматриваемого процесса воспитывается сознательное отношение к продуктам труда, материальным ценностям, прививаются навыки рационального исполь-

зования времени, соизмерения своих потребностей с экономическими возможностями их удовлетворения, формируются и укрепляются экономическое сознание и поведение, экономические интересы, стимулы и мотивы эффективной экономической деятельности, приобретаются такие качества, как экономическая расчетливость, деловитость, организованность, дисциплинированность, чувство ответственности, предприимчивость.

Таким образом, экономическое воспитание рассматривается исследователями многопланово:

- как воздействие на сознание людей с ориентацией на экономику;
  - как процесс экономической подготовки человека;
  - как целенаправленное участие в экономической жизни;
  - как совокупность способов производственной деятельности;
  - как систематическое, целенаправленное воздействие на потенциальных субъектов производства;
  - как процесс формирования экономических качеств личности;
  - как процесс подготовки к экономической деятельности и т.д.

Каждое из представленных определений экономического воспитания раскрывает одну из граней этого сложного воспитательного процесса. На наш взгляд, в представленных определениях не отражен субъектно-объектный характер воспитательного процесса. За последние годы в педагогике накоплен новый научный материал, позволяющий конкретизировать и полнее трактовать характер воспитательного процесса. Так, педагогическое воздействие мыслится как процесс организации и вовлечения личности в разнообразную деятельность: учебную, трудовую, творческую, прогностическую, оценочную, совместную, игровую и т.д. Воздействие должно не столько побуждать школьников к той или иной деятельности, сколько возбуждать внутреннее стремление и интерес к ней. Более того, сейчас общепризнанным является положение о том, что воспитательное воздействие оказывает надлежащий педагогический эффект лишь в том случае, когда оно вызывает у воспитуемой личности положительное отношение к деятельности и стремление к дальнейшему саморазвитию. Признание личности не только в качестве объекта, но и активного субъекта воспитания приводит к выводу, что развитие личности происходит не по бихевиористской формуле "стимул - реакция", а мыслится в известной мере как процесс внутреннего поступательного самодвижения. Сущность его заключается в том, что внешние педагогические воздействия, преломляясь через внутреннее восприятие развивающейся личности, вызывают у последней осознание и переживание "разрыва" между достигнутым и необходимым уровнем в работе над собой.

В конечном счете, глубинная сущность экономического воспитания заключается в переводе разнообразных влияний в фактор индивидуального личностного развития.

Исходя из этого, мы рассматриваем экономическое воспитание не как прямое воздействие, а социальное взаимодействие субъектов воспитательного процесса, направленное на формирование экономической культуры личности.

**ლიტერატურა:**

1. Гмурман В.Е. Основные понятия (категории) педагогической науки /Общие основы педагогики/. М.. 1967.
2. Копнин П.В. Диалектика как логика и теория познания. М.. 1973.
3. Клепач Н.Я., Попов В.Д., Эпштейн Л.Е. Экономическое воспитание масс. Организация и эффективность. М. Экономика, 1979.
4. Хроменков Н.А.. Образование. Человеческий фактор. Общественный прогресс. М. Педагогика, 1989.

**აკილბეკ ახმეტოვი**  
**ეკონომიკური აღზრდის კატეგორიულ-ცნობითი აპარატის**  
**სისტემური ანალიზი პედაგოგიურ მეცნიერებაში**  
**რეზიუმე**

სტატიაში მოცემულია ეკონომიკური აღზრდის თეორიის სისტემურ-კატეგორიული ანალიზი. სამეცნიერო პედაგოგიური ცნებები ობიექტურად არის საფუძვრები, სამყაროს შეცნობის საკვანძო წერტილები, ხასიათდებიან სიღრმით, მოვლენის არსებითი ასახვის ხასიათით, განზოგადების მასშტაბურობით. ისინი უნდა პასუხობდნენ თანამედროვე პრაქტიკის დონეს და ასახავდნენ ობიექტს მეცნიერებაში მიღწეული დონის შესაბამისად.

ჩვენ განვსაზღვრეთ ეკონომიკური აღზრდის თეორიის სისტემურ-კატეგორიული ანალიზი. სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე უფრო ფართოდ წარმოდგენილ ცნებებს განეკუთვნება: ეკონომიკური აღზრდა, ეკონომიკური განათლება, ეკონომიკური შემეცნება, ეკონომიკური აზროვნება, ეკონომიკური მოღვაწეობა, ეკონომიკური კულტურა, ეკონომიკური ხარისხი, ეკონომიკური ცოდნა, ეკონომიკური უნარები, ეკონომიკური გამოცდილება, ეკონომიკური მოქმედება, ეკონომიკური მოთხოვნილებები, ეკონომიკური მოტივები, ეკონომიკური ინტერესები.

სტატიაში საუბარია ტერმინ „ეკონომიკურ აღზრდასთან“ დაკავშირებით სხვადასხვა მკვლევრის მიერ გაკეთებულ განსაზღვრებებზე, ნაჩვენებია განსხვავებული შეხედულებები და ამასთან, მოცემულია ჩვენი მიდგომის დასაბუთება.

ეკონომიკური აღზრდა განხილულია როგორც აღზრდის პროცესის სუბიექტების სოციალური ურთიერთობა, რომელიც მიმართულია პიროვნების ეკონომიკური კულტურის ფორმირებისაკენ.

**Akilbek Akhmetov**  
**System analysis of categorical and conceptual framework**  
**of economic education in pedagogic science**  
**Summary**

In this article the system-category analysis to theory of the economic education is conducted. The scientific pedagogical concepts are objectively the stages and the key points of cognition of the world, characterized by deep essential nature of the display of the image of the

phenomena and the breadth of generalization. They must meet the level of modern practice and reflect the object in accordance with the progress of the development in the system of certain knowledge.

We have defined the system-categorical analysis of the economic education theory to be one of the theoretical problems of our study. The following conceptions are widely offered in the scientific literature: economic education formation, consciousness, economic thinking, activity, economic culture, economic quality, knowledge, economic skills, experience, economical behavior, economic requirements, motives and interests.

As already noted, "economic education" is the most general term. Below we bring the different researchers' conceptions characterizing different points of view on this category and motivation of our approach.

The economic education is considered as a social interaction subject of upbringing process set to the formation of personality's economic culture.



## Назым Стамгалиева

(Казахстан)

### ФОРМИРОВАНИЕ ИНОЯЗЫЧНОЙ КОММУНИКАТИВНОЙ КОМПЕТЕНЦИИ

Изучение иностранного языка призвано сформировать личность, способную и желающую участвовать в межкультурной коммуникации. Но такую личность невозможно формировать без знаний о социокультурных особенностях страны изучаемого языка. Изучение языка и культуры одновременно обеспечивает не только эффективное достижение практических, общеобразовательных и развивающих целей, но и содержит значительные возможности для вызова и дальнейшего поддержания мотивации обучаемых.

Истинно комплексный подход к целям обучения требует владения всех аспектов в качестве компонентов цели на равных правах. Однако это означает не равномерное распределение времени на все аспекты, а их равноправие в плане значимости для формирования личности учащегося.

Неправомерно, если обучение иностранному языку направлено не на формирование личности, а лишь на овладение умениями говорить или читать. При определении цели и содержания обучения должны быть названы не только умения, но и функции, которые сможет выполнять человек, опираясь на эти умения. Учащиеся в процессе обучения должны «принять» эти функции и осознать их значимость.

Отсюда следует, что при определении содержания и целей обучения нельзя упускать ни одну из сторон. Все они в комплексе взаимосвязаны, взаимозависимы и проявляются в виде обучающего, познавательного, развивающего и воспитательного результата, который достигается постепенно, в процессе овладения иностранным языком.

Основной целью обучения иностранного языка в пороговом уровне названо формирование коммуникативной компетенции, здесь авторы уже не разграничивают цели на общеобразовательные, практические, воспитательные и развивающие. Именно комплексный подход к реализации этих целей позволил им выделить несколько её составляющих:

- лингвистическая компетенция
- социолингвистическая компетенция
- социокультурная компетенция
- стратегическая компетенция
- дискурсивная компетенция
- социальная компетенция

**Коммуникативная компетенция** – способность средствами изучаемого языка осуществлять речевую деятельность в соответствии с целями и ситуацией общения в рамках той или иной сферы деятельности. В её основе лежит комплекс умений, позволяющих участвовать в речевом общении в его продуктивных и рецептивных видах. Базируется же коммуникативная компетенция на ряде других компетенций.

**Лингвистическая (языковая) компетенция** – это владение знаниями о системе языка, о правилах функционирования единиц языка в речи и способность с

помощью этой системы понимать чужие мысли и выражать собственные суждения в устной и письменной форме.

**Речевая компетенция** означает знание способов формирования и формулирования мыслей с помощью языка, обеспечивающих возможность организовать и осуществить речевое действие (реализовать коммуникативное намерение), а также способность такими видами пользоваться для понимания мыслей других людей и выражения собственных суждений. Она означает также способность пользоваться языком в речевом акте. Этот вид компетенции некоторые исследователи называют также **социолингвистической**, стремясь этим подчеркнуть присущее обладателю такой компетенции – умение выбрать нужную лингвистическую форму и способ выражения в зависимости от условий речевого акта: ситуации, коммуникативных целей и намерения говорящего.

**Социокультурная компетенция** подразумевает знание учащимися национально-культурных особенностей социального и речевого поведения носителей языка: их обычаев, этикета, социальных стереотипов, истории и культуры, а также способов пользования этими знаниями в процессе общения. Формирование такой компетенции на занятиях по языку проводится в контексте диалога культур с учетом различий в социокультурном восприятии мира и, в конечном счете, способствует достижению межкультурного понимания между людьми и становлению «вторичной языковой личности».

**Социальная компетенция** проявляется в желании и умении вступать в коммуникацию с другими людьми, в способности ориентироваться в ситуации общения и строить высказывание в соответствии с коммуникативным намерением говорящего и ситуацией. Этот вид компетенции называют также **прагматической компетенцией**, желая подчеркнуть присущее владеющему языком умение выбрать наиболее эффективный способ выражения мысли в зависимости от условий коммуникативного акта и поставленной цели.

**Стратегическая (компенсаторная) компетенция** – это компетенция, с помощью которой учащийся может восполнить пробелы в знании языка, а также речевом и социальном опыте общения в иноязычной среде. Владение ею дает возможность:

- при *чтении*: а) предвосхитить содержание текста по его названию, жанру, оглавлению в книге; б) догадаться о значении незнакомых слов, опираясь на контекст, тему, ситуацию; в) при обращении к словарю выбрать правильное значение искомого слова; г) догадаться о значении незнакомого слова по знаковым элементам его структуры (корню, суффиксу и др.);
- при *слушании*: а) догадаться о значении слова, фразы, опираясь на контекст; б) при межличностном контакте обратиться к партнеру за помощью (например, попросить повторить сказанное);
- при *говорении*: а) упростить фразу, опираясь на известные слова, образцы речи и структуры его построения; б) внести в свою речь поправки, используя выражения типа «Простите, я скажу это по-другому» и др.

**Дискурсивная компетенция** (от фр. *discourse* - речь) означает способность учащегося использовать определенные стратегии для конструирования и интерпретации текста. Понятие *дискурс* означает связный текст, сверхфразовое единство. Различие же между текстом и дискурсом состоит в следующем. Если под текстом


понимается некая абстрактно-формальная конструкция, то под дискурсом – тексты, порождаемые в результате общения. Следовательно, дискурс является таким речевым произведением, которое наряду с лингвистическими характеристиками обладает экстралингвистическими параметрами, отражающими ситуацию общения и особенности участников общения. Дискурсивная компетентность – это знание особенностей, присущих различным типам дискурсов, а также способность порождать дискурсы в процессе общения. Наиболее употребительные типы дискурсов в учебно-профессиональной сфере общения – доклад, сообщение, обсуждение, расспрос и др.

**Предметная компетенция** – это способность ориентироваться в содержательном плане общения в определенной сфере человеческой деятельности. Для будущего преподавателя иностранного языка исключительно важное значение имеет также **профессиональная компетенция**, приобретаемая в ходе обучения. Она обеспечивает способность к успешной профессиональной деятельности и включает: а) знания из области дидактики, методики, психологии, лингвистики и других наук, значимых для профессиональной деятельности педагога; б) умение организовать учебную деятельность учащихся и управлять такой деятельностью; в) умение владеть коммуникативной компетенцией, максимально близкой к уровню носителей языка; г) личностные качества, обеспечивающие эффективность педагогического труда (требовательность, вежливость, ответственность и др.).

Что изменилось в процессе модернизации образования в содержании обучения иностранным языкам? Современная цель обучения иностранным языкам – формирование иноязычной **компетенции (ИКК)**, включающей языковую, речевую, социокультурную, компенсаторную и учебно-познавательную компетенции. Это интегративная цель обучения, имеющая четкую практическую направленность. Основным акцент делается на социокультурную составляющую ИКК, на включение учащихся в диалог культур. Схематически это выглядит следующим образом:

**Социокультурная составляющая иноязычной коммуникативной компетенции (ИКК)**

Схема №1



Планируемый результат обучения – достижение выпускниками функциональной грамотности во владении иностранным языком, т.е. реальное рабочее владение им, достижение как минимум, порогового уровня обученности (уровня В1), принятого Советом Европы. Однако, учитывая неодинаковые потребности, способности и возможности учащихся, их различные планы на будущее, личностно-ориентированная парадигма (ЛОП) допускает разные уровни обученности: общеобразовательный / базовый уровень и повышенный профильный уровень.

Выбор уровня обученности – за учащимися. Следовательно, он в качестве субъекта учения как бы включается и в процесс целеполагания.

Как меняется в процессе образования содержание обучения? Благодаря личностно-ориентированному подходу уточняется компетентный состав обучения иностранному языку. Это можно увидеть на следующей схеме:

Схема №2

### *Содержание обучения иностранному языку*

Объект обучения (teaching)	Объект усвоения (learning)	Результат обучения (competence)
Язык (language)	Знания (knowledge)	Языковая компетенция (linguistic competence)
Речь (speech)	Навыки (habits)	Речевая компетенция (speech activities)
Речевая деятельность (speech activities)	Умения (skills)	Коммуникативная компетенция (communicative competence)
Культура (culture)	Межкультурная коммуникация (intercultural competence)	Социокультурная компетенция (sociocultural competence)


При ЛОП важно предусмотреть ещё один компонент/аспект содержания обучения: чувства и эмоции, вызываемые воздействием выделенных компонентов содержания и создающие благоприятную обучающую и воспитывающую среду (мотивационный и ценностно-ориентационный аспект). Выделение этого компонента способствует развитию мотивации учения и ценностных ориентаций учащегося.

Как меняется характер и объём содержания обучения в зависимости от выбранного уровня овладения иностранным языком?

Обучение иностранному языку *в начальной школе* направлено на создание условий для ранней коммуникативно-психологической адаптации к новому языковому миру, отличному от мира родного языка и культуры, и для преодоления в дальнейшем психологического барьера в использовании иностранного языка как средства коммуникации в современном мире; ознакомление с зарубежным песенным, стихотворным, сказочным фольклором, миром игр и развлечений; приобретение детьми социального опыта за счет расширения спектра проигрываемых коммуникативных ролей в ситуациях семейного и школьного общения, общения с друзьями и взрослыми на иностранном языке; формирование представлений об общих чертах и особенностях общения на родном и иностранном языках; формирование элементарных коммуникативных умений в 4-х видах речевой деятельности (говорении, чтении, аудировании и письме) с учетом возможностей и потребностей младших школьников; формирование некоторых универсальных лингвистических понятий, наблюдаемых в родном и иностранном языках (схема №3).



### *Виды речевой деятельности*



**Общеобразовательный/базовый уровень** достигается в рамках общеобразовательного курса (3 часа в неделю). Он нацелен на завершение школьной общеобразовательной подготовки по предмету, и его содержание имеет общекультурную направленность.

**Профильный уровень** ориентирует на:

- развитие профессиональных устремлений старшеклассников средствами иностранного языка;
- продолжение профессионального ориентированного образования в среднем специальном учебном заведении или ВУЗе;
- использование иностранного языка в практической деятельности сразу после окончания курса обучения (например, в гостиничном, туристическом бизнесе и т.п.)

Профильное обучение – это углубленное профессионально-ориентированное обучение. Оно строится на базе общеобразовательного/базового курса и представляет собой многоярусную систему.

Обязательный минимум содержания основных общеобразовательных программ представлен в форме набора предметных тем (дидактических единиц), включаемых в обязательном порядке в основные (образовательные программы государственного стандарта общего образования). Примерная программа по иностранному языку составлена на основе компонента государственного стандарта основного, общего образования и включает в содержание обучения:

- предметное содержание речи;
- речевые умения;
- языковые знания и навыки (практическое усвоение);
- социокультурные знания и умения.

При изучении иностранного языка в основной школе в центре внимания находится последовательное и систематическое развитие у учащихся всех составляющих коммуникативной компетенции в процессе овладения различными стратегиями говорения, чтения, аудирования и письма. Обучение иностранному языку в основной школе направлено на изучение иностранного языка как средства международного общения посредством формирования и развития базовых коммуникативных умений в

основных видах речевой деятельности; коммуникативно-речевого вживания в иноязычную среду стран изучаемого языка (в рамках изучаемых тем и ситуаций); социокультурного развития учащихся в контексте европейской и мировой культуры с помощью страноведческого, культуроведческого и лингвокультуроведческого материала; культуроведческого и художественно-эстетического развития учащихся при ознакомлении с культурным наследием стран изучаемого языка; формирования умений представлять родную культуру и страну в условиях иноязычного межкультурного общения; ознакомления учащихся с доступными им стратегиями самостоятельного изучения языков и культур.

При наличии возможностей целесообразно начинать изучение второго иностранного языка в основной школе.

На завершающей ступени в профильной школе обучение иностранному языку должно способствовать развитию иноязычной коммуникативной компетенции, обеспечивающей использование иностранного языка в ситуациях официального и неофициального общения в учебной, социально-бытовой, культурной, административной, профессиональных сферах коммуникативного взаимодействия. При этом в центре внимания остается развитие культуры устной и письменной речи на иностранном языке, углубление культуроведческих знаний об образе и стилях жизни в странах изучаемого языка.

Обучение иностранному языку на третьей ступени направлено на развитие коммуникативной культуры и социокультурной образованности учащихся, позволяющей им быть равноправными партнерами межкультурного общения на иностранном языке в бытовой, культурной и учебно-профессиональной сферах; обучение этике дискурсивного общения на иностранном языке при обсуждении культуры, образа жизни людей; развитие общеучебных умений собирать, систематизировать и обобщать культуроведческую и иную информацию, представляющую интерес для учащихся; ознакомление учащихся с технологиями самоконтроля и самооценки уровня владения языком; развитие умений представлять родную страну и культуру, образ жизни людей в процессе иноязычного межкультурного общения; использование иностранного языка в профессионально-ориентированном образовании.

### ***Литература:***

1. Бим И.Л. Теория и практика обучения немецкому языку в средней школе. Проблемы и перспективы. – М.: Просвещение, 1988.
2. Верещагин Е.М., Костомаров В.Г. Язык и культура: Лингвострановедение в преподавании русского языка как иностранного. Методическое руководство. – 3-е изд. Переработанное и дополненное. – М.: Русский язык, 1983.
3. Верещагин Е.М., Костомаров В.Г. Лингвострановедческая теория слова – М., Русский язык, 2000.
4. Лаптева О.А. Идеи коммуникативной лингвистики в коммуникативной методике. М., 1990.
5. Качалова К.Н., Изралевиц Е.Е. Практическая грамматика английского языка с упражнениями и ключами. Киев: Методика, 2003.
6. Китайгородская Г.А. Интенсивное обучение иностранным языкам: теория и практика. М.: Русский язык, 1992.
7. Пассов Е.И. Коммуникативный метод обучения иноязычному говорению. 2-е изд. М.: Просвещение, 1991.
8. Романова Л. Практическая грамматика английского языка. М.: Айрис-Пресс. 2002.

9. Хведченя Л.В., Хорень Р.В., Крюковская И.В. Практическая грамматика современного английского языка. М.: Книжный дом, 2005.
10. Щукин А.Н. Обучение иностранным языкам: теория и практика: Учебное пособие для преподавателей и студентов. – М.: Филоматис, 2004.

**ნაზიმ სტამგალიევა**  
**უცხოენოვანი კომუნიკატიური კომპეტენციის ფორმირება**  
**რეზიუმე**

სტატიში განხილულია უცხო ენის სწავლების კომუნიკატიური კომპეტენციისადმი კომპლექსური მიდგომის საკითხები. პრაქტიკული, საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი მიზნების განხორციელებისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვეყნოთ რამდენიმე შემადგენელი ნაწილი: ლინგვისტური კომპეტენცია, სოციოლინგვისტური კომპეტენცია, სოციოკულტურული კომპეტენცია, სტრატეგიული კომპეტენცია, დისკურსიული კომპეტენცია, სოციალური კომპეტენცია.

სწავლების დაგეგმილი შედეგი გულისხმობს მინიმუმ B1 დონის მიღწევას. ამასთან, სწავლების სხვადასხვა დონეზე (ზოგადსაგანმანათლებლო და პროფილური) გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლეების განსხვავებული მოთხოვნები, უნარები და შესაძლებლობები.

ზოგადსაგანმანათლებლო დონის მიზანია უცხო ენაში სასკოლო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დამთავრება, ხოლო პროფილური დონე ორიენტირებულია: უცხო ენის საშუალებით უფროსკლასელების პროფესიული მისწრაფებების განვითარებაზე; საშუალო სპეციალურ ან უმაღლეს სასწავლებელში პროფესიული ორიენტირებული სწავლების განვითარებაზე; სწავლების კურსის დამთავრებისთანავე უცხო ენის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე.

**Nazim Stamgalieva**  
***The Formation of the Foreign Language Communicatory Competency***  
**Summary**

In this article the questions of communication competency of foreign language teaching are considered. The existing combined approach has allowed selecting several components while learning foreign language: linguistically competency, sociolinguistic competency, sociocultural competency, strategic competency, discourse competency and social competency.

The planned result of the education is to achieve functional literacy in foreign language learning, i.e. to be able to speak the language fluently, to achieve minimum, basic level of language (the level B1), accepted by European Council. Herewith different needs, abilities and possibilities of pupils and different levels of their education must be taken into account: general (base) level and high profile level.

The general level aimed at completion of school general preparation on foreign language and a profile level orientates on: development of the professional aspiration of pupils in their senior year with the help of foreign language; the continuation of the professional oriented education at the special educational institutions or universities ; use of the foreign language in practical activity after completion of curriculum.

## ღია სვანიძე

(საქართველო)

### ფრუსტრაცია – ურთულესი ფსიქიკური მდგომარეობა

ტერმინით „ფსიქიკა“ ფსიქოლოგიაში აღინიშნება შინაგანი სულიერი სამყაროს ყველა ფენომენი, როგორც ცნობიერი, ისე ქვეცნობიერი. იგი ტვინის სისტემური თვისება, მისი ფუნქციაა, არამატერიალური, თვალუხილავი ფენომენია. მისი მეშვეობით სუბიექტი ახერხებს გარე სამყაროს ხატების აგებას და ამის გათვალისწინებით საკუთარი ქცევების და მოქმედებების რეგულირებას.

ფსიქიკურ სინამდვილეს ყოფენ სამ ჯგუფად, ესენია: ფსიქიკური პროცესები, ფსიქიკური თვისებები და ფსიქიკური მდგომარეობები. ამ უკანასკნელში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **ფრუსტრაციას – წუხილისა და მღელვარების დრმა განცდას, რომელიც წარმოიშობა ძლიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზაზე გადაუღალახავი წინააღმდეგობების, დაბრკოლებების არსებობით.** ფრუსტრაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფსიქოლოგიური სტრესის ერთ-ერთი ფორმა.

ფრუსტრაციასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ მის არქიტექტონიკას. იგი შედგება სამი ელემენტისაგან:

**1. ფრუსტრატორი, მიზეზი რამაც გამოიწვია ფრუსტრაცია; 2. ფრუსტრაციული სიტუაცია (ფრუსტრირებული ადამიანი); 3. ფრუსტრაციული რეაქცია.**

ფრუსტრაციას თან სდევს უარყოფითი ემოციების მთელი გამა: ძლიერი დაძაბულობა, უკიდურესი მღელვარება, აფორიაქება, თავის საქციელზე ანგარიშგაუწევლობა და სხვ. ფრუსტრაციის დონე დამოკიდებულია: **1. ფრუსტრატორის სიმძლიერესა და ინტენსიურობაზე; 2. ფრუსტრირებული ადამიანის ფუნქციონალურ მდგომარეობაზე და 3. ცხოვრებისეული სიძნელეებისადმი და ემოციებისადმი დამოკიდებულების მდგრად ფორმებზე, რომლებიც ყალიბდებიან პიროვნების ფორმირებისას.**

ფრუსტრაციის განხილვისას მნიშვნელოვან ცნებას წარმოადგენს მისი **ტოლერანტობა**. ფრუსტრაციული მდგომარეობის ანალიზის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება **ფრუსტრაციული სიტუაციის ადეკვატური შეფასების უნარს და მისგან გამოსვლის გზების წინასწარხედვას, განჭვრეტას.**

მოკლედ, **ფრუსტრაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებით გამოწვეული უკიდურესი უკმაყოფილების მდგომარეობა, რომელიც ვლინდება მძიმე განცდების სახით.**

**ფრუსტრაციას იწვევს პიროვნების უძლიერეს სურვილსა და ობიექტურ შესაძლებლობებს შორის წარმოშობილი კონფლიქტი.**

ყოველგვარი უკმაყოფილება, ცხადია, არ იწვევს ფრუსტრაციას. იგი მძლავრად ვლინდება იქ, სადაც უკმაყოფილების, მღელვარების ხარისხი იმაზე მაღალია, რისი ატანაც შეუძლია პიროვნებას.

ფრუსტრაციის დროს ადამიანი ნერვულ-ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებას განიცდის, რაც მის ჯანმრთელობაზეც აისახება. უზომოდ და უიმედოდ შეყვარებული ადამიანი მძიმე ავადმყოფის მდგომარეობაშია.

ფრუსტრაციის გამოვლენის ფორმა დიდად არის დამოკიდებული ადამიანის ფსიქოლოგიურ ტიპზე და მის ტემპერამენტზე, ნებისყოფაზე. თუმცა, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უძლიერესი ადამიანებიც ხდებიან ფრუსტრაციის მსხვერპლნი.

ფრუსტრაციის მიზეზი არსებითად არის სუბიექტის ძლიერ მოთხოვნილება-სა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ობიექტის მოპოვების შესაძლებლობების შეზღუდვებს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობები, რომლებიც სანქცირებულია საზოგადოებაში გაბატონებული სოციალური ნორმების არსებობით, რელიგიური და ეთნიკური ნორმებით, საზოგადოებრივი აზრით და სხვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი ობიექტის არსებობა, მოცემულობა სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს ვითარება სამოქმედო სიტუაციად იქნას განცდილი. საჭიროა, რომ **სუბიექტს გააჩნდეს ამ ობიექტის დაუფლების შესაძლებლობა** (მამარდაშვილი, 1998).

ფრუსტრაცია და კონფლიქტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. იგი ხელს უშლის მის წინსვლას, წარმატებებს. ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს **კონსტრუქციული ან დამანგრეველი**.

განვიხილოთ **კონსტრუქციულ და დამანგრეველ** ზემოქმედებებს შორის განსხვავება.

**კონსტრუქციული ეშაქტი.** ფრუსტრაცია და კონფლიქტი, ჩვეულებრივ განიხილება როგორც ადამიანისათვის საზიანო მოვლენები და იგი ყოველთვის ხელს უშლის მიზნის მიღწევას. იმის გამო, რომ სუბიექტი ყურადღების ფოკუსირებას მთლიანად მოცემულ მომენტში მოქმედ კონსტრუქციულ მოტივზე ახდენს და ამ მოტივთან შედარებით სხვა მოთხოვნილებები, სურვილები და ინტერესები ძალას კარგავენ და მეორე პლანზე გადადიან, **მიუღწეველი მიზნის მიზიდველობა კიდევ უფრო იზრდება და ძლიერდება.**

**ძალის ინტენსიფიკაცია.** საზოგადოდ, კონსტრუქციულ ეფექტს მიზნის მიღწევის მცდელობასთან მიყვავართ ძალების **ინტენსიფიკაციის** (გაძლიერების), ნებისყოფის დაძაბვის გზით. რაც უფრო დიდია დაბრკოლებები და გარკვეულ ზღვარს აღწევენ, მით უფრო ძლიერდება ძალების (აქტიურობის) ინტენსიფიკაცია მათ დასაძლევად.

რაც უფრო რთულდება დასახული მიზნის მიღწევის მცდელობა, მით უფრო აქტიური მოქმედებისაკენ წარიმართება ფრუსტრირებული ადამიანის ძალები. მხოლოდ დაბრკოლების შემთხვევაშია შესაძლებელი მოტივის ძალამ თავის მაქსიმუმს მიაღწიოს.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ძალების ინტენსიფიკაციამ შეიძლება **კომპენსაციის** ფორმაც მიიღოს. თეოდორ რუზველტი, რომელსაც სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა სიყმაწვილეში, მთელი სიცოცხლის მანძილზე უდიდეს დროს და ენერგიას ანდომებდა თავისი ფიზიკური ძალების შენარჩუნებას და გაძლიერებას, რათა მოეხდინა ახალგაზრდობაში განცდილი ფრუსტრაციის მტანჯველი გრძნობის კომპენსაცია. ასეთივე მდგომარეობა ჰქონდა მას სიყვარულშიც, როდესაც მისი «მტანჯველი» ქალი მისი მეუღლე გახდა, იგი მას მთელი სიცოცხლე თავს ევლებოდა.

ზოგჯერ ძალების ინტენსიფიკაციას, თუ დაბრკოლება არ არის ძალიან დიდი, წინააღმდეგობისა და დაბრკოლების გადალახვამდე მიყვავართ. მაგრამ თუ დაბრკოლება ძალიან დიდია და კომპენსაცია ვერ მიიღწევა, მაშინ სხვა ტიპის შემგუბელი უნდა გამოინახოს, მაგალითად, ფრუსტრირებული სუბიექტი იძულებულია **მიზნის მიღწევის საშუალებების შეცვლას** მიაღწიოს.

ადამიანს, რომელსაც ფრუსტრაცია დაეუფლა, შეიძლება სრულიად განსხვავებული შეხედულება გაუჩნდეს იმ სიტუაციაზე, რამაც ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა იგი და გადახედოს თავის წინა **საშუალებებს**, რომლებსაც მიზნის მისაღწევად იყენებდა.

დაძაბულობის ზრდამ, შეიძლება სიტუაციის წინათ შეუმჩნეველი ასპექტები გამოავლინოს. გამოიძებნოს უფრო ქმედითი **საშუალებები** მიზნის მისაღწევად.

დაძაბულობის ზომიერ ზრდას, მიზნის მიღწევასა და ახალი გზის პოვნისაკენ, ფრუსტრაციის დაძლევისაკენ მხოლოდ მაშინ მივყავართ, თუ წინააღმდეგობის, დაბრკოლების დონე არ არის ძალზე მაღალი. მაგრამ, თუ წინააღმდეგობის დაბრკოლების დონე ძალიან მაღალია, მაშინ კვლავ მოსაძებნია ახალი ტიპის **შემგუბელი**. ასეთი შეიძლება იყოს უკვე თვით **მიზნის შეცვლის მცდელობა**.

**მიზნის შეცვლა.** ადამიანმა უნდა შეძლოს მძიმე მდგომარეობაში, არა მხოლოდ ალტერნატიული გზის პოვნა მიზნის მისაღწევად, არამედ, უკიდურეს შემთხვევაში მან უნდა შეძლოს ალტერნატიული მიზნის აღმოჩენაც, რომელიც დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას. დაძაბულობის ზრდის ზემოქმედება სუბიექტზე შეიძლება გამოვლინდეს საძიებო არეალის ზრდაში, რამაც შესაძლოა **მიზნის შეცვლის** გაცნობიერებამდე მიიყვანოს ადამიანი. ამაში უაღერესად დიდ როლს თამაშობს «ადვილი მისაწვდომობა». აქ შეიძლება გავიხსენოთ პრაქტიკული, მაგრამ ცინიკური გამონათქვამი: «როდესაც მე არა ვარ იმ ქალის გვერდით, რომელიც თავდავიწყებამდე მიყვარს, მე მიყვარს ქალი, რომელიც ჩემს გვერდით არის». მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეცვლილი მიზანი იშვიათად არის იმის იდენტური, რომელიც შეცვალა, ე.ი. თავდაპირველი მიზნის ან სურვილის ტოლფასოვანი.

ალტერნატიული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ **კომპენსაციის** საშუალებით, მაგრამ თავდაპირველი დაძაბულობა მაინც გადაუწყვეტელი რჩება.

**სიტუაციის გადაფასება.** თუ ძალების ინტენსიფიკაცია, მიზნის მიღწევის ახალი საშუალებების გამოყენება, ან თვით მიზნის შეცვლა, როგორც ასეთი, არ მიგვიყვანს წარმატებამდე, ფრუსტრაციის და კონფლიქტის გადაწყვეტამდე, მაშინ შეიძლება მოხდეს **სიტუაციის მნიშვნელოვანი შეცვლა**. თუ სუბიექტის განკარგულებაში არსებული **შესაძლებლობები** ქცევის მიზნის რეალიზაციას ვერ უზრუნველყოფს, მაშინ მან უარი უნდა თქვას თავისი ძლიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, ან ისეთი სიტუაცია ეძიოს, რომელშიც აღნიშნულ მოთხოვნილებას დაკმაყოფილებს იმ აქტივობის გზით, რომელთა შესრულებაც შეუძლია (ჩხარტიშვილი, 1995).

**ფრუსტრაციის თავიდან აცილების უფრო მნიშვნელოვან გზად გვევლინება ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება.** დაძაბულობის გაძლიერება გვეხმარება გავაკეთოთ არჩევანი, რომელიც უზრუნველყოფს ადაპტაციას. **დაძაბულობას სიტუაციის გადახვევამდე მივყავართ.** სიტუაციის გადაფასებამ შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ელემენტები, რომლებიც წინააღმდეგობებით აღსავსედ გვეჩვენებოდა, აღმოჩნდნენ ჩვეულებრივი, უმტკივნეულო. მთლიანობაში, სიტუაციის გადაფასება ნიშნავს ინდივიდის მიერ ახალი ელემენტების ჩართვას, რამაც, შესაძლოა, კონფლიქტის თავიდან აცილების შანსი გააჩინოს.

**ფრუსტრაციის დესტრუქციული ზემოქმედება.** თუ ფრუსტრაციიდან გამოსავლის კონსტრუქციულმა გზებმა ვერ მიგვიყვანეს მიზნის მიღწევამდე, დაძაბულობა თანდათან ძლიერდება. ბოლოს და ბოლოს იგი იმ დონეს აღწევს, რომლის დროსაც მისი ეფექტი ხელს ვეღარ უწყობს იმ მოქმედებას, რომლითაც მიღწეული იქნება მიზანი და დაძაბულობა **დამანგრეველ** ხასიათს ღებულობს. ეს მდგომარეობა რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული:

– **ჯერ ერთი**, ენერჯის, აქტიურობის მობილიზაცია შეიძლება ისეთი ძლიერი აღმოჩნდეს, რომ მან გადააჭარბოს იმ დონეს, რომელიც აუცილებელია პრობ-

ლემის გადასაჭრელად. სუბიექტმა შეიძლება «ზედმეტად მოინდომოს», რაც ძალე-  
ბის დახვეწილი კოორდინაციის დარღვევას გამოიწვევს.

– **მეორეც**, ზედმიწევნითმა დაძაბულობამ შეიძლება კოგნიტურ შეზღუდუ-  
ლობამდე მიგვიყვანოს: ადამიანი მაქსიმალურად ამახვილებს ყურადღებას მიზნის  
მიღწევის ხელისშემშლელ პირობებზე, ჩაკეტილ გზებზე, მიუღწეველ შედეგებზე,  
რის გამოც იგი უკვე ვერ ამჩნევს ალტერნატიულ გზებს, ან სხვა შესაფერის სა-  
შუალებებს.

– **და ბოლოს**, დაძაბულობის ზრდას ხშირად ახლავს ძლიერი ემოციური  
აგზნებადობა, რომელიც წინ ეღობება გააზრებისა და არჩევის რაციონალურ პრო-  
ცესს. ადამიანები დედავენ, ვარდებიან პანიკაში და კარგავენ სიტუაციაზე კონ-  
ტროლის უნარს.

**ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობა.** არსებობს დაძაბულობის დონის  
ზღურბლური სიდიდე, რომლის გადაჭარბებაც თვისობრივად განსხვავებულ ზე-  
მოქმედებას ახდენს ადამიანზე, მის ქცევაზე. ამ სიდიდეს **ფრუსტრაციისადმი ტო-  
ლერანტობა** ეწოდება. სუბიექტმა შეიძლება იგრძნოს მკვეთრად გამოხატული და  
ხანგრძლივი ფრუსტრაცია, ამასთან ქცევის დეზორგანიზაციის რაიმე ნიშანი არ  
გამოავლინოს. მან შეიძლება გააგრძელოს ნებისყოფის დაძაბვა მიზნის მისაღწე-  
ვად, ეძებოს მისი მიღწევის ახალი გზები, ან ალტერნატიული მიზანი. მისწრაფ-  
ვის წარმატებების მისაღწევად; აკეთებს **რაციონალურ არჩევანს**, მაგრამ დაძაბუ-  
ლობის შემდგომი ზრდის შემთხვევაში, ადამიანი შეიძლება სულიერი წონასწორო-  
ბიდან გამოვიდეს და ვეღარ შეძლოს კონსტრუქციულად გაართვას თავი პრობლე-  
მურ სიტუაციას. ეს იმის მაუწყებელია, რომ სუბიექტმა გადააჭარბა ფრუსტრაციის-  
სადმი შემწყნარებლობის – ტოლერანტობის, ინდივიდუალურ ზღვარს, დონეს.

ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობა ცვლად სიდიდედ გვევლინება. იგი დამო-  
კიდებულია დაძაბულობის სიდიდეზე, ინდივიდის პიროვნულ თავისებურებებზე და  
გარკვეულ სიტუაციაზე.

ერთი და იგივე ადამიანს უნარი შეწევს გაუძლოს დაძაბულობის სხვადას-  
ხვა დონეს სხვადასხვა გარემოებაში. ტოლერანტობა ნაწილობრივ იმაზეა დამოკი-  
დებული, თუ რა განცდა ჰქონდა ახლახან ადამიანს, იმაზეც თუ რას ელოდება,  
რას ხედავს იგი უახლოეს მომავალში.

ორმა სხვადასხვა ადამიანმა ერთნაირ ფრუსტრაციულ სიტუაციაში შეიძლე-  
ბა სრულიად განსხვავებული ტოლერანტობა გამოავლინოს, ისევე, როგორც ერთი  
და იგივე პიროვნებამ ერთსა და იმავე ვითარებაში, მაგრამ სხვადასხვა დროს.

როგორც კი აღგზნებლობის, აღელვების დონე, მიაღწევს და გადააჭარბებს  
ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობის ინდივიდუალურ ზღურბლს, ჩნდება მნიშვნე-  
ლოვანი, მკვეთრად გამოხატული დესტრუქციული შედეგები. მათ შორის აღსანიშ-  
ნავია **აგრესია** და სიტუაციიდან **გაქცევა, განრიდება**.

**აბრმისა.** თავის უმარტივეს ფორმად აგრესია გვევლინება, როგორც დაბ-  
რკოლებაზე, ბარიერზე თავდასხმა ან პირდაპირ შეტევა. ამ აზრით იგი გვევლინე-  
ბა ადაპტაციური ქცევის გამოვლინებად. მაგრამ აგრესია შეიძლება მეტად საზი-  
ანოც იყოს: გადასაღალახავი დაბრკოლება ხშირად უფრო დახვეწილ მიდგომას მოით-  
ხოვს, ვიდრე თავდასხმას, რომელიც რისხვით არის გამოწვეული, უფრო მეტიც,  
ფრუსტრაცია შეიძლება გამოიწვიოს მოტივთა შორის კონფლიქტმა ან შეუსაბამო-  
ბამ. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს ლოგიკურად ასახსნელი თავდასხმის ობიექ-  
ტი და აგრესია ბევრ ობიექტზე ვრცელდება, რომელთა შორისაც ზოგიერთებს  
არაფერი საერთო არ აქვთ არსებულ ფრუსტრაციასთან. აგრესიის ასეთი გენერა-

ლიზაცია თანდათან იზრდება ფრუსტრაციის ზრდასთან ერთად. ადამიანი შეიძლება ისეთ მდგომარეობაში ჩავარდეს, რომ არავინ და არაფერი არ დაზოგოს.

შეიძლება არსებობდეს მიზეზები, რომლებიც წინ ელობებიან აგრესიის მიმართვას უშუალოდ ფრუსტრაციის წყაროზე. ეს უკანასკნელი შეიძლება საშიშროებას ან უხერხულობას წარმოადგენდეს. მაგალითად, სტუდენტი არ კადრულობს ლექტორის მიმართ იყოს აგრესიული, რომელიც მისთვის ფრუსტრაციის წყაროს წარმოადგენს. შეიძლება ფრუსტრაციის წყარო იყოს ქალი, რომელსაც თაყვანს სცემს. ამ შემთხვევაში აგრესია თავის გამოსავალს ნამდვილი ობიექტის სხვა ობიექტით შეცვლის მეშვეობით პოულობს. ამგვარად, აგრესია მიმართულია არა ფრუსტრაციის ნამდვილ, გაცნობიერებულ მიზეზზე, არამედ სრულიად სხვა ობიექტზე, ადამიანზე – «განტყვევის ვაცზე».

**სიტუაციიდან ბაჰცევა.** ფრუსტრაციისა და კონფლიქტის სხვა დესტრუქციული ფორმა გახლავთ ფრუსტრაციული სტრუქტურიდან **გაქცევის ტენდენცია**. მიუხედავად იმისა, რომ ზედმიწევნით დაძაბულობის შემთხვევაში გაქცევის რეაქციამ შეიძლება მოგვცეს შემსუბუქების გრძნობა, იგი მაინც ნეგატიურ აქტად გვევლინება, ვინაიდან არ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

ქრონიკულმა ფრუსტრაციამ და **გაქცევის** რეაქციის წარმოშობამ ბოლოს და ბოლოს შეიძლება **მიგვიყვანოს თავდაცვის რეაქციის** არასასურველი მექანიზმის წარმოშობამდე. ერთ-ერთი მათგანი არის **რეგრესია**. კონფლიქტის არსებობამ და სუბიექტის მიერ მისი გადაწყვეტის გზის არჩევამ ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების მხრიდან **დასჯის შიში**. ეს იწვევს **შფოთვისა და მღელვარების** გრძნობას, რომელმაც შეიძლება დომინირებული ადგილიც კი დაიკავოს.

მღელვარებას, შფოთვას ინდივიდი მიჰყავს ფრუსტრაციის გაძლიერებამდე და თავის **დაცვის მექანიზმის წარმოშობამდე**. ეს ეფექტები განსხვავდება უშუალო კონსტრუქციული ან დამანგრეველი ზემოქმედებისაგან, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ და წარმოადგენენ რეაქციებს შფოთვაზე, მღელვარებაზე, რომლებიც გამოწვეულია შინაგანი კონფლიქტების გადაწყვეტის სიძნელეებით. ისინი გვევლინებიან მოქმედების წესებად, რომლებიც მიმართულები არიან მღელვარების შემცირებისაკენ ან თავიდან აცილებისაკენ.

**დამცველი მექანიზმები.** დამცველი მექანიზმები ინდივიდის განუყოფელ თვისებად გვევლინებიან. ისინი არა მხოლოდ ასახავენ პიროვნების ზოგად თვისებებს, არამედ მისი განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტსაც წარმოადგენენ.

**დაცვითი მექანიზმი არის პიროვნების სტაბილიზირების სპეციალური რეგულაციური სისტემა, რომელიც მიმართულია წუხილის, ძლიერი მღელვარების აღმოფხვრის ან მინიმუმამდე დაყვანისაკენ.** იგი დაკავშირებულია შინაგანი კონფლიქტის გაცნობიერებასთან. **ფსიქოლოგიური დაცვის ფუნქციაა ცნობიერების დაცვა ნეგატიური მატრამფირებელი განცდებისაგან.**

**ფართე გაგებით,** დაცვითი მექანიზმი ნებისმიერი ქცევის რეგულირებას ახდენს, იგი ცდილობს აღმოფხვრას ფსიქოლოგიური დისკომფორტი, რის გამოც ადამიანი უმძიმეს სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება; «ადგილს ვერ პოულობს», დაკარგული აქვს ძილი და მოსვენება, უკიდურესად დაქვეითებულია ურთიერთობის პროცესი და სხვ.

**ვიწრო გაგებით,** დაცვითი მექანიზმი გამოიყენება ცნობიერების შინაარსის სპეციფიური შეცვლის აღსანიშნავად, როგორც მთელი რიგი დაცვითი მექანიზმების ფუნქციონირების შედეგი.

**დაცვითი სტრატეგიის** ტერმინით აღინიშნება სტრატეგია, რომელსაც ადამიანები გამოიყენებენ, რათა დაიცვან თავიანთი თავი წუხილისაგან, უსიამოვნო



მღელვარებისაგან, მაგ. მუზის გაჩენა, ლექსის დაწერა და მისი შინაგანი პერსევერაცია, ძალიან ამშვიდებს ადამიანს (დროებით მაინც).

დაცვითი სტრატეგიები ყალიბდება არსებითად, ქვეცნობიერად, უფრო მეტად იმისათვის, რომ საქმე გვექნოდეს უშუალოდ ჩვენს მღელვარებასთან და არა წუხილისა და მღელვარების გამომწვევ ვყაროსთან.

დამცველი მექანიზმებიდან ცნობილია **განდევნის** მექანიზმი, რომელიც პირველად ზ. ფროიდმა აღწერა. იგი მღელვარების თავიდან აცილების პირდაპირ გზას წარმოადგენს. **განდევნის შედეგად ადამიანი ვერ აცნობიერებს თავისი მღელვარებისა და შფოთვის გამომწვევ იმპულსებს**, ან აღარ ახსოვს წარსული ავადმყოფური შემთხვევები, რომლებიც ღრმად შეეხო მის პიროვნებას.

მტანჯველი, მატრამვირებელი გრძნობებისა და მოგონებების განზრახული დათრგუნვა მეტად ჩვეულებრივია, მაგრამ ეს არ არის განდევნა. განდევნა განზრახვით არ ხდება. განდევნა ხდება **ავტომატურად**, როგორც რეაქცია გარკვეულ ფრუსტრაციულ სიტუაციაზე. სწორედ ის წარმოადგენს მღელვარების, შფოთვის ჩაქრობის დამცველ მექანიზმს. ვარაუდობენ, რომ განდევნა გაცილებით მეტია, ვიდრე დავიწყება. განდევნას შეიძლება მოტივაციური დავიწყება ეწოდოს.

მღელვარების, ძლიერი ფრუსტრაციის განდევნის მცდელობას თან სდევს წინააღმდეგობის ტენდენცია, დამცავი რეაქციის ფორმირება, რაზეც ზემოთ აღინიშნა.

დამცავი რეაქციის ფორმირებამ შეიძლება დაიფაროს ადამიანი ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ნამდვილად მიიყვანს მას შფოთვის, ძლიერი მღელვარების წარმოშობამდე. ხშირად იგი თავიდან ამორებს ადამიანს ანტისოციალურ საქციელსაც.

თუ დამცავი მექანიზმი მიაღწევს წარმატებას, მაშინ ადამიანი ფრუსტრაციის, ძლიერი შფოთვის შემთხვევაშიც კი გამოვლენილ გრძნობებს და მოქმედებას იმდაგვარად უხსნის თავის თავს, რომ შეინარჩუნოს საკუთარი თავის პატივისცემა და თავი აარიდოს მღელვარებას და შფოთვას.

კონფლიქტის ასეთ **კოგნიტურ გარდასახვას რაციონალიზაცია ეწოდება**. იგი ისეთ დროს იცავს ადამიანს, როდესაც მღელვარება და შფოთვა გარდაუვალია, რითაც შესაძლებლობას აძლევს მას ადაპტაციური გადაწყვეტილება მიიღოს.

მაშასადამე, **დამცველი მექანიზმის** ჩამოყალიბების და განვითარების ძირითადი ფუნქციაა პიროვნების დაცვა მღელვარებისაგან, შფოთვისაგან, წუხილისაგან და გაღიზიანებისაგან. აღნიშნული მექანიზმი არსებითად პიროვნების მიერ არ არის გაცნობიერებული. პიროვნებასა და დაცვით მექანიზმს შორის ურთიერთობები შინაგან ურთიერთდამხმარე ხასიათს ატარებენ: დამცველი მექანიზმები იცავენ პიროვნებას, ხოლო პიროვნების სტრუქტურა განსაზღვრავს იმას, თუ სახელდობრ რომელი მექანიზმი უნდა იქნას გამოყენებული მის დასაცავად. ყოველი ცალკეული ინდივიდი სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა დროში სხვადასხვა დამცველი მექანიზმით სარგებლობს. თითოეული ჩვენთაგანი იყენებს თავისი საკუთარი თავის პატივისცემის დაცვითი მექანიზმის საკუთარ სისტემას, რომელიც, როგორც ადამიანისათვის სპეციფიური სისტემა, საკმაოდ ადრე ყალიბდება.

დამცავი მექანიზმის ინდივიდუალური ფორმის წარმოშობა ღრმა შესწავლას მოითხოვს.

დამცავი მექანიზმის სპეციფიური ინდივიდუალური სისტემისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ შეძენილ გამოცდილებას, ფსიქოლოგიურ ტიპს, ტემპერამენტს და ნებისყოფის სიძლიერესა თუ სისუსტეს, არამედ მემკვიდრეობას და სომატურ ფაქტორებსაც.

დამცავი მექანიზმი არა მხოლოდ იცავს სუბიექტს მტანჯველი ფრუსტრაციისაგან, შფოთვისა და მღელვარებისაგან და უნარჩუნებს მას თავისი თავის პატივისცემას, არამედ ეხმარება კიდევ გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ სიძნელეებს. ეს მექანიზმი ინდივიდს «კარნახობს» და მიუთითებს პრობლემის შესაძლო გადაწყვეტაზე, აძლევს ამოსუნთქვის, შესვენების შესაძლებლობას, თავშესაფარს უსიამოვნებიდან თავის დასაღწევად.

#### **ღასკვნა:**

– ფრუსტრაცია წარმოადგენს ადამიანის ძლიერ მოთხოვნილებასა და საზოგადოების მიერ სანქციონირებულ შეზღუდვებს შორის წარმოშობილი მკაცრი წინააღმდეგობების გარდაუვალ შედეგს.

– ფრუსტრაციას შეუძლია ხელი შეუწყოს მიზნის მიღწევას მხოლოდ მოტივაციის გაძლიერების წყალობით, რასაც არსებითად მიზნის მიღწევის საშუალების შეცვლამდე მიყვავართ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოვლი სიტუაციის გადაფასებაც.

– მიზნის მიღწევის გართულებას შეიძლება მოყვეს მისწრაფების ობიექტის მიმართ ყურადღების უკიდურესად გადაჭარბებული დაძაბვა, რის გამოც სუბიექტს მხედველობის მიღმა რჩება მიზნის მიღწევის ალტერნატიული გზების ძიება, ერთი მიზნის მეორე მიზნით შეცვლის შესაძლებლობა. ამის გამო მიუღწეველი მიზნის მიმზიდველობა კიდევ უფრო იზრდება და ძლიერდება.

– ფრუსტრაციით გამოწვეული დაძაბულობის ზრდა იმ დონეს აღწევს, როდესაც ეფექტური მოქმედება შეუძლებელია. ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობის ზღურბლის სიდიდე, კონკრეტულ სიტუაციაში სხვადასხვა ადამიანისათვის განსხვავებულია, თუმცა ყველასათვის მტანჯველია.

– თუ ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობის ზღურბლი ზღვარს აღემატება, სახეზეა აგრესიული მოქმედება, ან გაქცევის რეაქცია. აგრესიის ობიექტი შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ ფრუსტრაციის წყარო, არამედ სრულიად უცხო ადამიანი, საგანი (მოხდეს შენაცვლება).

– როდესაც წარმოიშობა ორ სასურველ მიზანს შორის არჩევანის შესაძლებლობა, გადაუწყვეტელობის მიღწევა სწრაფად და უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

გაცილებით რთულია სიტუაცია, როდესაც არჩევანი უნდა გაკეთდეს ორ არასასურველ გარემოებას შორის. კიდევ უფრო მტანჯველია სიტუაცია, როდესაც ერთი და იგივე მიზანს გააჩნია ნათლად გამოხატული, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები.

– უკიდურესად დაძაბული, კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტილებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიყვავართ შფოთვის, მღელვარების წარმოშობამდე, რასაც, თავის მხრივ, თან სდევს გაქცევის, თავის არიდების რეაქცია ან დამცველი მექანიზმის წარმოშობა. დამცავ მექანიზმებს შორის მნიშვნელოვანია: განდევნა, განკერძოება, დაცვის რეაქციების ფორმირება, რომლებიც გაუცნობიერებლად არსებობენ და მოქმედებენ.

#### **ლიტერატურა:**

1. ნადირაშვილი შ., განწყობის ანტროპული თეორია, თბ., 2001.
2. სვანიძე ლ., კულტურა, როგორც ურთიერთობის რეგულირების სოციალური ნორმა, ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №2, 2007.
3. ჩხარტიშვილი შ., განწყობა და ცნობიერება, თბ., 1995.
4. მამარდაშვილი მ., ლექციები ფსიქონალიზის შესახებ, თბ., 1998.
5. Рабочий словарь психолога – консультанта, М. 2005.

**Lia Svanidze**  
***Frustration – complicated physical state***  
**Summary**

The article considers the frustration – a deep feeling of emotion, which arises because of the existence of insuperable obstacles on the way of strong demands' satisfaction.

The author substantiated that frustration arises because of a conflict between the person's deep desire and a real objective possibilities.

After a thorough research of the mentioned problem the author showed us those ways and means, by means of which the person tries to find the way out of a distressful state of frustration.

She characterized those defensive mechanisms, which give the opportunity to the person to cope with the frustration and to keep respect towards himself/herself.

The defensive mechanism is a «shelter» where the person finds facilitation.

**Лия Сванидзе**  
***Фрустрация – сложнейшее психическое состояние***  
**Резюме**

В статье рассматривается фрустрация – состояние глубочайшего волнения, которое возникает в связи с непреодолимыми препятствиями, существующими на пути удовлетворения сильнейших потребностей. Автор обосновал, что фрустрацию вызывает конфликт, возникающий между сильнейшим желанием и объективной возможностью.

В результате основательного изучения указанного вопроса, автор показал те пути и средства, с помощью которых личность пытается выйти из мучительного состояния фрустрации.

Автор охарактеризовал защитные механизмы, что даёт личности возможность избавиться от фрустрации и сохранить самоуважение, это убежище, где человек чувствует облегчение.



ვაჟა მორგოშია

(საქართველო)

ბუნებრივ ეროვნულ სიმდიდრეს დაცვა სჭირდება

მცენარეული საფარი, განსაკუთრებით ტყე, ჩვენი ხალხის ენერჯის მარად მომდინარე წყაროა. ამ ენერჯიამ ქართველ ხალხს საშუალება მისცა პირნათლად მოსულიყო XXI საუკუნემდე და მსოფლიო კულტურაში ღირსეული წვლილი შეეტანა. „ტყე ყოველ ქვეყანაში დიდი ეროვნული სიმდიდრეა, მაგრამ ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ტყე არა მარტო სიმდიდრეა და ეროვნული ღირებულება, არამედ ისეთი საუნჯეა, რომელიც ინახავს ქვეყნის მრავალნაირ სასიცოცხლო საწყისს“, – წერს დიდი ბოტანიკოსი ნიკო კეცხოველი (კეცხოველი, 1961:8).

საქართველოში ტყის ყადრი ძველი დროიდან იცოდნენ და ეს ასახული იყო სახელმწიფო კანონმდებლობაში. ვახტანგ VI-ის კანონებში წერია: „ტყე, ბალახი და წყალი სახელმწიფოსია“. მაგრამ ყოველივე ეს ხალხის კეთილდღეობისათვის იყო საჭირო და იმავე კანონში ვკითხულობთ: „სამი რამ არ დაეჭირების კაცსა: ტყე, ბალახი და წყალი“.

ამ წერილის მიზანია საზოგადოებას გავახსენოთ რელიქტიური და ენდემური მცენარეები, რომლებიც დიდმა ბოტანიკოსმა ნ. კეცხოველმა პირადად ფოტოფირზე დააფიქსირა გასული საუკუნის 50-იან წლებში მდინარე ტეხურის ხეობაში და შეიტანა 1961 წელს გამოცემულ ფოტოალბომში „მცენარეული საფარი ერის საუნჯეა“. ეს მცენარეებია „ნეკერჩხალი კლდეზე“ და „ბზიანი“.

მდინარე ტეხურის ხეობით გასულ წლებში კიდევ ერთი გულშემატკივარი მეცნიერი დაინტერესდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლის, დოქტორ მარინე ჟორდანიას ხელმძღვანელობით მოეწყო 25-დღიანი ექსპედიცია ტეხურის აუზში. XX საუკუნის 50-იან წლებთან შედარებით, სურათი არსებითად შეცვლილია. წითელ წიგნშია შეტანილი მთის ნეკერჩხალი და კოლხური ბზა. ბზის კორომები (ბზიანი) მასიურად გაჩეხილია და კვლავაც იჩეხება.

მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო მცენარეა ნეკერჩხალი. იგი გვხვდება ბუნქის ან ხის სახით. არის ერთი, ორი ან მრავალსახლიანი (პოლიგამიური) მცენარე. არსებობს მისი 150-მდე სახეობა, გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში, ზონდის არქიპელაგის კუნძულებზე, ზომიერი და სუბტროპიკული ჰავის პირობებში, ნოყიერ და დაწრეტილ ნიადაგებზე. ზოგიერთი სახე ეგუება ნიადაგის სუსტ დამლაშებას. უმეტესობა ყინვაგამძლე და მეზოფილური მცენარეა, ნაწილობრივ, ქსეროფაგი (ტეხურის ხეობაში ქვის ლოდზე იყო აღმოცენებული). კავკასიაში იზრდება ნეკერჩხლის 11 სახეობა. აქედან საქართველოში – 6. ჩვენში გავრცელებულია დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე, უმრავლესობა კი – მთის შუა და ზემო სარტყლამდე. ჩვენი ქვეყნის არასტაბილურ პერიოდში განსაკუთრებით გაიჩეხა ნეკერჩხალი. მერქნის სამეურნეო ღირსების გამო იგი საზღვარგარეთაც იქნა გატანილი.

ბზა – ორლებნიანი მარადმწვანე მცენარეა, რომელიც გვხვდება დაბალი ხის ან ბუჩქის სახით. ცნობილია 70-მდე სახეობა. გავრცელებულია ზომიერ, სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზონებში. კავკასიაში გვხვდება ბზის ორი სახეობა – კოლხური და პირკანული (თალიში, აზერბაიჯანი). კოლხური ბზა ბუჩქია ან 8-10 (18) მ. სიმაღლის ხე, იზრდება ბარისა და მთის ტენიან ხეობებში, დრმა კარბონატულ ნიადაგებზე, ქვიანსა და კლდოვან ადგილებში. მთის კალთებზე ქმნის კორომებს (ბზიანი), ფოთლოვან ტყეებში იზრდება ქვეტყედ. მთებში მისი გავრცელების არეალი ზღვის დონიდან 400-1600 მეტრ სიმაღლემდე აღწევს. საქართველოში შემორჩენილია ბზის ოთხი უცხოური სახეობა. ჩვეულებრივ ან მარადმწვანე ბზას ფართოდ იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში, კარგად იტანს ყოველწლიურ სხვლასა და ვარჯის ფორმირებას, რგავენ ეულად, ჯგუფად, ბორდიურად. ბზა ეულად დგომისას ნაყოფს 15 წლის ასაკიდან იძლევა, ხოლო შერეულ ხეთა დგომაში – 40-60 წლიდან. სიცოცხლის ხანგრძლივობაა 500-600 წელი. იზრდება ნელა, მერქანი მძიმეა, კარგად პრიალდება, იყენებენ სხვადასხვა ნაკეთობისათვის. ბზის ფოთლებისა და ტოტებისაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს. ქერქისა და ფოთლების ნაყენს იყენებენ მედიცინაში. განსაკუთრებით ფოთლები შეიცავს ალკალოიდ ბექსანს, მის თესლში 37% ზეთია.

კოლხეთში ბზა გაჰქონდათ საზღვარგარეთ. ის ეკვივალენტური წონით იცვლებოდა მარილზე. ბზის გატანასთანაა დაკავშირებული ხალხური მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლის გაიოზ ბერულავას მოღვაწეობა (ის იყო პედაგოგი-ბიოლოგი. ჰქონდა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ადამიანის ანატომიაზე). ბ-ნი გაიოზი ამბობდა: „თურქეთიდან ჩამოსული ლაზები ოჩხომურის ხეობაში ბზას ამზადებდნენ და გაჰქონდათ. ერთხელ ნაადრევად დაზამთრდა და ლაზები ვერ დაბრუნდნენ სამშობლოში. ისინი მთელი ზამთარი სახლში ჰყავდა ბაბუას, მასპინძლობდა მათ. როცა წასვლის დრო დადგა, გაწეული პატივისცემის საპასუხოდ, ლაზებმა ადამიანის ძვლის მოტეხილობის განკურნებისათვის საჭირო მაღამოს დამზადების საიდუმლო ასწავლეს ოჯახის უფროსს (ბაბუას), რომელიც ამ საიდუმლოს მხოლოდ ერთ მემკვიდრეს გადასცემდა“. როცა გ. ბერულავას ჯერმა მოაღწია, მაშინ ეს მაღამო 40 ნაერთისაგან მზადდებოდა (მცენარეული და სააფთიაქო წამალი). გ. ბერულავა თვალს ადევნებდა სააფთიაქო წამლების დინამიკას და შესაბამისად ხეწდა მაღამოს დამზადების ტექნოლოგიას. ბოლოს, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, მაღამო 12 ნაერთისაგან მზადდებოდა. აქედან 8 იყო მცენარეული, ხოლო 4 – აფთიაქში შექმნილი. ამ ოთხიდან ერთი – გველის შხამი ვიპრაკუნი – ყოველთვის დომინირებდა. როგორც ვნახეთ, ბზის საზღვარგარეთ გატანის ერთმა შემთხვევამ ეს სასიკეთო სამკურნალო ტრადიცია დაამკვიდრა.

ჩვენს დიდ საერთო ოჯახში – დედამიწაზე – მდგრადი და დინამიურად ჩამოყალიბებული მრავალფეროვნება იყო, რომელსაც ადამიანი თავისი ჩარევით არღვევდა. დედამიწაზე არცერთი წერტილი და სულიერი არ არსებობს ზედმეტი, მათ ყველას ისევე აკისრია გარკვეული ფუნქცია, როგორც ადამიანის თითოეულ ორგანოს. არ შეიძლება დაისვას კითხვა – ჭიანჭველა უფრო საჭიროა თუ სპილო? ერთს რაც შეუძლია, ის მეორისთვის მიუწვდომელია. სწორედ ამიტომაც, აუცილებელია ადამიანმა გონიერება გამოიჩინოს და მცენარეული საფარის, ხე-ტყის მნიშვნელობას კომერციული და საშეშე მასალად გამოყენების თვალსაზრისით არ საზღვრავდეს. „მცენარეული საფარი ერის საუნჯეა“, – ბრძანებს ნიკო კეცხოველი. საუნჯეს უნდა მოეუაროთ. „ბუნება ჩვენშია, ჩვენ ბუნებაში ვართ“, – გვასწავლის მგოსანი ვაჟა. „ნუ ვჭრით იმ ტოტს, რომელზედაც ვზივართ“, – გვკარნახობს ამერიკელი ეკოლოგი ოდუმი.

კოლხეთის, ტეხურის აუზის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ჩვენი და ჩვენი მომავალი თაობების მოვალეობაა.

**ლიტერატურა:**

1. კეცხოველი ნ., მცენარეული საფარი ერის საუნჯეა, თბ., 1961.

**Vazha Morgoshia**  
*Natural Wealth of the Nation needs protection*  
**Summary**

Floral surfaces, especially forest , are the source of the energy of our people. From ancient times people of Georgia knew the worth of the forest. The present article deals with the relict and endemic plants, gives the description of each of them.

In order to preserve the diversity of vegetation on the planet the problem should be viewed with great wisdom and caution . We should not determine the value of vegetation only as timber.

It is our duty to preserve the biodiversity of Tekhuri basin, Kolkheti.

**Важа Моргошия**  
*Природным национальным богатствам нужна защита*  
**Резюме**

Растительная поверхность, особенно лес, являются источником энергии нашего народа. В Грузии с древнейших времен знали цену лесу. В представленной статье речь идет об реликтивных и эндемных растениях, рассмотрены и охарактеризованы каждые.

Для сохранения разнообразия существующей на планете растительности человек должен подходить с большим умом и осторожностью и не определять их стоимость древесиной и коммерческой важностью. Наша обязанность – сохранение биомногообразия Техурского бассейна, Колхиды.



**Oleg Bazaluk**

(Ukraine)

**THE NEW MODEL OF THE UNIVERSE**

*The new model of the Universe is considered and suggested in the context of this research. Its name is The Evolved Matter Model. It is based on the analysis of the two previous models – The Evolved Universe Model and The Vernadskiy's Evolved Substance Model.*

Let's try to build more improved model of the Universe based on the new qualitative generalizations. According to Sedov L. modeling is a method of the cognizable objects research using their models (Sedov, 1984). As for me consideration of the existing scientific models of the Universe and modeling of the new one on the grounds of these models may help us to gain the following goals: 1) it would let to sort out deeper in the great numbers of the scientific researches of the Universe that were accumulated during the years of the surrounding reality studying; 2) it would let to properly systemize the accumulated results; 3) it would let us to create more real and greatly approximated to reality model of the Universe existence that would reveal its contents from the positions of the modern level of science.

There are two basic competent models of the Universe. The first one is based on the theological conceptions with the God's will of the Universe formation. At present it is supplemented by the modern natural-science knowledge but still substantiating the fundamental questions solutions by means of the preternatural forces. We are not going to review this model in the context of the research.


The second model of the Universe existence is actively developed by the natural-science knowledge. We mean the unique scientific model of the world existence at present. I identify this model as the Evolved Universe. I knowingly avoid the Big Bang widespread name because of the series of contradictions it contains. They reduce its scientific value greatly (Bazaluk, 2002:272) .

At the time of its development the Evolved Universe model was passing the series of the key stages. It contains some other particular models that are actively developed and obtained more specific by the modern science. The Universe at the context of the Evolved Universe model is scrutinized like an evolved structure. The history of this model origination starts from the first cosmological (cosmogonical) doctrines of the ancient Greeks or even earlier. But the model got the empiric completion in the Kant-Laplacian philosophy-mathematic conception. After the Boltzman's, Clauziseses and others researches and the thermodynamics formation the model has became reviewed as the evolved model. In the 20<sup>th</sup> century the model transformed from the empiric vision into the physico-mathematical substantiation stage. On the basis of the Einstein's probability theory Russian physician Fridman A. substantiated three real scripts of the Universe development. A little bit later another Russian physician Gamov G. showed that the Expanding Universe model is the most proven by the astrophysical observation. From here the Evolved Universe model were extended and supplied. The modern science uses two basic

particular theories to describe the Universe. They are the theory of relativity and the quantum mechanics. The general theory of relativity describes the gravity interaction and the large-scale structure of the Universe, but the quantum mechanics operates with the small-scale phenomena.

Simplistically the Evolved Universe model can be set out in the following way. According to Penrose-Hoking theorems of the singularity [9] the evolution of the modern Universe started from the singularity point as a result of the Big Bang about 13,7 (14) billions years ago (Bazaluk, 2003:144). The Universe expanded according to the model of chaotic expansion that was suggested by Russian physicist Andrey Linde at the end of eighties. Supposing that the Universe model corresponds with the ideal gas model we can explain the evolution direction basing on the low entropy system passage into the high entropy one. According to R. Penrose the singularity point is the lowest entropy point.

According to Khazen's law (Bazaluk, 2003:127) the Universe evolves hierarchically. The model foresees the following consistency of the evolved hierarchy (Fig.1). But of course the constituted hierarchies are formal.



*Fig.1. The hierarchical structure of the Evolved Universe model*



What are the model's characteristics? Firstly, it contains the search of the Universe origin. What is the Universe beginning? What are the processes and phenomena that preceded the Universe? What is the singularity point? What is the script of the Universe development?

Secondly, the Evolved Universe model stakes on the space and time structures consideration and the appropriate origin of the substance and its derivations.


Thirdly, the Evolved Universe model doesn't scrutinize the living matter manifestations («living substance» according to Vernadskiy's terminology) and the intelligent matter ones (the humanity). Mainly this model is represented the physical and mathematical disciplines and it doesn't exceed the bounds of the for sure established facts. It describes just the inert («lifeless») substance evolution because its existence is an established fact.

